

გურამ კუტალაძე

ვ უ ნ ი ა

თბილისი 2017

Guram KutalaZe

WUNDA

Tbilisi 2017

ს ი რ ი ა:

გესჩეთის ძეგლები

4

რედაქტორი: მ. ჩიხრაძე, დოქტორი, პროფესორი

რევიზონისტი: მ. აფრიდონიძე, დოქტორი, პროფესორი

ი. ტალახაძე, დოქტორი, პროფესორი

შესავალი

მტკვრის კანიონში, სოფელ ნაქალაქევთან, ჯავახეთის ზეგნის ძირობზე გაშლილ შემრეცზე, იქ, სადაც გოგირდოვანი წყლის გამოსავალია, მიწის წიაღი კლდის მასივს გაურღვევია, თითქოს, საგანგებოდ, საიმისოდ, რომ ადამიანის ხელს გაესრულებინა ბუნებისმიერი შემოქმედება. ქარაფი და მასზე აზიდული ეკლესია, ურთიერთში დიდი ხელოვანებით შეძერწილი, ერთ მთლიანობას წარმოადგენს, ბუნებისა და კულტურის ერთობა-თანამშრომლობის დასრულებულ, საზეიმო კომპოზიციას. ამაღლებულ შთაბეჭდილებას კონტრასტული ლანდშაფტი - მთები მკვეთრი, დაბაბული ხაზებით, ალაგ ჟანგისფერ-დაკრული ყაფარი და, რაღაც, არქაულ ფერთა ტონალობაში მოლივლივე მინდორი აძლიერებს, რასაც „გადაჭარბებულად მაღალი პროპორციებით, სასიამოვნო, ყვითელ და ვარდისფერ ფერთა გადასჭლების ქვებით... ცივი ფერის ცოკოლის ხორკლიან ფაქტურაზე “წამომართული კეთილ-მშვენიერი ნაგებობა აგვირგვინებს.

„ქართლის ცხოვრება“ გვიყვება წუნდა-ქალაქზე, გვამცნობს წუნდის საერისთავო ქვეყნის პოლიტიკურ თავგადასავალს, აქ პირველი ქრისტიანული სალოცავის მშენებლობის ამბავს, მაგრამ არაფერს ამბობს ეკლესიაზე ისევე, როგორც მეცნიერი ბატონიშვილი ვახუშტი თავის „აღწერაში სამეფოსა საქართველოსა“.

წუნდა სოფელი ფიქსირებულია ოსმალო მოხელეთა მიერ 1595 წელს შედგენილ საგადასახადო დავთარში ფისკალური ერთეულის სახით, ცამეტი დაბეგრილი კომლით (ჯიქია, 1941, 363).

არქეოგრაფიულ-მეცნიერული ინტერესი ჩვენი ეკლესიისადმი პირველად სიძველეთა ცნობილმა შვეიცარიელმა მკვლევარმა მარი-ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ გამოიჩინა, რომელმაც ევროპაში ქართული კულტურისადმი აღძრული აკადემიური ცნობისწადილის კვალად იმოგზაურა ჩვენში და სხვა დირს-სახსოვარი ძეგლების გვერდით წუნდის ეკლესიის არქიტექტურულ-მხატვრულ ღირსებათა თაობაზეც მიუთითა (დიუბუა, 1833). ამის შემდეგ, 1850 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოიცა მარი ბროსეს „Rapports sur le voyage arc heologique dans la Geogie et dans l'Armenie executes en 1847-1848 par M. Brosset, st. Petersbourg, 1850), სადაც ჩვენი ეკლესიაც შევიდა.

XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების საქმეთა მმართველმა ლ. ზაგურსკიმ მოიარა ახალციხის ოლქი და თავის საინტერესო ნარკვევში წუნდას და მის შემოგარენსაც მიუჩინა ადგილი (Загурский, 1873), რასაც მალე მოჰყვა დ. ბაქრაძის საგანგებო ნარკვევი 1875 წელს თბილისში გამოცემულ ცნობილ „Кавказ в древних памятниках христианства“-ში; დაახლოებით ორი ათეული წლის შემდეგ კი „ძველი ქართული კულტურის ნაშთების დაუდალავმა შემკრებმა“ ი. როსტომა-შვილმა ეკლესიის მოკლე აღწერილობა და მასთან

დაკავშირებული ფოლკლორული გადმოცემა მოგვაწოდა (Ростомов, 1898).

1905 წელს სამცხე-ჯავახეთში მომრიგებელ შუამავლად განწესებული აღ. ფრონელი თავის ერთ პუბლიკაციაში შენიშნავდა, რომ „ამჟამად წუნდას ნაქალაქევს ეძახიან და წარსულის დიდებისა ადარა ეტყობა რა. ნაქალაქევი პატარა უხეირო სოფელია“-ო, თუმცა, სამცხე-საათაბაგოს ოდინდელი დიდების გულხმიერი მოჭირნახულე არსად ახსენებს წუნდის ეკლესიას (ფრონელი, 1991, 152).

წუნდის მეცნიერული შესწავლა მკვიდრ ნიადაგზე XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დადგა, როცა გ. ბოჭორიძემ მოიხილა და მისთვის ნიშნეული გულმოდგინებით აღწერა ძეგლი, თუმცა, სამწუხაროდ, მეცნიერის ხელნაწერი მასალა, საარქივო საცავს მიბარებული, კარგა ხანს ელოდა გამომზევებას (ბოჭორიძე, 1992), მსგავსად, თ. ქარუმიძის 1942 წელს შექმნილი მაღალკვალიფიციური ნაშრომისა წუნდის ხუროთმოძღვრების შესახებ, რომელიც 2000 წ. დაისტამბა (ქარუმიძე, 2000).

წინამდებარე ნარკვევი მეტ-ნაკლებ სრულად ითვალისწინებს ყველა იმ მასალას, წყაროს თუ სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც ჩვენს თემას პირდაპირ ან ირიბად ეხება, განსაკუთრებით, ნ. ბერძენიშვილის, ც. გაბაშვილის, ვ. ცისკარიშვილის, გ. გაფრინდაშვილის, გ. სილოგავას, დ. ბერძენიშვილის, ბ. მჭედლიშვილის და სხვ. შრომებს.

წუნდის მოხდენილი, მომცრო (13,6 X 6,8 მ.) სასი- ამოვნო ფერის, კოხტად ნათალი, ერთმანეთს გემოვ-

ნებით მორგებული ქვებით ნაგები დარბაზული ეპ-
ლესია ხუროთმოძღვარს ძალზედ ეფექტურად ათვი-
სებულ კლდის ქიმზე სპეციალურად ამოგებულ სუბ-
სტრუქციაზე დაუმყარებია. კლდის ერთი ნახევარი
ეკლესიას უჭირავს, მეორე კი ზღუდემოვლებულ
ეზოს, სადაც სათავსო-ნაგებობის გვერდით „გა-
ლავნის სიბრტყიდან გამოწეული და გეგმით ნახე-
ვარი სიმრუდით კლდეზე დაკიდებული“ საპირვებუ-
შოც გაუმართავთ (ქარუმიძე, 2000, 166). ერთადერთი,
რითაც ქართული საეკლესიო არქიტექტურის ტრადი-
ციის დაცვით ნაგები წუნდის ეკლესია განსხვავდება
სხვა დარბაზული ტიპის ნაგებობათაგან მისი გეგმა-
რების ტრაპეციული ფორმა გახლავთ. ამ მხრივ, იგი
სპეციალისტებს შემოქმედებითი ნოვატორობის ნამ-
დვილ ნიმუშად მიაჩნიათ. სამხრეთი კედელი, რომე-
ლიც შეიძლება წუნდის „ტრაპეციის“ ფუძედ ჩავთვა-
ლოთ, ჩრდილოეთისაზე გრძელია, სიგრძეთა შორისი
სხვაობა კი „ფუძე“ კედლის დასავლეთ ბოლოშია
„დაგროვილი“. ეს, თავისთავად, გრძივი კედლების
მიმართ დასავლეთის კედლის დახრილობას იწვევს,
რასაც, თავის მხრივ, ამ კედელთან დაკავშირებული
დასავლეთი საბჯენი თაღის კონსტრუქციის გართუ-
ლება გამოუწევია. კვლევისას ო. ქარუმიძემ გამოავ-
ლინა, რომ ეკლესია რაღაც ძველი „სათავსოს“ კედ-
ლებზეა დამყარებული, რომლის (მეცნიერი მას პი-

რობითად „კრიპტას“ უწოდებს) პირვანდელი ფუნქციისა და დანიშნულების გარკვევა დღეისათვის შეუძლებელია, მაგრამ, ამ შემთხვევაში, არსებითი მისი გეგმარებაა; „კრიპტა“ არაწესიერი ოთხკუთხედია, რომლის გვერდები არც ურთიერთ პარალელურნი არიან და „ვერც სწორ კუთხეს ქმნიან ერთმანეთთან, ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში მომრგვალებულია“ (ქარუმიძე, 2000, 169). შიდა მოედნის ფართით „კრიპტა“ ეკლესიაზე მცირე ზომისაა ორი ფანჯრით აღმოსავლეთის მხრიდან და სამხრეთის კედელში გაჭრილი, სავარაუდოდ, სანახევროდ კლდეში ნაკვეთ სხვა სათავსოში გამავალი კარით. ქარუმიძეს კომპლექსის „პირვანდელ, უძველეს“ ნაგებობად სწორედ ეს „ცოკოლში მოქცეული კრიპტა“ მიაჩნია, უთუოდ, „რაღაც შენობის“ შემორჩენილი ნაწილი. მეცნიერის დასკვნით გამოდის, რომ მაშენებელს თავისი ნაგებობა ამ „კრიპტაზე“ დაუფუძნებია, რასაც „კრიპტის“ ფასადების და მთელი ბაქანის საგანგებო შემოსვა მოჰყოლია, ალბათ, ეზოს დონის გათანაბრების განზრახვით (ქარუმიძე, 2000, 174).

ბუნებრივია, იბადება კითხვა - რამ აიძულა წუნდის ეკლესიის ხუროთმოძღვარი, გაერთულებინა საქმე, გადაეხვია დარბაზული ეკლესიის მშენებლობის ჩვენში დამკვიდრებული საყოველთაოდ ქცეული ნორმიდან და ტრაპეციის ფორმით გადაეწყვიტა თავისი ნაგებობა? იქნებ, ასეთი არაორდინალური პროექტი სათანადო, საგულდაგულო მიზანდასახულებას, ვთქვათ, „უკვე არსებული კრიპტის გეგმის შენარ-

ჩუნების აუცილებლობას“ მოჰყვა? თ. ქარუმიძე უშვებს იმას, რომ „კრიპტა ძველთაგან თაყვანაცემის ობიექტს წარმოადგენდა. იმ დროისათვის დაზიანებული (სახურავჩანგრეული) კრიპტის კედლებზე ეპლუსის აგების შეაგეოთა გამოწვეული უნდა ყოფილიყო საპატიო ადგილის შენარჩუნების სურვილით და, როგორც ჩანს, მშენებელი იძულებული იყო მისი გეგმაც შეძლებისდაგვარად ახალი ნაგებობისათვის შეენარჩუნებინა“ (ქარუმიძე, 2000, 173). მეცნიერი სიმპოზიურად თვლის წუნდის ეკლესიის საამშენებლო წარწერის ინფორმაციის მაზუსტებელ-მაკონკრეტებელ ფრაზას - „აღვაშენე ეკლესია ესე, მამული ჩუენი“- რაც, მისი თქმით, ხაზგამსმელია იმისა, რომ „ამ ადგილას ძველათაც (უწინაც) აღმშენებლის მამაპაპეული სალოცავი ყოვილა.... „წარწერა მოწმობს წუნდის ეკლესიის აშენებას ძველი სალოცავის ადგილას“ (ქარუმიძე, 2000, 179). თ. ქარუმიძის ამ, ჩვენთვის მეტად საგულისხმო დასკვნას ქვემოთ კიდევ მივუბრუნდებით, ახლა კი ისევ ეკლესიას მივხედოთ:

ნაგებობა ზემსწრაფი, ამაღლებული და ზეიმურია. ასეთ, მნახველში აღმაფრენის აღმძვრელ ემოციას ოსტატი შენობის ვერტიკალური ღერძის საგანგებოდ დაგრძელებით აღწევს, რასაც მეტად აძლიერებს კედლების, მართალია, სადა, მაგრამ ნატიფი მორთულობა; ჩუქურთმები დახვეწილი კვეთით და მდიდრული იერით გამოირჩევა, მრავალფეროვანია დეკორის კონცეფცია და მისი მხატვრული დამუშავების ტექნიკა. აღმოსავლეთის ფასადი, მასზე სამხრეთიდან მიბჯენილი გალავნით, დამკვიდრებულია

ქვის კვარცხლბეგზე, რომელიც წყობაში ორი განსხვავებული ფენით არის წარმოდგენილი – ქვედა, პირველი ფენა ერთმანეთზე უწესოდ მორგებული ქვებით უშენებიათ, მეორე კი, თლილი ქვებით, ჰორიზონტალური რიგების დაცვით, სადაც ყვითელ-ობის-ფერ ქვათა მიჯრაში ეკლესიის ქეშ განთავსებული, თავდაპირველი მშენებლობის პერიოდის სათავსოს ფანჯრის ორი ღიობი ჩანს. სუფთა, ერთმანეთს უზადოდ მორგებული, ვარდისფერ-მოყვითალო ტონა-ლობის პერანგის ქვებით ამოგებული აღმოსავლეთის კედლის ერთიან სიბრტყეს მხოლოდ სარკმლის ჩუქურთმიანი საპირე და დეკორით გაფორმებული კარნიზის ზოლი ანაწევრებს.

დასავლეთ კედლის ცენტრალურ დერძზე შეწყვილებულლილვიანი თაღოვანი, დეკორატიული პილასტრით შემოვლებული, სადლეისოდ გაუქმებული კარია გაჭრილი, რომლის თავსართ ქვაზე განუთავსებია ეკლესიის ქტიტორს საამშენებლო-სავედრებელი წარწერა. კედლის ზემო ნაწილი მსგავსი დაწყვილებული ლილვიანი ჩარჩოთი მოვლებულ სარკმლს უჭირავს. ფასადის ორთავ განაპირა კუთხეში, პატარა თაღების ქვეშ, ჯვარი არის ამოკვეთილი, ამოგებული კარის თავზე ნატვიფრის მსგავსი. ეკლესიის ეს ცენტრალური კარი ნაგებობის გასრულების შემდეგ მალევე, კარიბჭის მიშენების გამო, ამოუქმლავთ და კედლის კვარცხლბეგზე გალავნის კარში გასასვლელად კიბე მიუდგამთ.

სამხრეთის ორი კარიდან ერთი, მოგვიანებით, კარიბჭის მიშენებისას გაუქმებიათ, რადგან მის

„დასავლეთ ნაწილში ყვებოდა“ (ქარუმიძე, 2000, 174). ამ კედლის მთელს სიმდიდრეს კარნიზის დეკორი და სარკმელთა წრიული ლილვები შეადგენს. განსაკუთრებული სისადავით, მაინც, ეკლესიის ჩრდილოეთის „კვარცხლბეჭებული“ და „დეპორატიული კარნიზით“ გასრულებული ფასადი გამოირჩევა.

კონსტრუქციულადაც წუნდა ქართული არქიტექტურული ტრადიციის მიღწევებს იმეორებს და, ამ მხრივ, რაიმე, დამახასიათებელი არ შეიმჩნევა, გარდა იმისა, რომ „კუთხის პილასტრზე დაყრდნობილი გადახურვის კამარის საბჯენი თაღი მხოლოდ შუამდე მისდევს დასავლეთ კედელს. შემდეგ შორდება მას და კუთხეში მოთავსებული პილასტრის ნაცვლად სამხრეთ კედელში დაყოლებულ კონსოლს ეყრდნობა, რომელიც დასავლეთ კედელს 50 სანტიმეტრით არის დაშორებული. საბჯენი კამარის მოწყვეტა დასავლეთის კედლიდან და მისი საყრდენის დაშორება აისახება ეკლესიის კედლის ტრაპეციული ფორმით, რის გამოც სამხრეთის კედლის სიგრძე ჩრდილოეთისაზე მეტია“. მათი სხვაობა, როგორც თქვა, თითქმის მთლიანად სამხრეთი კედლის „დასავლეთ ბოლოში“ დაგროვილა, რის გამოც დასავლეთის კედელი გრძივი კედლების მიმართ არაპერპენდიკულარულად არის მიმართული. „ამ პირობით შეზღუდული ოსტატი იძულებული იყო დასავლეთის კედელი საბჯენ თაღს მოეწყვიტა.... აღმშენებელი ჩანს, საკმაოდ მცოდნე იყო საამშენებლო საქმისა,“- აღნიშნავს თ. ქარუმიძე (ქარუმიძე, 2000, 169).

რაც შეეხება ეკლესიის შიდა სივრცულ განათებას, იგი საგსებით ტიპური არის: მაღალი და განიერი ფანჯარით აფსიდში, ერთი სარკმლით დასავლეთ ფასადზე და ორი მრგვალი, მცირე ზომის სარკმელით სამხრეთის კედელზე, რომლებიც იმგვარად მართავს შუქს შენობაში, რომ ინტერიერი რეალურ ზომებზე გაცილებით მაღალი და გრცელი ჩანს, რასაც შენობის აწვდილი პროპორციებიც უწყობს ხელს.

როგორც უკვე ითქვა, წუნდის გალავანში, ერთგან, საპირფარეშოა მოწყობილი. მისთვის ასეთი, უჩვეულო ადგილის მონიშვნას თ. ქარუმიძე „წუნდის თავშესაფრად გადაქცევის ფაქტს“ უკავშირებს და შენიშნავს, რომ არსებული მასალა არ იძლევა საშუალებას, გაირკვეს „იყო წუნდის ეკლესია თავიდანვე ციხე-სახიზნო თუ შემდეგ გადაიქცა ასეთად“; საპირფარეშოს ფასადის გალავნის კედლის საპირეწყობისაგან განსხვავება, ხოლო „შიგა პირის მასთან ორგანული“ თავსება მათს თანადროულ მშენებლობას უსვამს ხაზს. ამ მხრივ ყურადღებას ის გარემოებაც იმსახურებს, რომ გალავანი კონსტრუქციულად ეკლესიის სამხრეთ ფასადსაა მიერთებული და მისი სამოსი ქვები ჯიშით, დამუშავების და წყობის ხასიათით ეკლესიის საპირეებთან მსგავსობს - „გალავნის ამშენებელ ოსტატს ზედმიწევნით უზრუნია (თუ ეკლესიის დროისა არ არის) საპირე ქვებისა და მათი წყობის ზუსტ შესამებაზე არსებული ეკლესიის კედელთან“ (ქარუმიძე, 2000, 175).

თ. ქარუმიძეს შთამბეჭდავი მხატვრულობით და მეცნიერული სიზუსტით აღუწერია ეკლესიის კარიბჭე, მისი საიმდროოდ შემორჩენილი ერთადერთი, თითქმის, თავდაპირველი სახით მოღწეული ნაშთი – „ბაქანზე წინ წამომდგარი თავისუფალი თაფი“ მუქი ვარდისფერით გამოყოფილი ეკლესიის სამხრეთ კედელზე, რომელიც მეტად უფექტურად „აჩენს თავის დიადში ისედაც ლამაზ სურათს კლდით აზიდული ნაგებობისას.“ ეს ცენტრალური თაღოვანი მალი, „კარიბჭის სიმრთელისას“ მისი ფუნქციურ-არქიტექტურული დომინანტი, „ტრიუმფალური შესასვლელი“ გეგმაში „ოთხკუთხაა, ოთხ ბურჯზე გადაყვანილი დია თაღებით, რომლებსაც გადახურვა უნდა სჭეროდათ. გადახურვის კონსტრუქციიდან გადარჩენილა აფრა და გუმბათის წრის სარტყელი, რომლის ზედა სიბრტყეზედაც გუმბათის წიბოებისათვის ბუდეები გაუმზადებიათ. თვითონ გუმბათი აღარაა შემორჩენილი“ (ქარუმიძე, 2000, 170). როგორც ირკვევა, გუმბათი ი. როსტომაშვილის მოგზაურობის დროის-თვის უკვე ჩამოქცეული ყოფილა. კარიბჭის გადარჩენილი ნაწილები საპირე ქვების ჯიშით, წყობის ოსტატობა-ხასიათით განსხვავდება ერთმანეთისაგან. მუქი ვარდისფერი ქვიშაქვის ეს ქვები ეკლესიის საპირეთა ანალოგიურად, თუმცა უფრო დრმად და მოკლედ უთლიათ, ამიტომაც იგი სიგლუვით ჩამოუგარდება ეკლესიის პერიოდს. კარიბჭის მაშენებელი „მაინცა და მაინც ვერ დაიკვეხის“ კონსტრუქციული ფორმების და ზომების წესიერებით, ცხადია, რომ ეკლესია და კარიბჭე განსხვავებული ხელწერის ოს-

ტატებზე მიგვანიშნებს, თუმცა, ისიც შესაძლებელია, რომ კარიბჭის დეტალების კვეთა-თლის ასეთი ხასიათი აღდგენა-შეკეთებითი სამუშაოებით აიხსნას და, როგორც თ. ქარუმიძე ამბობს, „შენობის ნაწილების მნიშვნელობითაც“.

მშენებლობის დათარიღების თვალსაზრისით, საინტერესო ხუროთმოძღვრული დეტალია ისიც, რომ კარიბჭის აღმოსავლეთი მალის თაღი, სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის ორი ბალავარი და აღმოსავლეთით მდებარე სათავსოს ორი კონსოლი, თავის დროზევე, გალავანში ჩაუშენებიათ, რაც კარიბჭეს და გალავნს თანადროულ ნაგებობებად წარმოადგენს. გალავანში არსებული სხვა სათავსოების ერთმანეთთან ორგანული კონსტრუქციული ბმა მათს თანადროულობას მეტყველებს; ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ააგეს ეკლესია, ხოლო შემდეგ, ოდნავ დაგვიანებით, მას კარიბჭე და გალავანი მიაშენეს, რასაც ადასტურებს ეკლესის სამხრეთ კედელზე გაუქმებული კარი - იგი „თავისთავად გაუქმდებოდა, რადგანაც მის დასავლეთ ნაწილში ყველა და მისი ამოშენება სავსებით ბუნებრივია“ (ქარუმიძე, 2000, 174), ამიტომაც, ცხადია, მის გვერდით ახალი ცენტრალური კარის გაეჭრათ.

წუნდის ეკლესიის სკრუპულოზური მეცნიერულ-ხუროთმოძღვრული შესწავლის შემდეგ მკვლევარმა დაადგინა, რომ: „I. კომპლექსის პირვანდელ, უძველეს ნაგებობად ცოკოლში მოქცეული კრიპტა უნდა ჩაითვალოს“, რომელიც რაღაც უძველესი შენობის ნაწილი ჩანს; „II. უკვე დაზიანებული, სახურავჩან-

გრეული კრიპტის კედელზე ეკლესიას აშენებენ. ამავე დროს კრიპტის ფასადებს ახლად მოსავენ და ამ შემოსვით ბაქანს ირგვლივაც უვლიან ან ეზოს დონის გათანასწორებისათვის, ან არსებული სათავსოს კედლის განახლების მიზნით.... III. ახალი შეკვეთით, ეკლესიის სამხრეთ მხარეს მიშენებულია სამმალიანი კარიბჭყა, რომლის არსებობამ გამოიწვია შუა კარის გაჭრა და კუთხის კარის გაუქმება“ (ქარუმიძე, 2000, 175)¹.

წუნდა შემორჩენილი XII ს. დასასრულის სამშენებლო-კტიტორული წარწერით – „სახელითა ღმრთისადთა, მე, იჩქითმან, გურგენისძემან, აღვაშენე ეპლესია ესე, მამული ჩუენი, სახელსა ზედა წმიდისა ნათლისმცემლისასა, სალოცავად ჩემთვს და მშობელთა ჩემთათვს“ (ჯავახეთის..., 2012, 132) – გურგენისძეთა ფეოდალური გვარის მამულია, „ეკლესია ესე“ – ამ სახლის სალოცავი, როგორც უწოდებენ, კარის ეკლესია. წარჩინებულ სახლს ცალკე საძვალე-განსასვენებელიც მოუწყვია – მეზობლად მდებარე ვა(ჰ)ანის ქვაბთა მონასტერი უქცევია საგვარეულო აკლდამად. ვანის ქვაბებში აღმოჩენილი, ამჟამად დაბა ასპინძის რუსთაველის მუზეუმში დაცული ქის ზედწერილი იმავე XII ს. დასასრულისა გვამცნევს: „ესე არს სამკვიდრებელი ჩუენ გურგენათი მე იჩქითმან აღვაშენე. შემინდვნეს ღმერთმან“ (ჯავახეთის..., 2012, 46). მოვიტანო კიდევ ერთ, მკვლევარ გ. გაფ-

¹ ზაგურსკი გაუკვირვებია წუნდის ეკლესიის „დიდ სტოას“ და აღუნიშნავს, „თითქოს გვიან არის მიშენებული, ისეთი სახე აქვს“-ო (Загурский 1873, 58).

რინდაშვილის მიერ 1186-1204 წლებით (გაფრინდაშვილი, 1971, 108-112), ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსის მიხედვით კი XII საუკუნის დასასრულით დათარიღებულ წარწერას ვანის ქვაბებიდან, ისევდა-ისევ, იჩქითის აღმშენებლობითი დგაწლის აღმნუ-სხველს: „იესვ ქრისტე, ადიდე ორთავე შინა სუფე-ვათა მეფეთა მეფე და დედოფალი თამარ, რომლისა ზე მე, იქნიო გურგენის ძემან აღვაშენე კედელი ესე და დავასუენენ ხატნი მაცხოვარისად, ღმრთისმშობ-ლისად, ნათლისმცემლისად, და ჯუარი წმიდისა სკმეონისი, ვინცა ილოცვიდეთ, მეცა მომიჯსენეთ“ (ჯავახეთის..., 2012, 47).

იჩქით გურგენის ძე იერუსალიმის ჯვრის მონასტერის აღაპებშიც იხსენიება - „თუესა ნოემბერსა პბ მასვე დღესა აღაპი იჩქითისა გურგენის ძისა შეუნ-დვნენ ღმერთმან“ (მეტრეველი, 1962; 86). ე. მეტრეველს ეს ჩანაწერი, საკმაოდ არქაული ხელისა, XIII საუკუნისად მიაჩნია.

ჯვრის მონასტერთან კიდევ ერთი გურგენისძე არის დაკაგშირებული: „წმიდანთ ღმრთისანო! მე გლახაკმან და ფრიად ცოდვილმან მიქაელ გპრგენის ძემან დაგჩხრიკენ და წა სულთა განმანათლებელი სტოდიერი სალოცველად სულისა ჩემისა და მშობე-ლთა ჩემთა. სანახებსა წა იერუსალიმისასა მო-ნასტერსა ჯუარისასა. სახელსა ზედან წა მთა-ვარმოწამისა გიორგისასა ვაჟანის ქუაბთასა, წმიდაო გიორგი! მიაწიე წერილი მწერლითურთ! უცბად ჩხერეკისთვის შემინდვეთ. უხრავლელი ვიყავ. წმ. გი-

ორგი შეიწყალე სულითა მოსაგი შენი მიქაელ“ (...აღწერილობა, 1985, 431). XII საუკუნით დათარიღებული სტოდიერის „დამჩხრეკი“ მიქაელის ეს მინაწერი საგულისხმო იმითაცაა, რომ შესრულებულია ვაჲანის ქვაბთა წმიდა გიორგის „სახელსა ზედან“.

ყველა ეს წარწერა, გურგენისძეთა სახლის წევრის თუ წევრების შესრულებული, გვატყობინებს, რომ: 1) წუნდა გურგენისძეთა სამკვიდრო „ქვეყანაა“ („მამული ჩვენი“); 2) ვანის ქვაბთა მონასტერი ამ სახლის საძვალე-სამკვიდრებელია; 3) წარწერებით იჩქითი უშვილძიროა, დმერთს მშობლებს ავედრებს და არაფერს ამბობს თანამეცხდრესა და შვილებზე; 4) სტოდიერის „დამჩხრეკი“ მიქაელ გურგენისძეც, ვაჲანის ქვაბებთანაა დაკავშირებული და ისიც, ეს ხაზგასასმელია, უნაშენოა – „სალოცველად სულისა ჩემისა და მშობელთა ჩემთა“ გავწიე ეს სულთა განმანათლებელი შრომაო – ამბობს.

იჩქითის წარწერებისა და სტოდიერის ანდერძის ქრონოლოგიური თანხვედრა, მონაცემების შეპირაპირება, „საგედრებლის“ მსგავსი – „სულისა ჩემისა, მშობელთა ჩემთავის“ – ფორმულირება იძლევა საფუძველს საიმისოდ, რომ მიქაელ გურგენისძე გავაიგივოთ იჩქით გურგენისძესთან, რომელიც უმონაგრო, დასაშვებია, ცხოვრების მიწურულს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში სქემით შემოსილიყო (ტალახაძე, 2009, 91).

ესა სულ რაც გურგენისძეთა ამ წარჩინებული სახლის შესახებ ვიცით, სხვა ინფორმაცია, სამწუხაროდ, ჩვენს მატიანებსა თუ სიგელ-გუჯრებს არ

დაუცავთ, ამდენად, მათს მოდგამობა-ვინაობასა თუ თავგადასავალზე დამატებით ვერაფერს დავძენთ, გარდა ერთისა: გურგენისძებს, სავარაუდოდ, ეკლესიის ქტიტორების რანგში იცნობს იღორის ეკლესიის XI საუბანის და ქვემო ქართლის სოფელ ბეჭთაშენის (ისტორიული ბეჭქენაშენი) წმ. გიორგის ეკლესიის XI-XII სს. წარწერები.

თ. ქარუმიძე თავის ნაშრომში აღნიშნავს: „წარწერაში აღნიშნულ პირთა უტიტულოდ მოხსენიება ართულებს მათ მოქებნას და ძნელი წარმოსადგენია, რომ როგორც წუნდის უდაოდ შეძლებული აღმშენებელი, ისე მისი მშობელი მოკლებული ყოფილიყო წოდებას ან თანამდებობას. ამიტომ საფიქრებელია, რომ ერთ-ერთი მათგანი თავის დროზე ამ მიდამოებში გამოჩინებული და პოპულარული პიროვნება უნდა ყოფილიყო და მისი ვინაობის აღნუსხვა დამწერს ზედმეტად მიაჩნდა“. ბაგრატიონთა კლარჯ-არტანუჯელების შტოში გავრცელებული პირსახელი გურგენი მკვლევარს გურგენ კურაპალატისაკენ მიანიშნებდა, თუმცა არაფერს აძლევდა იმის დასაზუსტებლად „შედიოდა თუ არა წუნდა გურგენის კლარჯეთის სამფლობელოში და წარმოადგენდა ის თუ არა იჩქითისათვის მამაპაპეულს“ (ქარუმიძე, 2000, 178).

ამ სტრიქონების დაწერიდან ცოტა ხანში გარდიის მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლებმა ზემო ჯავახეთის ნასოფლარ არეშის (ისტორიული არეშტი, ახალქალაქთან) მიდამოში მიაკვლიეს ქვის სტელას ბაზისზე შემორჩენილი წარწერით - [წსახელითა ღმრთისათა, აშოტ ან: ადარნასე], ძემან გურგენ კურა-

პალატისამან, შეწირა არეშტი საყდრისა კუმურდოვსასად“ (ტექსტი აღდგენილი და 881-891 წწ. დათარიდებულია ვ. სილოგაგას მიერ; იხ. სილოგაგა, 1994, 77-79); როგორც ვხედავთ, ამ წარწერამ თ. ქარუმიძის ალუზია დოკუმენტურად გააცხადა – წუნდა, მისი არენი კლარჯი ბაგრატიონების, კერძოდ კი გურგენ კურაპალატის მემკვიდრეთა მფლობელობაში უდავოდ ჩანს, რამაც ამ წარჩინებული სახლის კლარჯ ბაგრატიონებთან დაკავშირებისათვის გარკვეული საყრდენი შექმნა. ამ და სხვა არგუმენტების მოშველიებით გამოვთქვით ჰიპოთეზა იმის თაობაზედ, რომ იჩქითი, გურგენის ძეობით არეშტის ქვა-სვეტის აღმმართველთა მონადევარია, ისევე, როგორც ბაგრატ III-ის მიერ თმოვგის ციხეში პყრობილნი და იქ აღსრულებულნი „კლარჯი კელმწიფენი სუმბატ და გურგენ“, ჯავახეთის მამულობით მფლობელნი. ჩანს, ცნობილი პოლიტიკური ბატალიების მსხვერპლად იჩქითის წინაპრებიც ქცეულან, ამიტომ დაქვეითებულ-შეიწრებულნი, ისინი, შესაძლოა, გარკვეულ დროით აყრილიყვნენ კიდეც ჯავახეთიდან და დასავლეთ საქართველოში გახიზნულიყვნენ, სადაც ილორის XI ს. ეკლესიის მაშენებლებად ჩანან (დაწვ. იხ. კუტალაძე, 2016). სავსებით შესაძლებელია, რომ ამ სახლის წევრები ქტიტორებად მოვლენოდნენ თრიალეთის ბეშქენაშენის ეკლესიას, რომელიც XI–XII სს თარიღდება².

² ილორის ეკლესიის წარწერა - „წმიდაო გიორგი ილორისაო, შეიწყალე გიორგი გურგენის ძე“ (სილოგაგა 1980, 161); ბეშთაშენის (ისტორიული ბეშქენაშენის) წმ. გიორგის ეპ-

იჩქითი, როგორც ითქვა, საკუთარ მამულში აგებს ეკლესიას (წუნდა), საგვარეულო ძვალთშესალაგს (ვაპანის ქვაბები), მაგრამ არსად იხსენიება მისი ციხე-სიმაგრე, ურომლოდაც დიდებული სახლი ვითარცა სამკვიდრო - „მამული“ ვერ წარმოიდგინება (ეკლესია, აკლდამა და ციხე - მამულის მოუცილებელი ატრიბუტი). მეზობლად მდებარე თმოგვის ციხეზე, პირველწყაროთა უიჭო მონაცემებით, მას ხელი არ მიუწვდება. საფიქრებელია, მას იქვე, მტკვრის კბოდეზე გამართული უმნიშვნელო ციხე პკუთვნებოდა, რომელსაც ვახუშტიც იხსენიებს - „ჯავახეთის მტკუარსა ზედა, სამჯრეთისკენ, კიდეზედ არს წუნა, რომელი აღაშენა ციხე-ქალაქი, მტკიცედ მოზღვდვილი, ჯავახოს მცხეთოსის ძემან... იყო ქალაქი და ციხე... არამედ აწ არღარა არს ქალაქი, გარნა ციხე არს“ (ყაუხეჩიშვილი, 1973, 670). ალბათ, ამ ციხის ნანგრევები იწოდებოდა მოგვიანებით ვერან ყალად, რომელიც მოუხილავს ივ. როსტომაშვილს, მაგრამ გურგენათ სახლის მიერ მისი

ლესის წარწერა: „სახელითა დმრთისათა ეს ეკლესიად ჩვეუნ
გურგენისძეთა აგაგეთ ერისთავისა ვახტანგის ბრძანებით, თან-
დგომით, სალოცველად მათთვეს ქუაბს შემოწირ(ა) 4 დღის
ყანა, ჩაწერ(ა) ჟამის წირვით, დაიდვა ყოველდღი წელიწადთ
დღე აღუსების ხუთშაბათს. არა შეუცვალოს ესე ლოცვად და
ჟამის წირვად, ვიდრე ეკლეს(ია) ესე დგეს, მდვდელი ვინცა
შიგან ჟამს წირვიდეს. ვინ შეუცვალოს, დმერთმან მიაგოს.
გურგენ მდვდელმან დავწერე ცოდვილმან, უცებად (ვ)ჩხრეკე
ლოცვა) ყოთ ვინ, დმერთმან (გა)გურთხოს, ან უყავნ“ (ბაქრაძე,
1959 64).

ფლობის მამოწმებელი ინფორმაცია არ შემორჩენია მატიანეთა ვურცლებს. სამაგიეროდ, ამ წარჩინებული სახლის კლარჯ ბაგრატიონთაგან წარმომავლობის პიპოთეტური დაშვების შემთხვევაში, თითქოს, ახსნას პოულობს იჩქითისეული ეკლესიის ერთი არქიტექტურული დეტალი – გალავანში ჩაშენებული საპირფარეშო, რომლის აგება ო. ქარუმიძის მოსაზრებით, „წუნდის თავშესაფრად გადაქცევის ფაქტს უნდა გამოეწვია“. მართალია, მკვლევარს უძნელდება დააკონკრეტოს, „იყო წუნდის ეკლესია თავიდანვე ციხე-სახიზნო თუ შემდეგ გადაიქცა ასეთად“, მაგრამ, მაინც ამას, „უფრო ძველ დროს (XII-XIII სს.)“, ეკლესიის თანადროულობას აკუთვნებს.

ისტორიული კონტექსტის ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ წუნდის ეკლესია იმთავითვე „ციხე-სახიზნოდ“ აიგო, შესაძლოა, ვერან-ყალას პარალელურადაც, რადგან იქვე მდებარე მიუგალი, ქვემო ჯავახეთის მაკონტროლებელი თმოგვი იჩქითს არ ეკუთვნის, მასზე ხელი არ მიუწვდება და ეს იმიტომ, რომ გურგენისძეთა სახლი კლარჯი ბაგრატიონების, სამეფო კარის მოქიშპე შტოს ჩამომავალია. ცენტრალური ხელისუფლება ამოგდებულ „კლარჯ ხელმწიფეთა“ ნაქონებ თმოგვს ჯერ საკუთრად იჭერს, მალე კი, შესაძლოა, ბაგრატ III-ის ნებითვე, მას ჭიმჭიმელთა სახლის წევრს მომხრეობა-თანამოსაგრეობისათვის მამულად გადასცემს, მიტომაც არის ფარსმანი, ძე იოანე ჭიმჭიმელისა, ბაგრატ IV დროის მოღვაწე თმოგველი. მისი უმეტესობად გადასვლის შემდეგ ციხე ისევ სამეფოა მანამ, სანამ თამარის ინიცია-

ტივით მხარგრძელებს არ ეწყალობათ, უკვე იჩქითის აღმშენებლობითი საქმიანობის დროს 1190-1191 წწ. ცენტრალური ხელისუფლების ასეთი პოზიცია პოლიტიკურ-სტრატეგიულად გამართლებულია, როგორც ერთგვარი პრევენციული ზომა „ხელმწიფეთა“ ჩამომავალი იჩქითის სახლის საეგებიო პოლიტიკური ამბიციის დასაცხოვმად, ამიტომაც არის იჩქით გურგენის ძე იძულებული საკუთარ მამულში თავდაპირველადგვე ციხე-ეკლესია აშენოს (კუტალაძე, 2016)³.

ასე თუ ისე, უკვე XIII საუკუნის დასაწყისისათვის გურგენისძების სამკვიდრო მოშლილია. წუნდა-ვანის ქვაბებში მათი ცხოვრების და საქმიანობის კვალი აღარ გვხვდება; შემონაზვნებული იჩქითი, ჩანს, უნაშენოდ გადაეგო, ამოვარდნილი „მამული გურგენათი“ კი ბეითალმანის სახით სამეფო მფლობელობაში ჩაირიცხა - თამარის მეფობის მეოცე წელს (1204 წ.) ვაჰანის ქვაბებში, „გურგენათ სამკვიდრებელში“, ზღუდეს ანტონ კათალიკოსის დაკვთით ამაგრებენ: „† იესუ ქრისტე შეიწყალე ორთავე შინა სუვევათა მეფეთა მეფე და დედოფალი თამარ წელსა მეფობისა მათისასა კ ანტონ ჭყონდიდელისა მიერ აღეშენა ზღუდე ესე შეუნდვენ ღმერთმან“ (ჯავახეთის..., 2012, 48).

³ სხვათა შორის, ზაგურსკის თქმით, წუნდაში „როგორც ჩვენ გვარწმუნებდნენ ,ეკლესიის ქვეშ არსებობდა სათვალთვალო ფართო მიწისქვეშა შესასვლელი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეკლესია ხიფათის დროს გამოიყენდოდა წუნდის ძველი ქრისტიანი მოსახლეობის თავშესაფარად“ (Загурский 1873, 58-59).

შუნდა ტოპონიმის ეთიმოლოგიისათვის

წუნდა - ტოპონიმი პირველად IX-XI საუკუნის წაყროში გვხვდება. დღეისათვის ასე უწოდებენ მოზრდილ, დაუსახლებელ „ტერასებიან გორას“ და იქ აღმართულ ეკლესიას ნაქალაქევი და თმოგვი სოფლების გარემოცვაში. წუნდა სახელს იცნობს „ქართლის ცხოვრების“ ძველი ციკლის ხელნაწერები, ბერი ეგნატაშვილის „მეცნიერ კაცოა“ კომისია, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი XII საუკუნისა, ჩვენამდე XIII-XIV საუკუნეების ხელნაწერებით მოღწეული, რომელიც წანდა/წონდა ფორმასხაობებსაც ანაცვლებს. წუნდა-ს ასახელებს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, თსოუნდა (წუნდა) ფორმა დაუფიქსირებია მარი ბროსესაც (ბროსე, 1850, 164) და სხვ.

სახელის ეტიმოლოგიის გააზრებისათვის ყველა ამ ფორმათა შორის გაცილებით ღირებულად ტოპონიმის წუნა-ფორმა მიგვაჩნია, რომელსაც მხოლოდ ვახუშტი ბატონიშვილი იყვნებს (ყაუხეჩიშვილი, 1973, 63-64, 110 და სხვ.).

წუნდა, ლეონტი მროველით, ფარნავაზის სამეფო სახლის ერთ-ერთი რეზიდენციაა, მოხელე ერისთავის საჯდომი, ქვემო ჯავახეთში მტკვრის ხეობის მარჯვენა გაშლილ ვაკეზე ჯავახოს მცხევთოსის ძის მიერ ნაგები. ის ქართლის უპირველეს და უმტკიცეს ციხე-ქალაქთა რიცხვშია უკვე აღექსანდრე მაკედონელის აზიაში ლაშქრობის დროისათვის (ყაუხეჩიშვილი, 1955, 24); ლეონტის ინფორმაციას, მართალია,

„მოქცევაი ქართლისად“ არ ადასტურებს, მაგრამ, ვფიქრობთ, უპირატესობა, ამ შემთხვევაში, ეროვნული ისტორიის უძველესი სახელმძღვანელო წიგნის პირველ ავტორ-რედაქტორს უნდა მიენიჭოს, რომლის ცნობის უტყუარობა დასტურდება წერილობითი, არქეოლოგიური თუ ტოპონიმიკური მასალის მონაცემებით.

წუნდა ქალაქი მრავალუბნიანი დასახლება ყოფილა, ლ. ჭილაშვილის დაკვირვებით, გორა ქალაქის ბირთვსა და ციტადელს ეჭირა, დანარჩენი უბნები კი ნაქალაქევის, ბერთაყანისა და ჯიუტ-მალას ტერიტორიაზე გავრცობილა. დასახლება „მტკვრის ზემო წელის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სტრატეგიული პუნქტი იყო. ის თავისი უბნებით, გამაგრების სისტემით, ციხით (ხერთვისი) ამ რაიონში თითქმის ერთადერთია, რომელიც ქალაქად ჩაითვლება“ (ჭილაშვილი, 1968, 30).

ნაქალაქევი სოფლის სახელმა ავარაუდებინა მეცნიერებს აქ უძველესი ციხე-ქალაქის არსებობა, რომლის სამხრეთით შემორჩენილია ტოპონიმი „ნასასახლევი“ და იქვე, სიახლოვეს, „ჯიუტ-მალა“, სხვანაირად, ლ. ჭილაშვილის დაკვირვებით, ურიათუბანი - „ჯიუტ“ > ჯიგუდ > იგჟუდ = ებრაელი; „მანა“ - იგივე, უბანი (შდრ.კიმოთისმანი). მეცნიერის ამ მიგნებას აქვე არსებული ტოპონიმი – „ურიების საფლავები“ -- ამყარებს (ჭილაშვილი, 1968, 34).

საინტერესო ტოპონიმი ნაქარვასლევი - აქ, მართლაც, არის ფეოდალური ხანის ქარვასლის ნანგრევები, გაცილებით ძველ, შესაძლოა, იმავე ფუნქ-

ციის ნაგებობის ნაშთზე დაშენებული, რაც წუნდის სავაჭრო-ეკონომიკური გზის მნიშვნელობას მიუთითებს. წუნდის ეკლესიასთან დამოწმებულია ტოპონიმი „ნასოფლარი“, ქვაში თლილი საწნახლებით, გელაზით და სხვ.

ყველა, ჩამოთვლილი ტოპონიმი, როგორც ვხვდავთ, ეტიმოლოგიურად ნათელი და გამჭვირვალეა, ახსნას თვით წუნდა ტოპონიმი საჭიროებს, რაზეც ჩვენთვის ხელმისაწვდომ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია თქმული. ამ რამდენიმე წლის წინ ვცადეთ წუნდა-ტოპონიმის ეტიმოლოგიური გააზრება, როგორც იტყვიან, უფრო საკითხის დასმის მიზნით (კუტალაძე 2011, 163). ცოტა მოგვიანებით ქ. ქუთათელაძემ მიიჩნია, რომ ტოპონიმის „ეტიმოლოგიისათვის საინტერესოა „წუნ-ტა“, რომელიც მხარის სახელწოდებაა დადგესტანში. ხუნძურად მაღალ ადგილს, არწივთა საბუდარს ნიშნავს. ალბათ ამ მნიშვნელობის უნდა იყოს „აწუნთის“ ქედის სახელწოდება... „წუნ“-ძირს უნდა უკავშირდებოდეს მდიდარი ქართული ენის გურულ დიალექტზე შემორჩენილი სიტყვა „წუნ-წუპა“, „წუმწუმა“, რაც გადატანითი მნიშვნელობით ყოჩადს, მამაცს, საქმიანს ნიშნავს“. მკვლევარი მსგავსი მნიშვნელობის „წუნ“-ძირის სიტყვებს ასახელებს მეგრულიდან, ინგილოური დიალექტიდან და სხვ. (ქუთათელაძე 2014, 286). შევნიშნავთ, რომ დადესტნურ „წუნტა“-სთან, ანაც „აწუნთი“ სახელთან, როგორც რელიეფის მახასიათებელთან (სიმაღლე) „წუნდა“-ს დაკავშირება გაჭირდება, სწორედ და მხოლოდ, ამ ნიშნის გათვა-

ლისწინებით (წუნდა მტკვრის კანიონის მერეზე მდგბარეობს). ამიტომ, უფრო ფასეულად მიგვაჩნია მისი შემდეგი მსჯელობა „... ლეონტი მროველთან და „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში არტაანი „ქაჯთა ქალაქად“, ხოლო წუნდა „ქაჯთა სახლად“, ან ციხედ იწოდება. ტუნ/სახლი ამ შემთხვევაში იგულისხმება, როგორც სავანე, ტაძარი, ადგილსამყოფელი, სასახლე. არ არის გამორიცხული, რომ ორივე სახელწოდებას რელიგიურ-მისტიკური ელფერიც დაჰკრავდეს და რაიმე წარმართულ კულტს უკავშირდებოდეს. შესაძლოა, ორივე ქალაქი ერთ ღვთაებას, ან კერას სცემდა თაყვანს.... ამას ადასტურებს ისიც, რომ ქრისტიანობის მიღების შედეგ არტან-ერუშეთსა და წუნდაში დიდი სიწმინდეები იქნა დატოვებული, შემდეგ კი ისინი საეპისკოპოსო ცენტრები გახდნენ“ (ქუთათელაძე, 2014, 274-75).

წუნდა სიტყვის ეტიმოლოგიის საკვლევად ამოსავალი, ჩვენი აზრით, წუნ-ფორმატი უნდა იყოს; სახელის ვახუშტისეული ფორმაც, საფიქრებელია, ამას მიანიშნებს. მეცნიერი ბატონიშვილი წუნ-ფუძის სხვა ტოპონიმებსაც ასახელებს: დვანის წყალს, (შიდა ქართლშია), წერს ვახუშტი, ერთვის „კევი წუნარისა. წუნარს არს ეკლესია გუმბათიანი, აწუქმი“ (ყაუხეჩიშვილი, 1973, 374; ხაზგასმა აქ და ყველა შემთხვევაში, თუ სხვა რამ საგანგებოდ არ გვაქვს აღნიშნული, ავტორისაა); ჩვენი ვარაუდისათვის ფასეული ჩანს „წურწყუმა“ ტოპონიმიც სამცხე-ში: „... ჯაყის წყალსავე, წურწყუმას, მოერთვის ფოცხვის კევი...ხოლო წურწყუმას არს ეკლესია გუმბა-

თიანი, კეთილ-შუენიერად ნაგები და დიდი, იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ბოცოს წყლისა და ახალციხის წყლის სამჯრეთისა ვიდრე მტკურადმდე, და ერუშეთისა, და არსიანის მთამდე“ (ყაუეხიშვილი, 1973, 665).

„წუნ-ი“ სულხან-საბასთან განმარტებულია, როგორც „წუნების ნაწილი, საწუნო“ (ორბელიანი, 1993). ქართულში ბეგრია წუნ - ძირით ნაწარმოები, თხიერთან (სითხე, წყალი) ასოცირებული სიტყვები – წუმ(ნ)წუბა/წურწუმა/კუმკუმა-ხელსაბანი ჭურჭელი; წუმწუმა-ქრისტეს სისხლა (მცენარე, ცახცახასაც უწოდებენ); წუნწკალი-წვრილი წვეთი და სხვ. (ღლონტი, 1974); მსგავსი ცნებითი მნიშვნელობის ჩანს ვახუშტის მიერ დამოწმებული წურწყუმა ტოპონიმიც; შდრ-წურწუმა (მესხ.) 1. გრძელ მილიანი თუნუქის წყლის ჭურჭელი, ქორფა ბავშვებისათვის წყლის დასალევინებლად ხმარობენ; 2. საერთოდ ჭურჭლის მილი ან მოვიწროებული პირი (ტუჩი) სითხის გადმოსასხმელად (ღლონტი, 1974).

წუნ-ძირიანი ზოგიერთი სიტყვის სემანტიკა ნეგატიური შინაარსის მატარებელია – მდარეს, ზადიანის, კნინის მნიშვნელობით: მაგალ. წუმპე (იგივე, წუნპე-მყრალი ლაფი); წუთხე (წუნთხე-წუნილი თხიერი); წუნკალი (წუწკი, უჯიშო, ზედაცემული) და სხვ. ასეთი კომპოზიტები ძირითადად წუნილ, ნოტიო, წყლიან ობიექტს გამოხატავს: წუნწუხი: 1. მყრალი ლაფი, წუმპე; 2. საქონლის პატივი წყალში გახსნილი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა წურბელა სიტყვა, წყალში მცხოვრები, ნეგატიური შეგრძნების აღმმგრელი ჭიისებრთა ოჯახის წარმომადგენლი

(შდრ.: დუბელა-თბილი, უგემური, მდგარი წყალი (ქეგლ, 1986).

ჩვენი პიპოთეზის ამოსავალი არის კომპოზიტი –წუნწუბა, წუმწუმა (ინგილოური), რაც ძველქართულად „იგივე გოგირდია“ (ქეგლ, 1964).

მიგვაჩინა, რომ ტოპონიმი ეტიმოლოგიურად წუნდირის ორთავე ზემოაღნიშნულ მნიშვნელობასთანაა დაკავშირებული; ის მიემართება წყლიან ადგილს, მაგრამ თავის ამ წყლიანობაში საგულისხმიუროს, გამორჩეულს. არსებითი არის ის გარემოება, რომ წუნდაში გოგირდოვანი წყლის გამოსავალია; გოგირდწყლებს მოელს ხეობაში ხერთვისიდან ვარძიამდე ვაწყდებით. ასეთ წყალს, როგორც ცნობილია, სპეციფიკური სურნელი აქვს, ხოლო სადინარს, მით უმეტეს, ქვა-კლდოვანს უანგით აგარაყებს. წუნა-სახლით, შესაძლოა, სწორედ გოგირდწყლების გამოსავალები აღინიშნებოდა ხოლმე, ოდესდაც „მითოსურ უამში“, ვითარცა არაჩვეულებრივი, საკვირველი, და ამით, ამიტომაც, რაღაც ზემურის, არასადაგის მომასწავებელი. ასეთ შემთხვევაში მსგავსი წუნა-ადგილები მტკვრის ხეობის ამ მონაკვეთზე იმდენივე იქნებოდა რამდენიც გოგირდწყაროებია - სოფელ ნაქალაქევთან, ფიასთან, ვარძიასთან და სხვ. საგულვებელია, ეს პუნქტები, მათივ უბადლობა-რჩეულობის წყალობით, საკრალურით შეიმოსა და თაყვანცემის ობიექტად იქცა; ხეობის ეთნო-ლინგვისტური ჯგუფი თავის საკერპო-სალოცავებს, ალბათ, სწორედაც, წუნა-წყლებთან (წუნწუბებთან) გამართავდა, მათ გააღმრთობდა.

მითოსურ გააზრებაში, როგორც ცნობილია, სამყარო, მისი დასაბამიერი ცენტრი სხვადასხვა, ამ ცენტრის ნაირსახეობა, შეიძლება ვთქვათ, მიკროცენტრებად ნაწილდება. სახლის (ერთეული საცხოვრისი) დონეზე ასეთი არის კერა ან დედაბოძი, ხოლო სახლის (კერის/დედაბოძის) გარეთ მთელი დასახლებისათვის (გორა) საერთო, ცალკე მდგომი მთავარი სალოცავი. თავისთავად, ამ გორა-დასახლების, სხვანაირად, გვარი-სოციუმის სამყარო საკუთარი, ძირითადი კერპ-სალოცავის, სამყაროული შუაგულის თავისთავში მომცველისა და მასახიერებლის გავლენის არეალით ანუ მისი „ქვეყნით“ შემოიფარგლება. უამთა სვლის ლოგიკით ასეთი გორა-დასახლებანი ანუ, სხვანაირად, „ქვეყნები“ ერთი იდეოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური რეგალიის ქვეშ ექცევა და ყალიბდება ერთიანი გეოგრაფიული სივრცე - „ქვევი“, იგივე ისტორიულ-გეოგრაფიული დიდი „ქვეყანა“; ზუსტად ასევე, მითოსური ჟამის რაცაც ეტაპზე ჩვენი წუნდა გორის სოციუმი ობიექტურ კულტურულ და ისტორიულ ფაქტორთა ხელშეწყობით წინაურდება, საკუთარი სამეურნეო, პოლიტიკური და, რაც ამ შემთხვევაში ხაზგასასმელია, რელიგიური რეგალიის ქვეშ აქცევს მთელს ხეობას. ჩვენი ვარაუდით, ხერთვისიდან მგელციხემდე (დღეს თურქეთშია), იშვება ერთი, კონკრეტული სოციალური ორგანიზმი, ერთიანი ეთნო-ლინგვისტურად და რელიგიურად, რაც, სხვათა შორის, „ქართლის ცხოვრებაშ“ ზუსტი სოციალ-პოლიტიკური ტერმინით აღბეჭდა - „წუნდელნი“: „დაუტევა მას შინა ლაშქარი

შემწედ წუნდელთა და მბრძოლად ოძრხეველთა და წარვიდა⁴ (ყაუხეჩიშვილი, 1955, 47).

წუნდაში წარმართ წუნდელთა „ღმეროები ღმერობდნენ“: ისტორიის რაღაც ეტაპზე, წუნა-ცენტრის მთავარმა დგთაებაშ თავისთავმი გაიერთიანა სხვა წუნა საქერპო-სახელდებანი, რამაც მთავარი საზორავისა და ადგილის მრავლობითობის ფორმით აღნიშვნა განაპირობა; წუნ-და სიტყვაში ფუძისეული - და, ჩვენის აზრით, იგივე - თა - მრავლობითობის პრეფიქსი უნდა იყოს, ენობრივი კანონზომიერების შედეგად სახეცვლილი. საბოლოოდ, ზემოთქმულის შეჯერებით, წუნდა ტოპონიმის წარმოშობის გზა ჩვენ ასე გვესახება: წუნა > წუნა-თა > წუნდა.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, იოანე, კონსტანტინე ბიზანტიის იმპერატორის წარმოგზავნილი ეპისკოპოსი წუნდაში ეკლესიას აგებს, სავსებით დასაშვებია, ტრადიციული წარმართული სალოცავის ადგილზე; უფრო მეტიც, იქნებ, პირველ ხანებში მაინც, ქრისტიანული ეკლესიისათვის შეგნებულად გამოეყენებინათ წარმართული საკულტო-ნაგებობა ან მისი ნაწილი? ასეთი შემთხვევები საქმაოა, როგორც ქართულ, ისე მსოფლიო ქრისტიანულ არქიტექტურაში. მაგალითად, „საგზებელსა თანა ცეცხლისასა“ აღაშენა ნიქოზის ეკლესია ვახტანგ გორგასალმა და „დასუა ეპისკოპოსი“ (ყაუხეჩიშვილი, 1955, 199);

⁴ „ოძრხეველთა“-ში, ზუსტად ასევე, ოძრხის ქვეყნის („კევის“) სოციუმი იგულისხმება, იგივე მერმინდევლი სამცხელნი. „კევის“ ჩამოყალიბება, საბოლოოდ, დასრულებული ჩანს წინარეკანტიკურ ხანაში; იხ. დ. ბერძენიშვილი 2016, 248

ცეცხლის ტაძრის რეკონსტრუქციის ნიმუშად ითვლება უფლისციხისა და ნეკრესის ბაზილიკები (სილაგაძე, 2010, 12). ასევე, ლიბანის მთის კულტის ბაზილიკები „ბევრი მეცნიერის მიერ ქრისტიანულ ეკლესიებადაა მიჩნეული“ (დუნდუა, სილაგაძე, 2010, 44-45). უფრო მეტიც, „ზოგიერთი ადრეული ეკლესიის შიგნით საგარაუდოა სხვა, კერძოდ, მითრას კულტმსახურების წარმოების შემთხვევებიც: ეკლესიათა ერთ ჯგუფში დადასტურებულია სპეციალური სათავსოს – მითრულის - არსებობა“ (დუნდუა, სილაგაძე, 2010, 54). ხომ შესაძლებელია ჩვენს შემთხვევაშიც იგივე დავუშვათ: იქნებ, „მეკერპე“ და ქრისტიანი „წუნდელნი“ ერთხანს ფუნქციურად და ტექნიკურადაც ორად გაყოფილ ერთ ნაგებობაში ლოცულობდნენ - რაც, საფიქრებელია, „ქვეყნის“ პირველი რელიგიური ცენტრის და სალოცავის სტატუსს განამტკიცებდა, წარმართებს ახალი რელიგიის მიმართ სიმპატია-ლოიალობით განმსჭვალავდა, ქრისტეს ახალნერგო რწმენაში გააძლიერებდა, რიცხობრივადაც შემატებდა. იქნებ, იოანე ეპისკოპოსმა, სწორედაც გამიზნულად, ახალი ეკლესია წარმართულ სალოცავს ან მის ნაწილს დააშენა! თ. ქარუმიძის დასკვნა იმის შესახებ, რომ წუნდის ეკლესიის „ადგილას ძველათაც (უწინაც) აღმშენებლის მამაპაპეული სალოცავი ყოფილა“ და, რომ თანამედროვე ეკლესიის ქვეშ არსებული უძველესი ნაგებობის ნაშთი, ე.წ. „კრიპტა ძველთაგან თაყვანცემის ობიექტს წარმოადგენდა“, გვაბედვინებს დავუშვათ, რომ „კრიპტა“ წუნდა გორის უძველეს ბინადართა თაყვან-

ცემის ობიექტის, ოდითვე საკერპო-საკულტო შენობის ნაწილს წარმოადგენდა, რომლის საკრალური სტატუსი ქრისტიანობამ განამტკიცა და აამაღლა.

წარმოდგენილი, მეცნიერულად დაზუსტებული ფაქტები გვაძლევს საკმარის საფუძველს საიმისოდ, რომ მივიჩნიოთ: I. წუნდის ეკლესია იჩქით გურგენიძისა ნაგებია მირიან პირველქრისტიანი მეფისდროინდელი თავდაპირველი ეკლესიის ადგილას;

II. თავდაპირველი ეკლესია მირიან მეფის დროისა, ვახტანგ გორგასალის მიერ საკათედროდ დადგინდებული, თავის მხრივ, საგანგებოდ დაუკავშირეს თუ დააშენეს „მითოსური“ კერპ-ბომონის საზორავს.

III. შეიძლება ვთქვათ, რომ თანამედროვე ეკლესიის დიდებული შემოქმედის წყალობით ათასწლეულთა შემდეგ შემოგრჩა ტრადიციული სიწმინდის, საკრალურის უძველესი მატერიალური ნაშთი ეკლესიის ქვეშ არსებული ძველთაძველი ნაშენობის („კრიპტა“) სახით.

წუნდის საერთო მიზანი

წუნდა ქალაქის დაარსება „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული უძველესი ლეგენდის თანახმად, ჯავახოს მცხეთოსის ძეს მიეწერება, რომელსაც მეტკვიდრეობად ერგუნა მიწა-წყალი „ფარავნითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა. და ამან ჯავახოს ადაშენა ორნი ციხე-ქალაქი: წუნდა და ქალაქი არტანისა“ (ყაუხეჩიშვილი, 1955, 10). წუნდა ქალაქის შემდეგი სსენება ჩვენს მატიანეში უკვე ისტორიულ უამს, კონკრეტულ-ისტორიულ ეპოქას უკავშირდება: „ესე ალექსანდრე გამოჩნდა“ მაკედონელი და „დაიპყრა ყოველნი კიდენი ქვეყანისანი..... და აღმოვიდა ქვეყანასა ქართლისასა. და პოვნა ციხე-ქალაქი ესე ძლიერნი შუა-ქართლ: წუნდა, ხერთვსი მტკურისა, ოძრვე მოკიდებული კლდესა დადოსა, თუხარისი მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა რქვან ჭოროხი, ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანავი, უბანი ურიათა, და რუსთავი, და დედა-ციხე სამშვილდე, და მტკურის ციხე, რომელ არს ხუნანი და კახეთისა ქალაქი“ (ყაუხეჩიშვილი, 1955, 17-18). ლეონტი მროველი ამის შემდეგ წუნდას ფარნავაზის სახელმწიფო ეპოდის-რეფორმატორული საქმიანობის აღწერისას მოიხსენიებს - განაწესა რა „ერისთავნი რვანი და სპასპეტი.... მეხუთე გაგზავნა წუნდის ერისთავად, და მისცა ფანვარითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არტანი“ (ყაუხეჩიშვილი, 1955, 24). წუნდა მცხეთასა და გაჩიანთან

ერთად სამეფო რეზიდენცია იყო: ფარნავაზი, ამბობს წყარო, „თვენი გაზაფხულისა და სთულისა არისანი დაყვნის მცხეთას, სამეუფოსა ქალაქსა; და თუენი ზამთრისანი დაყვნის გაჩიანთა; ხოლო თვენი ზაფხულისანი-წუნდას. და უამითო-უამად მივიდის ეგრისს და კლარჯეთს, და მოიკითხნის მეგრელნი და კლარჯნი, და განაგის ყოველი საქმე დაშლილი“ (ყაუხჩი-შვილი, 1955, 25).

წუნდა საქალაქო ცენტრად, როგორც ჩანს, ძველ ქართლში (იბერია) საქალაქო ცხოვრების დასაწყის ხანაშივე (ძვ. წ. V-IV სს.) ქცეულა. პირველი ქართული ქალაქი, როგორც ეს მიჩნეულია სპეციალურ ლიტერატურაში, „გენეტიკურად“ უძველესი გორა-საცხოვრისის მემკვიდრეა, მისი განვითარებისა და გაფართოების პროცესი; ქალაქი სტრატეგიული პუნქტია, ბუნებრივად რამდენადმე მიუვალი და ხელოვნურადაც მოზღვდულ-გამაგრებული (ძველქართულად, ამიტომაც, ზღვდუღერი), უბნებად დანაწევრებული და სამეურნეო რაიონის მომცველი. როგორ გამოიყურება წუნდა-ქალაქი ამ თვალსაზრისით? სადღეისოდ წუნდად ისახელება მტკვრის პირის მოზრდილი გორაკ-ბორცვიანი გვერდობი უძველესი ტერასებით, რომელთა ასაკი საბოლოოდ დაზუსტებული არ არის; გამორიცხული არაა, ისინი უძველესი, წუნდის გაქალაქებამდელი მოსახლეობის მაღალი ეკონომიკური კულტურისა და სამეურნეო გერგილიანობის შედეგი აღმოჩნდეს, რომელიც, შედგომ, მთელი საშუალო საუკუნეების მანძილზე იხვეწებოდა და ვითარდებოდა.

ნაქალაქარი გორა ჯავახეთის ზეგნის მტკვრისა-კენ გაზიდულ ქედს აბოლოებს, რომლის ბუნებრივი რელიეფური მთლიანობა, აშკარად ჩანს, ხელოვ-ნურად დაუნაწევრებიათ, მისგან მოუკვეთიათ ნაწი-ლი, სავარაუდოდ, თავდაცვისუნარიანობის გაზრდის მიზნით; საფიქრებელია, ციტადელს დამატებით თხრი-ლი და გალავანიც იცავდა (ჭილაშვილი, 1968, 26). ქა-ლაქი და მისი სანახები, როგორც ვთქვით, ჯავახე-თის ზეგნის ძირიდან მტკვრისაკენ მიმართულ ქანობ-ზეა გაშლილი, რომელიც აქ გამომავალ ორ, წის-ქვილის წყლებად წოდებულ, ნაკადს დაუსერავს, რომელთაგანაც ერთი, მეცნიერთა დაკვირვებით, გა-სარწყავიანებისთვის გაყვანილი რუ უნდა იყოს, თუმ-ცა არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ თავდა-პირველად იგი ქალაქის თავდაცვითი სისტემის მნიშ-ვნელოვანი კომპონენტის, თხრილის შესავსებადაც გამოიყენებოდა [აღსანიშნავია, რომ მორწყვის კულ-ტურა ძველ საქართველოში მევენახეობის დაწინაუ-რება-ინტენსიფიკაციასთანაა გადაწნული (კიკვიძე, 1963, 52); მუხრანის, ნასტარის და ურბნისის გვერ-დით წუნდა და მისი მიდამოები ირიგაციისა და ინტენსიური (ვაზის კულტურა) სამეურნეო ცხოვრე-ბის ურთიერთგანპირობებულობის თვალსაჩინო ძეგ-ლად უნდა ვცნათ, 1964 წელს აქ ქვევრსამარხის აღ-მოჩენის ფაქტი ამ აზრს მეტ დამაჯერებლობას სძენს].

უძველეს ქალაქთა ინფრასტრუქტურაში მნიშვნე-ლოვანი ადგილი ეჭირა მიმდგომ სამიწათმოქმედო არეს; როგორც წუნდის მიდამოების არქეოლოგიურ-

მა შესწავლამ დაადასტურა, ინტენსიური, მაღალ-ეფექტური სამეურნეო კულტურა, სათანადო ხელოს-ნური საწარმოო ცენტრის გვერდით, აქ ჯერ კიდევ ადრეპრინჯაოს ხანიდან შეინიშნება.

წუნდის გაქალაქების დროისათვის, უნდა ვიგულ-ვოთ, უკვე საბოლოოდ ფორმირებულია წუნდის ქვე-ყანა - ჯავახეთი და „მასზე მოკიდებული“ კოლა-არტანი. წუნდა-გორის სოციუმის მიერ ერთი წარმო-შობის ეთნო-ლიგვისტური ჯგუფის გაერთიანების, ამიტომ, ამის შედეგად ერთი კონკრეტული სოციალ-ლური ერთობის - „წუნდელნი“-ს⁵, გაჩენა და გაძ-ლიერება წინაანტიკურ ეპოქაში დასრულებული პროცესია, საამდროოდ საბოლოოდ განმტკიცებულია ეთნიკურად და ლინგვისტურად მსგავსი, ერთიან სამეურნეო, პოლიტიკურ და რელიგიურ რეგალიაში მოქცეული სოციუმი, რომლის უპირატეს გავლენას უნდა მივაწეროთ კოლა-არტანის მიერთებაც, რაც დ. ბერძენიშვილის დამაჯერებელი მოსაზრებით, იმით დასტურდება, რომ „არც კოლას და, არც არტანს მა-მამთავარი საკუთარი არ გააჩნიათ და ჯავახოსის სამფლობელოში შედიან. ჯავახოსი აშენებს წუნდას და ქაჯთა ქალაქს არტანში, კოლას კი ასეთი ცენ-ტრი არ უჩანს; გამოდის, რომ იგი არტანის ცენტრს ემორჩილება, ან ჯავახეთისას. ჯავახეთი-არტანი, კო-ლა, თითქოს ასეთია იერარქიული რიგი ამ ქვეყნებისა, რაც ქართლ-მცხეთასთან პოლიტიკური

⁵ „წუნდელნი“ მოიაზრებს, კონტექსტუალურად, წუნდის ქვეყნის მთელს სოციუმს, ან მისგან გამომავალ თემობრივ ლაშქარს.

და ეკონომიკურ-გეოგრაფიული სიახლოების პირდაპირი ასახვა უნდა იყოს“ (ბერძენიშვილი, 1985, 75).

წუნდის საერისთაო და მისი ცენტრი, წყაროთა მოწმობით, ყოველთვის სარგებლობდა ცენტრალური ხელისუფლების მომეტებული, ქართლის, საზოგადოდ, ერთიანი საქართველოს ცხოვრებაში წუნდის ქვეყნის (ჯავახეთი-კოლა-არგანი) უაღრესი პოლიტიკური და ეკონომიკური როლით გამოწვეული ყურადღებით,⁶ რასაც ძირითადად ორი ფაქტორი აპირობებდა:

პირველი – ეკონომიკურ-სამეურნეო ასპექტი. საკუთრივ ჯავახეთის „ერთგვარი ეკონომიკური თვითკმარობა“, ასევე „სრულიად ერთგვაროვანი“ ეკონომიკა „კოლა-არგან-ერუშეთისათვის“ იმ საფუძვლად იქცა, რომელზეც აღმოცენდა და გაფორმდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტატუსი ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანა ჯავახეთისა, „მკვეთრად გამოყოფილ ფიზიკურ-გეოგრაფიული“ სივრცით – „კოლას ქვაბური, არტაანის ქვაბური, ერუშეთის ზეგანი და ჯავახეთის ზეგანი“ (მუსხელიშვილი, 1980, 200). ეგა-

⁶ საურმაგმაო, ფარნავაზის მემკვიდრეობა, გვამცნობს ლეონტი, „უმატა ყოველთა სიმაგრეთა მცხეთისა და ქართლისათა“, მათ შორის, სავარაუდებელია წუნდისაც, ვინაიდან იგი ქართლის უძველეს და უძლიერეს ციხეთა შორის იგულისხმება. „დაჯდა მეფედ არშაკ (ლეონტი, ქართლის მეხუთე მეფე ქრისტემდე II საუკუნის I ნახევარში-გ.კ) და დაიპყრა ყოველი ქართლი და მეფობდა იგი ნებიერად, და უმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა. და უმეტეს მოამტკიცნა ზღუდენი ჯავახეთს, ქალაქსა წუნდას“ (ყაუხჩიშვილი 1955, 30).

ვე ეკონომიკური თვითკმარობა აპირობებს ამ ქვეყნის „უპირველესს შემომტკიცებას ქართლის სამეფოს მიერ“... და საბოლოოდ მის „ზემო ქართლად“ სახელდებას (ბერძენიშვილი, 1985, 75-76). „ბალახყავილოვანი“ ჯავახეთი, როგორც მთა, ქართლის მეურნეობის მასტიმულირებელი ფაქტორი იყო უხსოვარ წარსულიდან ისევე, როგორც ხილ-ვენახოვანი ბარი (შიდა და ქვემო ქართლი) ჯავახური ეკონომიკის. ასეთ მიმართებაში თავს იჩენს ქვეყნის იტორიულ-გეოგრაფიული განვითარების კანონზომიერება – მთისა და ბარის ურთიერთ შეღწევა, მათი ერთგვარი გაერთება, როგორც საქართველოს გაერთიანების წინაპირობა (მუსხელიშვილი, 1980, 203).

ჯავახეთი უძველესი დროიდან ქართლის მესაქონლეთა სადგურს წარმოადგენდა, რასაც ნარატიული წყაროების გვერდით ჯავახეთში დამოწმებული მესაქონლეობასთან დაკავშირებული მატერიალური კულტურის არაერთი შენარჩენი ათვალისწინებს - მშრალი წყობით ნაგები უამრავი „ნაქოხები“ თუ „ნაოხერები“, როგორც სხვანაირად უწოდებენ, „ნაქართლი“ ჯავახეთში ქართლის მესაქონლეთა უძველეს კვალზე მიგვითითებს ისევე, როგორც ჯავახური ყორდანები, ხშირად იქვე გამართული ქრისტიანული სამართვნებით, რაც ცხადად ამოწმებს სამეურნეო კულტურულ ტრადიციის უწყვეტობას (ბერძენიშვილი, 1985, 73).

„მე ჯავახეთს რა მიჭირდა, მთვარე იდგა მზესავთა, კალმახი და ქერის პური წინ მეყარა ბზე-სავითა“ – ჯავახური ფოლკლორის ეს ნიმუში არა

მარტო ჯავახეთის დოკუმენტ-ბარაქიანობას მეტყველებს, არამედ სამეცნიერო საქმიანობის სფეროებსაც – მესაქონლეობა (მთვარის მზესავით დგომა, ვფიქრობთ, სახეობრივად ამას გულისხმობს), მეთევზეობა, მემინდვრეობა-მეხორბლეობა. მოკლედ რომ ვთქვათ, „ქართლის ცხოვრების“, სიგელ-გუჯართა თუ ეპიგრაფიკული მასალის მონაცემები ერთხმობით ადასტურებს იმას, რომ ჯავახეთი, იმთავითვე, ქართლზე მიკრულ სამეცნ დომენად ჩამოყალიბებულა, „აკი ამიტომაც ზემო ქართლის სამი ერის-თავიდან პირველად წუნდის ერისთავია განწესებული“ (ბერძენიშვილი, 1985, 75).

მეორე, არანაკლებ ყურადსაღები ფაქტორია წუნდის ქვეყნის (ჯავახეთი-კოლა-არტან-ერუშეთი) გეოსტრატეგიული მდებარეობა. რომაული საგზაო რუკა, IV საუკუნის ცნობილი გეოგრაფოსის კასტორიუსის Tabula Peutingeriana, რომელიც, როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, უფრო I-II სს. მასალებს ემყარება, უჩვენებს გზას სომხეთის დედაქალაქ არტაშატიდან სებასტოპოლისისაკენ (სოხუმი), გამავალს „ჯავახეთსა და სამცხეზე, ქართლის უძველესი ცენტრების, წუნდასა და ოძრხეს მახლობლად. წუნდაში ამ გზის ერთი ტოტი „ქართლის შიდა რაიონებისა-კენ უხვევდა“ (მელიქიშვილი 1970, 535). აქ გამავალი გზების მიმართულებას საგანგებოდ შეეხო ნ. ბერძენიშვილი: აბოციდან გზა „კუმურდოზე გავლით ჩადიოდა არტაანის მტკვრისპირა ჭალაში, სადაც იყო წუნდა... ხერთვისიდან მტკვრის პირით წამოული გზა წუნდაზე გამოვლით კუმურდოს ამოდიოდა

ჯავახეთის პლატოზე..... თრიალეთიდან ფარავანზე გადმოსული გზა აქავ, წუნდა კუმურდოს სანახებში შეუერთდებოდა ზემოთ დასახელებულ გზა-შარებს“ (ბერძენიშვილი, 1966, 102). მეცნიერი მტკვრის ზემოთისკენ კიდევ ერთ მარშრუტს ასახელებს „ხერთვის-წუნდის გზის“ გაგრძელებით „წუნდა-მარგასტან-ვანის ქვაბ-მირაშხნით“ არტანისკენ (ბერძენიშვილი, 1966, 111), სადაც იგი იტოტებოდა.

ჯავახეთი სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისითაც მეტად საჭირო რეგიონია, მის მფლობელს ხელი იოლად მიუწვდება მთელს საქართველოზე, დასავლეთზეც და აღმოსავლეთზეც, ამიტომაც უძლოდა „ქართლსა ზედა“ ბრძოლას წინ ჯავახეთის მიმხრობა-დამორჩილების ოპერაციები. წუნდის საერისთავო-ქვეყანა, როგორც „საზღვარი ქართლისა“, ესე იგი „ქართლის კუთვნილი მიწა-წყალი“, ოძრხის და კლარჯეთის საერისთავოებთან, წყაროთა ენით, „დასავლეთი ქართლისას“ საერისთავოთა გაერთიანებაში შედიოდა⁷ და საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში საგულისხმო როლს ასრულებდა. ამის გამო სტრატეგიული სანაპირო საერისთავო მალი-მალ გარე მტრის თუ მას მიმხრობილი შინა ოპოზიციის ცილობისა და დაპირისპირების

⁷ ლეონტისთან საქართველოს მეფის ერისთავები ორ ჯგუფად ერთიანდებიან - „ერისთავნი აღმოსავალისანი: ერისთავი კახეთისა, ერისთავი ხუნანისა და ერისთავი სამშვლდისა; მეორე ჯგუფია „დასავლისა ერისთავისა“, სადაც ერთიანდებიან „ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრჯისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა“ (ყაუხებიშვილი 1955, 55-57).

თეატრონს წარმოადგენდა ხოლმე. ამ მხრივ შეტადრე აქტიურობდა სომხური პოლიტიკური ელიტა, რომელსაც ჯავახეთი ექსპანსიის ავანპოსტად წარმოედგინა, რაც ნათლად ჩანს ქართულსა და სომხურ საისტორიო თეზულებებში.

ფარნაჯობ მეფეს (ძვ.წ. II საუკუნის I ნახევარი) დაუკიტყნია მამა-პაპეული სჯული, უპყრია „სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება“, მოუწვევია „სპარსეთით ცეცხლისმსახური“ და მოგუნი“ და დაუსხამს მცხეთას. ამის საპასუხოდ მოიძულეს „მკვდრთა ქართლისათა“ საკუთარი მეფე, „შეითქუნეს ერისთავნი ქართლისანი უმრავლესნი“ და სომებთა მეფისაგან გამოითხოვეს ძე მისი არშაკი, რომელსაც ცოლად ესვა ასული მირვან ქართველთა მეფის, და ფარნაჯობის“. მართალია, არშაკის წარმომავლობის ეს ვერსია ჩვენს ისტორიოგრაფიას არ გაუზიარებია, რადგან „არშაკუნიანები სომხეთში ორი საუკუნით უფრო გვიან გამეფდნენ“ (გუგუშვილი, 2000, 17), მაგრამ საინტერესო ჩვენთვის იმითაბა, რომ ქართლის განმდგარ ერისთავთა შორის ერთ-ერთი წუნდის ერისთავი უნდა ყოფილიყო, რასაც ლეონტის ცნობა - არშაკმა „უმეტეს მოამტკიცნა ზღუდენი ჯავახეთს, ქალაქსა წუნდას“-ო, ადასტურებს.

ქართლის მეფეთა საზრუნავი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, „საზღვართა ქართლისათა“ ადდგენა და შემომტკიცება იყო, რაც სომხეთთან ახალ-ახალ საომარ დაპირისპირებას იწვევდა; „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით, მეფე ადერკიმ სამეფო შვილებს დაუნაწილა, რითაც ქართლში ორმეფობა

დაკანონდა – ერთს (ბარტომს) ებოძა „ქალაქი მცხეთა და ქუეფანა მტკუარსა შიდა ქართლი, მუხნარით კერძო ქალაქი და ყოველი ქართლი მტკვრისა ჩრდილოეთი, ჰერეთიდან ვიდრე თავადმდე ქართლისა და ეგრისისა“, მეორე ძმას, ქართაშს ერგუნა „არმაზით კერძი ქალაქი, მტკუარსა სამხრით ქართლი, ხუნანითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, და კლარჯეთი ყოველი“⁸. ჯავახეთი, როგორც ვხედავთ, „არმაზელ მეფეთა“ საგამგიოში არის მოქცეული, თუმცა ლეონტის მოთხრობით, ადერკიდან მოკიდებული ქართველი მეფეები „იყვნეს მორჩილებასა შინა სომეხთა მეფისა. და უმეტეს არმაზელნი მეფენი შეეწოდეს სომეხთა ყოველთა მტერთა მათთა ზედა“. და მაინც, „სომხეთის დიდი იგი მეფე იარვანდი“ მიუხედავად ასეთი სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა „ემძლავრა ფარსმან არმაზელსა, მოუდო საზღვარსა ქართლისა ქალაქი წუნდა და არტანი მტკვრამდე. და დასხნა წუნდას შინა კაცნი მჯეცნი, ნათესავნი დევთანი, და უწოდა წუნდასა სახელად ქაჯაზუნი, რომელი-ესე ითარგმნების დევთა-სახლად. და ვერ იძებნეს მეფეთა ქართლისათა საზღვარი და მოგუდეს მწუხარებას შინა დიდსა ფარსმან და კაოს“ (ყაუხეჩიშვილი, 1955, 44).

⁸ „ქართლის ცხოვრება“ ხუთ ასეთ წყვილ მეფეს მოიხსენიებს, „მოქცევად ქართლისად“ – ექვსს; ვახუშტის მიხედვით ადერკის „მეფების პირველსა წელსა იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე“, ხოლო ადერკიმ „იმეფა ნუ წელი (57 წ.) მშვიდობით და ნებიერად“ (ყაუხეჩიშვილი 1973, 62-63)

ქართლის „საზღვართა ძიების“ მისამხარად ქართველ მოღვაწეებს სუმბატ ბივრიტიანის მიერ იარგანდის მკვლელობა და მისი ძმის არტაშეს გამეფება მიუჩნევიათ, მოურთავთ კავკასიელ ტომთა ძალი და ასე ულაშქრიათ სომხეთს, აუღიათ „ნატყუენავი ურიცხვ“, აღივსილან „ყოვლითავე ხუასტაგითა“ და შემობრუნებულთ „იორსა ზედა“ ნაალაფარის გასაყოფად დაუბანაკნიათ. მაშინო, გვიყვება ლეონტი, სუმბატ ბივრიტიანმა, რომელსაც მოეწოდებინა „სპასომხითისა“, იწყო დევნა ქართველთა და „გამარჯვებული შემოვიდა ქართლად, და მოაოხრა ქართლი, რომელი პოვა ციხე და ქალაქი გარე; ხოლო ციხე-ქალაქთა არა ჰბრძოდა, რამეთუ არა მზა იყო მსწრაფლ გამოსვლისაგან. არამედ აღაშენა ციხე ქვეყანასა ოძრვევისასა, რომელსა ეწოდების სამცხე, ადგილსა, რომელსა ჰქვან დემოთი, მოკიდებულად მთასა დადოსსა. და დაუტევნა მას შინა ლაშქარნი შემწედ წუნდელთა და მბრძოლად ოძრვეველთა და წარვიდა“. წუნდის ქვეყანა, როგორც ვხედავთ, ისევ სომხეთს ეპყრა, ცხადია, წუნდის ერისთავი ბივრიტიანს თანაეზრახვოდა, რასაც შემდეგი პასაუი გვიმოწმებს: „და იყო ოძრვეს ქალაქსა შინა ერისთავი მეფისა არმაზელისი, აზნაურთაგანი და იგი დადგრომილ იყო სარწმუნოებით ერთგულებასა ზედა არმაზელისსა, და მას შეეწეოდეს მეგრელი. ხოლო წუნდები და დემოთელი შეეწეოდეს ერთმანეთსა, და დაუცხრომლად იბრძოდეს“. საბოლოოდ, ეს დაპირისპირება დაესრულა მაშინ, როცა „უცალო იქმნეს სომები, რამეთუ იწყეს ბრძოლა სპარსთა და ბერძენის საზღვართა ძიების“ მისამხარად ქართველ მოღვაწეებს სუმბატ ბივრიტიანის მიერ იარგანდის მკვლელობა და მისი ძმის არტაშეს გამეფება მიუჩნევიათ, მოურთავთ კავკასიელ ტომთა ძალი და ასე ულაშქრიათ სომხეთს, აუღიათ „ნატყუენავი ურიცხვ“, აღივსილან „ყოვლითავე ხუასტაგითა“ და შემობრუნებულთ „იორსა ზედა“ ნაალაფარის გასაყოფად დაუბანაკნიათ. მაშინო, გვიყვება ლეონტი, სუმბატ ბივრიტიანმა, რომელსაც მოეწოდებინა „სპასომხითისა“, იწყო დევნა ქართლად, და მოაოხრა ქართლი, რომელი პოვა ციხე და ქალაქი გარე; ხოლო ციხე-ქალაქთა არა ჰბრძოდა, რამეთუ არა მზა იყო მსწრაფლ გამოსვლისაგან. არამედ აღაშენა ციხე ქვეყანასა ოძრვევისასა, რომელსა ეწოდების სამცხე, ადგილსა, რომელსა ჰქვან დემოთი, მოკიდებულად მთასა დადოსსა. და დაუტევნა მას შინა ლაშქარნი შემწედ წუნდელთა და მბრძოლად ოძრვეველთა და წარვიდა“. წუნდის ქვეყანა, როგორც ვხედავთ, ისევ სომხეთს ეპყრა, ცხადია, წუნდის ერისთავი ბივრიტიანს თანაეზრახვოდა, რასაც შემდეგი პასაუი გვიმოწმებს: „და იყო ოძრვეს ქალაქსა შინა ერისთავი მეფისა არმაზელისი, აზნაურთაგანი და იგი დადგრომილ იყო სარწმუნოებით ერთგულებასა ზედა არმაზელისსა, და მას შეეწეოდეს მეგრელი. ხოლო წუნდები და დემოთელი შეეწეოდეს ერთმანეთსა, და დაუცხრომლად იბრძოდეს“. საბოლოოდ, ეს დაპირისპირება დაესრულა მაშინ, როცა „უცალო იქმნეს სომები, რამეთუ იწყეს ბრძოლა სპარსთა და ბერძენის საზღვართა ძიების“

თა. და პოვეს მას შინა უამი მარჯვე ქართველთა და ოსთა, იწყეს კირთებად სომებთა“. მოვლენები ისე განვითარდა, რომ „სომებთა უკუმოსცეს საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და ციხე დემოოსა, ჯავახეთი და არტანი“ (ყაუხეჩიშვილი, 1955, 45-49).

აქ შევჩერდეთ, თუმცა, ცხადია, სომებთა ცილობა წუნდის ქვეყანას ზედა ამითი არ დასრულებულა, მაგრამ ჩვენი მიზანი არაა ამ მიმართულებით სვლა. მთელს ამ სამხედრო პოლიტიკურ ბატალიებში ყურადღებას წუნდის ერისთავის როლი იქცავს; ქ. ქუთათელაძე მიიჩნევს, რომ იგი თითქმის ყველა ომში სომებთა მხარდამხარაა, „მუდმივად“ ან თითქმის მუდმივად „ქართლის მეფის ოპოზიციაშია“, რაც, მკვლევარის აზრით, გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა. არ არის გამორიცხული, რომ წუნდის ერისთავს გარკვეული წინააღმდეგობა ჰქონდა ქართლის მეფეებთან“, ამიტომ გარე ძალას „მეტი უფლების შენარჩუნების მიზნით“ ემხრობოდა (ქუთათელაძე, 2014, 278).

წუნდის ერისთავის მოქმედება-მიზანსწრაფვის მეტ-ნაკლებ ასახსნელად საგულისხმიეროა ნ. ბერძენიშვილის თეზა ფარნავაზის საერისთავოების თაობაზე გამოთქმული: „**ძირითადად ეს საერისთავო ქვეყნები იგივე ქართლოს-მცხეთოსის** (და ეგროსის) ძეთა სამამასახლისო ქვეყნებია: ოძრხოსის, ჯავახოსის, უფლოსის, გარდაბოსის, კახოს-კუხოსის, ქუჯის. აშკარაა, ფარნავაზი ამ თავის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოდგაწეობით, ძველიდანვე არსებული ქვეყნების, ე.ი. ეთნიკურ-ტერიტორიული წარმონაქმნე-

ბის, მონათესავე ტომების (ძმები, შვილები) პოლიტიკური გაერთიანების ფაქტიდან ამოდის“ (ბერძენიშვილი, 1990, 152-153). წუნდის ერისთავის (ან სხვათა) სწრაფვა პოლიტიკური პრივილეგიებისაკენ ნაკვებია, ასე ვთქვათ, საკუთარი „რჩეულობის“ შეგნებით; იგი წუნდა-ქვეყნის მამასახლისის თვისი და პოლიტიკური მენაცვლეა ისევე, როგორც ფარნაგაზი და მისი მონადევარნი მცხეთა-არმაზის ქვეყნის (ერისთავობის ინსტიტუზე იხ. ბახტაძე, 2003); ფარნაგაზის გამაერთიანებელი პოლიტიკის შედეგად მემკვიდრეულ რეგალიადამცრობილი, ერთიანი ხელისუფლების მოხელედ ქცეული ერისთავი „ლეგიტიმური“ პოლიტიკური უფლების გაზრდა-გაფართოებას ესწრაფვის და პატრონსაც ამ პერსპექტივის მიხედვით ეძიებს. ეს არის საფუძველი იმ ეპოქის, შემდეგაც, მთელი საშუალო საუკუნეების პოლიტიკური ცნობიერების, ლოკალური პატრიოტიზმით ნაკვები და მისივე მზრდელი, რომლიც ზუსტად და ცხადად არის ფორმულირებული ფარნაგზის მემკვიდრე საურმაგის წინააღმდეგ აღმდგარი ქართლის ერისთავების განცხადებაში: „არა კეთილ არს ჩუენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩუენსა, არამედ ვიყოთ ერთად, და მოვკლათ ჩვენ საურმაგ, და ვიყვნეთ ჩუენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვნით პირველ, და მივსცემდეთ ხარკსა ვინცა-ვინ გამოჩნდის მძლე. რამეთუ ესრეთ ყოფითა უფრო განვისუენებთ“ (ყაუხჩიშვილი, 1955, 26); აქ სჭვივის „ერისთავურ-თავადური“ პოლიტიკის სულისკვეთება, რომლის საპირწონე, შეიძლება ასეც ვთქვათ, ცენტრალიზაცია-სტაბი-

ლურობის ერთგვარი პოლიტიკური ფორმულა მეფე ადერკის სიტყვაში არის გაცხადებული: „მე ვარ შვილი მეფეთა თქუენთა, და სუესა ჩემსა მოუცია მეფობა ჩემდა. აწ მიიღეთ ჩემგან კეთილი და სიხარული“ (ყაუხეჩიშვილი, 1955, 35; ხაზგასმა ორივეგან ჩვენია, გ.პ.). ერისთავები საერისთავო ქვეყნების მიტაცებას ესწრაფვიან, მეფობისას არა - მეფობა ხელსაყრელი და მისაღებია თუ მეფე სასურველი „კეთილისა და სიხარულის“ მოძღებია და ერისთავ-დიდებულთ შორის ოდენ „შემაერთის“ ფუნქციას სჯერდება; სხვანაირად, ძლიერი, ერისთავთა ნება-სწრაფვის მოლაგმე მეფე შეუწყნარებია - ასეთია იმ საზოგადოების კულტურულ-პოლიტიკური ზნეობა, გამოცდილი, „დასაშვები და პრაქტიკაში ხმარებული“, მოსწრაფედ მორჩილების გალდებულების სანაცვლოდ (მოსხელე-ერისთავთა) პოლიტიკური „ურჩობის“ იდეალად დამსახველი და ამით „ფეოდალურ ეთიკის“ ნორმად ქცეული [ფარნავაზის, გორგასლის თუ საქართველოს ფეოდალური გაერთიანების ეპოქის ერისთავთა „ურჩობის“ ეთიკურ-ფეოდალურ საფუძველს არაფერი ამსგავსებს XVI–XVII სს. „უაზრო“ ბრძოლების მიზეზ-საბაბთან⁹ (ბერძენიშვილი, 1978, 58, 73)].

⁹ მეფე-ერისთავის ურთიერთობის საკითხზე ნ. ბერძენიშვილის საარქივო ჩანაწერებში ვკითხულობთ: ერისთავები „ადგილთა ერისთავები არიან. მამაპაპურ რჯულს იცავენ, მეფის თვითნებობას ებრძვიან... ვინც ერისთავებს მიიმხრობს, მისი საქმე გაჩარხულია. და, რაც ყველაზე უმთავრესია, ლეონტი არც ერთ შემთხვევას არ აღნიშნავს, რომ მეფე ერისთავებს სცვლიდეს. ერისთავები მკვიდრად სხედან თავთავიანთ საერისთავოში, თითოეული საერისთაო ვევბერთელა ტერიტორიაა...“

ისევ მთავარ სათქმელს მივუბრუნდეთ; სომხურ-ქართული დაპირისპირება, ლეონტი მროველის ცნობით, დამცხრალა მაშინ, როცა ნათელდებულმა კონსტანტინე იმპერატორმა აოტა სპარსთა ბანაკი და დაეზავა მირიან მეფეს, „ადიყუანა შვილი მირიანისი მძევლად, რომელსა ერქეა ბაქარ, და დაამოყვრა თრდატ და მირიან, და ამზახნა ურთიერთას“ და განაჩინა ქართლისა და სომხეთის საზღვარი: რომელთა ქვეყანათა მდინარენი დიან სამხრეთით და მოერთვიან რაჭსსა, ეს ქვეყანანი თრდატის კერძად დაყარნა; და რომლისა ქვეყანისა მდინარენი ჩრდილოთ დიან და მიერთვიან მტკვარსა, ესე მირიანის კერძად დაყარნა“ (ყაუხჩიშვილი, 1955, 70). ამის შემდეგ, ჩანს, რომ წუნდის ციხე-ქალაქის, მაშასადამე, საერისთაო ქვეყნის როლი და ფუნქცია ქვეყნის პოლიტიკურსა და იდეოლოგიურ ცხოვრებაში კიდევ უფრო გამოიკვეთა და გაიზარდა; წუნდა ერთ-ერთი ის პირველ-თაგანი პუნქტია, სადაც ეპისკოპოსმა იოანემ ბიზანტიის იმპერატორის წადიერებითა და საფასით დაუტევნა „ხურონი და განძი, და რაჟამს ეწყო ოდენ ეკლესიასა“, გზა მანგლისისაკენ გააგრძელა (ყაუხჩიშვილი, 1955, 117). წუნდის ეკლესიის შემკობა-გამშვენებისათვის სახსარი არც მირდატ ბაქარის ძეს, მირიან მეფის შვილიშვილს დაუზოგავს. მოგვიანებით კი ვახტანგ გორგასალმა წუნდის მნიშვნელობის გათვალისწინებით „დასუა“ ეპისკოპოსი „ჯავა-

მეფის მომხრეები აზნაურები არიან, ერისთავები კი ოპოზიციას ქმნიან...სეთი სურათი ყველაზე უფრო შესაფერისია X-XI საუკუნის ურთიერთობისათვის“ (ბერძენიშვილი 1979, 13).

ხეთს, წუნდას“; ცენტრი ჯავახეთისა და რეზიდენცია ერისთავისა მხარის რელიგიურ-იდეოლოგიურ ცენტრადაც იქცა.

ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების გართულება და გამრავალფეროვნება შიდაპოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზეზით აღძრულ ქიშკს ხელს უმართავდა და, საბოლოოდ, ახალი ადმინისტრაციულ-ეკონომიკური ცენტრების გაჩენას ასტიმულირებდა. როგორც ჩანს, გორგასლის სიცოცხლეში ჩასახული ეს ტენდენცია მისი გარდაცვალებისთანავე გამოიკვეთა. იგრძნო რა ვახტანგ „სიკვდილი თავისა თვისისა“, გვამცნობს ჯუანშერი, „რქეა ძესა თვისსა დაჩის: „შენ ხარ პირმშო შვილი ჩემი, შენდა მიმიცემია გზრგვინი მეფობისა ჩემისა და ნაწილად ძმათა შენთა მიმიცემია ტასისკარითგან და წუნდითგან ვიდრე სომხითამდე და საბერძნეთამდე, საზღვარი აფხაზეთისა, რომელი მოცემულ არს ეგრის-წყალსა და კლისურასა შუა, იგი თვთ ძმათა შენთა დედისა არს, იგი აქენდეს მათ, და იყვნენ შენდა ერისთავად მორჩილებასა ქუეშე ნათესავისა შენისა. და მოუწოდა ნასარს, ერისთავსა წუნდისასა, და არტავაზს ერისთავსა კლარჯეთისასა, და ბივრიტიანს, ერისთავსა ოძრჩისასა, და მიათუალა ცოლი თვსი ელენე და შვილი მისნი, რომელთა ერქვა ლეონ და მირდატ....ხოლო ცოლი და ორნი ძენი ვახტანგისნი წარიყვანებს მამათა მათ ერისთავთა, და დაიპყრეს დასავლეთი ქართლისა, რომელი მისცა ვახტანგ. და დასხდეს წუნდას ქალაქსა ზაფხულის, და ზამთარს იყვნიან ოძრჩეს. და არა ეწოდა მათ მეფედ, არამედ

ერისთავთა-მთავრად, და იყვნეს მორჩილებასა მმისა მათისა დაჩი მეფისა“ (ყაუხჩიშვილი, 1955, 203-205; ციტატა მოტანილია აბზაცების დაუცველად, გ.კ.).

ჯუანშერის თხზულების ეს საინტერესო პასაჟი გვატყობინებს, რომ ვახტანგ გორგასლის გარდაცვალებისთანავე (საეჭვოა, მეფის ანდერძ-სურვილით!) დაჩი მეფის ნახევარმების მორჩილების ქუეშ, საერისთავთ-ერისთაოს სტატუსით გაერთიანებულა „დასავლეთი ქართლისა“ –წუნდის, ოძის და კლარჯეთის საერისთაოები, ე.ი. მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (მესხეთი) წუნდის საერისთავოს იმ ტერიტორიის გამოკლებით, რომელიც უშუალოდ სამეფო დომენს, ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს შერჩა. ესაა მიწა-წყალი ფარავნიდან წუნდამდე, ეგრეთ წოდებული, ზემო ჯავახეთი (გამყოფი ხაზი, უთუოდ, ჯავახეთის ზეგანის პირზე გადიოდა), რაც ნათელი მოწმობაა იმ ფაქტისა, რომ ჯავახეთი, მეტადრე დაჩი მეფისათვის რგუნებული წილი გამორჩევით საგულისხმო, მეტიც, პოლიტიკურ-ეკონომიკურად უცვალებელ-განურინებელი არის ქართლისაგან, ვითარცა „უძველესი დროიდან მნიშვნელოვანი სამოვარი სამეფო დომენისა“ (ბერძენიშვილი, 1985, 77).

ერთიანი საერისთაოს ამ დანაწევრებას, ჩვენის აზრით, უკავშირდება ჯავახეთში ახალი რელიგიური ცენტრის წარმოშობა კუმურდოს სახით, მით უფრო, მალევე მას შემდეგ, რაც ვახტანგ გორგასალმა ერთერთი საეპისკოპოსო წუნდას განაწესა. დაჩი მეფისათვის ახალი ეპარქიის დადგინება საკუთარ დომენი

ში მმების საგავლენო „დასავლეთი ქართლისას“ სამეფო კარისადმი ამ მხრივ მაინც დამოკიდებულების ხაზგასმა უნდა ყოფილიყო აქ მეფის საგრძნობლად შეკვეცილი პოლიტიკური ავტორიტეტის საპირწონედ, ამიტომაც სავსებით ლოგიკურად მიგვაჩნია სამეფო დომენად გაცხადებულ ზემო ჯავახეთში კუმურდოს საეპისკოპოსოს, ერთი შეხედვით, მოულოდნელი განენა და დაწინაურება, რასაც ქვემოთ საგანგებოდ შევეხებით.

მოგვიანებით, ლეონის გარდაცვალების შემდეგ, მირდატს „დაევაჭრა მმა მისი დაჩი: მეფემან გაუცვალა ქვეყანა, აღიდო მირდატისაგან ეგრის-წყალსა და კლისურასა შუა, მირდატის დედული საზღვარი საბერძნეთისა, და მისცა ნაცვლად ჯავახეთი ფარავნითგან მტკურამდე. დაიპყრა მირდატ, ძემან ვახტანგისმან, ფარავნითგან და ტასისკარითგან ვიდრე ზღუადმდე სპერისა, ერისთაობდა მუნ; და იყო მორჩილ დაჩი მეფისა, მმისა თვისისა“. დაჩი მეფე, როგორც ჩანს, ბიზანტიურ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ექსპანსიას აღუდგა, ქვეყნისათვის სტრატეგიულ ტერიტორიაზე უშუალო კონტროლი დააწესა სამხრეთ-დასავლეთით ასეთივე პოზიციის ერთგვარი დათმობის ხარჯზე. მართალია, აღდგა ერთიანობა წუნდის საერისთაოსი, მაგრამ იგი უშუალოდ ემორჩილება არა სამეფო კარს, როგორც მისი დომენი, არამედ საერისთაოთა გაერთიანება „დასავლეთი ქართლისას“ მესვეურ სამეფო სახლის გვერდით შტოს. საზოგადოდ, ერთმეფობისათვის, უთუოდ, ხიფათის მატარებელი ასეთ „დავაჭრება“-დანაწილების ნაყო-

ფმა მალევე იჩინა თავი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვ-რებაში სიახლის მომასწავებელი პროცესების სახით (წყაროსთავის კათედრალის დაწინაურებაც ამ რიგის ამბებში ჯდება); რომ არ გაგვიგრძელდეს, რეგიონის რელიგიური ლიდერის ფუნქციაგამოცლილი წუნდა პოლიტიკური ცენტრის როლსაც ნელი-ნელ გამოეთხოვა, რაც, ალბათ, VIII საუკუნისათვის საბოლოოდ დასრულდა. ბატონიშვილი ვახუშტის ცნობა, „პირველ იყო ჯავახეთი, არტანი და კოლა ერთი საერის-თაო და შემდგომად იქმნა ორ საერისთაოდ ბაგრატიონობასა შინა-წუნდისად და არტანისად“, იმას ამოწმებს, რომ წუნდის საბოლოო დამცრობა „დასავლეთი ქართლისას“ საერისთაოთა გაერთიანების ლიდერებად ბაგრატიონების გამოჩენას უქავშირდება: წყაროების „დედით ხოსროიანი და მამით ბაგრატოანი“ გუარამი, ქართლის პირველი ერისმთავარი (VI საუკუნის 70-იანი წწ.), „დასავლეთი ქართლისას“ ლეგიტიმური, დინასტიური მფლობელია.

წუნდის დაკნინების პროცესს ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ ამ დროიდან „იქმნა სიმრავლე მთავართა ქვეყანასა ქართლისასა.... იქმნეს მტერ ურთიერთას“, რაც, რასაკვირველია, ციხე-რეზიდენციათა გამრავლებას იწვევდა; IX საუკუნისათვის ახალციხეებისა და ახალქალაქების ეპოქაში, როგორც უწყობებენ ხოლმე, წუნდა, როგორც ჯავახეთის ცენტრი აღარ არსებობს, მას, დაქვეითებულ-დაკნინებულს, თმოგვის მზარდი ციხე-ქალაქი ენაცვლება.

შუნდის და პუმურდოს იბიგეობისათვის

კონსტანტინე დიდმაო, გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრება“, „მოსცა განძი დიდძალი“ მირიან ქრისტეს ახალნერგი მეფის წარგზავნილ „ეპისკოპოსს იოვანეს და უბრძანა: „სადაცა ჯერ იჩინო ადგილთა ქართლისათა, აღაშენენ ეკლესიანი სახელსა ზედა ჩემსა; და ნიჭნი ესე დაამკდრენ ქალაქთა ქართლისათა... და წარმოვიდა ეპისკოპოსი და მის თანა მოციქული. და ვითარ მოიწივნეს ადგილსა, რომელსა რქან ერუშეთი, და დაუტევნა ხურონი საქმედ ეკლესიისა: დაუტევნა განძი და სამსჭალი უფლისანი და წარმოვიდა. და დაუტევა წუნდას ხურონი და განძი და, რა უამს ეწყო ოდენ ეკლესიასა, წარმოვიდა და მოვიდა მანგლისს, და იწყო ეკლესიისა შენება“ (ყაუხჩიშვილი, 1955, 117). იმავე ლეონტი მროველის ცნობით, მირიანის ძის ძემ მეფე თრდატმა „მატა შემკობა და შენება ერუშეთისა და წუნდის ეკლესიათა“ (ყაუხჩიშვილი, 1955, 131). წუნდის პოლიტიკური და რელიგიური როლისა და დატვირთვის გათვალისწინებით ვახტანგ გორგასალმა ანტიოქიის პატრიარქის მიერ პეტრე კათალიკოსთან ერთად ნაკურთხ თორმეტ ეპოსკოპოსთაგან ერთი „დასუა“ ეპისკოპოსად „ჯავახეთს, წუნდას“ (ყაუხჩიშვილი, 1955, 199), რომლის სამწყსოშიც, პირველ სანებში მაინც, მთელი ჯავახეთი, ზემოცა და ქვემოც, ერთიანდებოდა. ჩვენს უპირველეს საისტორიო წიგნს სხვა რამ ცნობა წუნდის თავდაპირველი ეკლესიის მშენებლობის და იქ კათედ-

რალის დაარსების შესახებ არ მოეძევება. წუნდას არც „მოქცევად ქართლისად“ ასახელებს – „წარაგ-ლინნა მირიან მეფემან და ითხოვნა საბერძნეთით ქვისა მთლელნი და კირით ხურონი. და მოსცნა მე-ფემან და წარმოვიდეს ერუშეთს. და დადგეს საძირკული ეკლესიისა[ვ]. და დაუტევეს ფერწოა ფიცარნი მაცხოვრისანი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესნი და წარმოვიდეს მანგლისს და დადგეს საძირკული ეკლესიისა და დაუტევნეს სამსჯუალნი და ესრეთ მოვიდეს მცხეთად. და იწყო მეფემან შენებად ქვითა ეკლესიასა გარეუბნისასა“; – და არც „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი.

ჯავახეთში პირველი ქრისტიანული სალოცავის დაარსების შესახებ „ქართლის ცხოვრებისაგან“ განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო კუალად გოკიის წყლის შესართავს ზეით, ჯავახეთის მტკუარსა ზედა, სამჯრეთისაკენ, კიდეზედ არს წუნა, რომელი ადაშენა ციხე-ქალაქი, მტკიცედ მოზღვდვილი, ჯავახოს, მცხეთოსის ძემან.... იყო ქალაქი და ციხე საერისოო ერთმეფობამდე. არამედ აწ არღარა არს ქალაქი, გარნა ციხე არს. ამ წუნას ზეით, კრამის თავს, მინდორზედ, სამჯრით კერძოდ, არს კუმურდოს ეკლესია, გუმბათიანი, ფრიად დიდ-შენი, შუენიერად ნაშენი, რომელი ადა-შენეს კონსტანტინეს მოგზავნილთა უამსა მირიანისასა“ (ყაუხჩიშვილი, 1973, 670). აქ, უპირველესად, ხაზგასასმელი ის გარემოებაა, რომ ვახუშტის წარმოდგენა წუნდისა და კუმურდოს მდებარეობის შესა-ხებ მცდარია; მართალია, ჩვენი ისტორიკოს-გეოგ-

რაფოსი ასხვავებს მტკვარს (არტანის მტკვარი, არტანულა) და ფარავნის წყალს (ჯავახეთის მტკვარი), მაგრამ დედა მტკვრის (ატანულას) კანიონში, ხერთვისს ზევით, მდინარის მარცხენა დაფერდილზე მდებარე წუნდა გადაქვს ფარავნის წყალზე, „გოკიის წყლის შესართავს ზეით“. სიზუსტით არც წუნდის ტიპოგრაფიული სურათი გამოირჩევა: - „იყო ქალაქი და ციხე და საერისთო ერთმეულობამდე. არამედ აწ არღარა არს ქალაქი, გარნა ციხე არს. როგორც ვხდავთ, ნაქალაქარის ტერიტორიაზე ვახუშტი აფიქსირებს ციხეს, საფიქრებელია, მერმინდელი ვერან ყალას, იქნებ, ოდესდაც, მართლაც, წუნდა ქალაქის ციხედ ნაგებს, სამაგიეროდ, ამ სურათში არსად ჩანს იჩქითის ეკლესია, მშვენიერი, კეთილნაგები, გარემოს დომინანტი შენებულობა. ვახუშტის, ცხადია, მის შესახებ არაფერი სმენია, თორემ მიუცილებლად ჩაწერდა წუნდის პეიზაჟში.

კუმურდოს მდებარეობას სწავლული წუნდის მიხედვით განსაზღვრავს – „ამ წუ ნას ზეით, ჭრამის თავს, მინდორზედ, სამწრით კერძოდ“, რაც, ცხადია, სინამდვილეს არ ასახავს. ჩანს, წყაროს, რომელსაც ეყრდნობოდა ვახუშტი წუნდის შესახებ, უჯერო ინფორმაცია გააჩნდა, ოდონდაც დანამდვილებით სცოდნია, რომ კუმურდო მართლაც „წუნას ზეით, ჭრამის“ თავზე მდებარეობს, ჯავახეთის ზეგნის მტკვრისაკენ ციცაბოდ ჩამართულ პირზე (გასაგებია, რომ აქ, „წუნას ზეით“-ში მდინარის დინება არ იგულისხმება).

ჯავახეთში თავდაპირველი ეკლესიის მშენებლობისა და კათედრალის დაარსების თაობაზე წყაროთა ამ აშკარა შეუთავსებლობის მიუხედავად, ჩვენს ისტორიოგრაფიას ეჭვი არ შეაქვს ვახტანგ გორგასლის მიერ წუნდას საეპისკოპოსო კათედრალის განწესების შესახებ ჯუანშერის გადმოცემის უტყუარობაში. ამიტომ, ამის ფონზე, ახსნას საჭიროებს წუნდის ეპისკოპოსის ხელდასხმიდან სულ მოკლე ხანში (506 წელს) სომხეთის ქალაქ დვინში გამართულ საეკლესიო კრებაზე მისი მოუხსენიებლობა, სადაც საქართველოს ეკლესია გაბრიელ ქართლის კათალიკოსით და ოცდაოთხი სხვა ეპისკოპოსით, მათ შორის, ჯავახეთის ორი მწყემსმთავრით – იოსებ კუმურდოელით და იოვანე წყაროსთაველით – წარმდგარა.

წყაროსთავის ეკლესია ჯავახეთის დასავლეთ ბოლოზე კარწახის ტბის შემდინარ ფოსოს „წყალზედ არს, ტბის მჭვრეტი... ფრიად დიდ-შუენიერი, გუმბათიანი, რომელი ადაშენა მირდატ გორგასლის ძემან. იჯდა ეპისკოპოსი, მწყემსი მტკრის აღმოსავლეთისა არტანიოურთ, ვიდრე ყარსის მთამდე და ხავეთამდე“ (ყაუხეჩიშვილი, 1973, 669). ნ. ბერძენიშვილს ექვებოდა, რომ „... წუნდისა და წყაროსთავის, როგორც საეპისკოპოსო კათედრათა არსებობის პირობებში (და ეს ასე იყო) კუმურდოც საეპისკოპოსო კათედრა ყოფილიყო“; მეცნიერის საფუძვლიანი დაშვებით, „ან წუნდის საეპისკოპოსო კათედრაში იგივე კუმურდოს საეპისკოპოსო კათედრა იგულისხმება, ან კიდევ წუნდასთან გარკვეული ურთიერთობის პირო-

ბებში, მის დამცრობა-დაცემასთან დაკავშირებით და მის ნაცვლად წარმოიშვა კუმურდოს საეპისკოპოსო კათედრა“. ეს დასკვნა მკვლევართა ნაწილისათვის „სავსებით მისაღები“ გახდა იმიტომ, რომ არსებული წყაროები მეტი დაზუსტების საშუალებას არ იძლევა (სილოგავა, 1994, 24).

დ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის ისტორიული და საეკლესიო გეოგრაფიის უბადლო მცოდნე, კატეგორიულად აცხადებს, რომ „ლეონტი-ჯუანშერის წუნდის საეპისკოპოსოში იგულისხმება მისგან არც ძლიერ დაშორებული კუმურდოს საეპისკოპოსო, რომლის ძველთაგან არსებობას ადასტურებს „ეპისტოლეთა წიგნი“ და გვიანაც შემორჩენილი ტრადიცია“. ამ ტრადიციაში მეცნიერი გულისხმობს იმას, რომ XVI საუკუნის დასაწყისის მონაცემებით, კუმურდოელის ეპარქიას შეადგენდა „ზემო ჯავახეთი ხავეთამდე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ადრე კუმურდოელისა იქნებოდა ქვემო ჯავახეთიც, ე.ო. მტკვრის ნაპირები, განსაკუთრებით წუნდის ცენტრობის დროს, როდესაც ჯავახეთის საეპისკოპოსოც კი წუნდაში ეგულებოდათ“ (ბერძენიშვილი, 1985, 119).

წუნდა-კუმურდოს იგივეობის ამ მხოლოდაზროვან დასკვნის გამყარებას ცდილობს ბ. შჭედლიშვილი ამჯერად კუმურდოს ეკლესიის საამშენებლო წარწერის – „შეწევნითა დმრთისათა იოვანე ებისკოპოსმან დადვა საძირკველი ამის ეკლესიისათ, კელითა ჩემ ცოდვილისა საკოცრისათა, ლეონ მეფისა ზღ-ადიდენ ღმერთმან, ქრონიკონსა რპდ, თოუესა მადსსა ა, დღესა შაფათსა, ა მთუარისასა, ერისთვო-

ბასა ზუიადსსა; ესე ბალაჟვარი მან დადგა. ქრისტე, შეეწიე მონასა შენსა ამენ" (სილოგავა 1994, 83) – ახლებური ინტერპრეტაციით (ქორონიკონი რპდ შეესაბამება 964 წელს).

მივყვეთ ბ. მჭედლიშვილის შემოთავაზებულ ვერსიას: „წარწერაში ორი სახეობის საქმიანობაა აღნიშნული: საძირკვლის დადებაზე იოანე ეპისკოპოსის მიერ და ბალავრის გადებაზე ვინმე სკორციასა თუ საკოცრის მიერ (ციტატში კორექტურული შეცდომაა, მაგრამ ვინაიდან, აზრი ნათელია არ ვასწორებთ, გ.პ.). ამ შემთხვევაში უცნაურად გვეჩვენება: ეპისკოპოსი საძირკვლს დებს და ამის შესახებ მხოლოდ ეს ინფორმაცია არის ჩადებული ამ წარწერაში, ხოლო ვიღაც საკოცარი, „ცოდვილი“ - ალბათ, უჩინო დვთისმსახური ბალავრს დებს და ამის შესახებ მოცემულია უზუსტესი თარიღი. უკვე ეს გარემოება გარკვეულად იმაზე მიუთითებს, რომ ეპისკოპოსის მიერ დადებული საძირკველი შორეულ წარსულს გულისხმობს და ამ ვრცელ წარწერაში ეპისკოპოს იოანეს დვაწლის გახსენებით იწყება. ამასთან ეს იოანე ეპისკოპოსი ყველასათვის ნაცნობი პირი უნდა ყოფილიყო და რადგან წყაროების მიხედვით სწორედ იოანე ეპისკოპოსს მიაწერენ საძირკვლის დადებას, ბუნებრივია წარწერის იოანე, წყაროების იოანე და ვახუშტის იოანე გავაიგივოთ, რადგან ყველა შემთხვევაში ერთსა და იგივე საქმიანობასთან არის დაკავშირებული. ამის საფუძველზე უნდა დავასკვნათ: კუმურდოს ტაძარი აშენებულია იოანე ეპისკოპოსის დროს (მეფე მირიანის ეპოქა). ხოლო ლეონ

მეფის დროს მოხდა ეკლესიის გადაკეთება თუ შეკეთება. სწორედ ამ პერიოდში შესრულებულია არა სამშენებლო, არამედ შეკეთების აღმნიშვნელი წარწერაც“ (მჭედლიშვილი, 1987, 28; ციტატი აბზაცების დაუცველადა მოტანილი, გ.კ.).

იოანე, კუმურდოს ტაძრის წარწერაში მოხენიებული ეპისკოპოსი, „უნდა იყოს მირიან მეფის მიერ კონსტანტინეპოლის გაგზავნილი პირი“, რომლის სახელსაც უკავშირებს ლეონტი მროველი წუნდის ეკლესიის აგებას. ხოლო, რადგანაც „თვით სახელწოდება წუნდა, IX–XI სს-ის წყაროებშია ასახული და არ გამოირიცხება, როგორც ეს სხვა მაგალითებითაც ცნობილია, წუნდის ძველი სახელწოდება სხვა ყოფილიყო“ (მჭედლიშვილი, 1987, 26) მკვლევარს უბიძებს დასკვნას, რომ „ცნებები „წუნდა“ და კუმურდო ერთმანეთს ფარავს და საბოლოო ჯამში ერთ მნიშვნელობამდე მივყავართ წუნდის ეკლესია იგივე კუმურდოს ეკლესია უნდა იყოს..., ალბათ რამდენიმეგზის შეკეთებულ-გადაკეთებული და ამ მხრივ ითხოვს სკრუპულოზურ შესწავლას (მჭედლიშვილი 1987, 26, 29) ამ დასკვნას იგი ეკლესიის სხვა წარწერასაც უმარჯვებს, მაგრამ მასზე ცოტა ქვემოთ.

ახლა კი, წარმოდგენილ ანალიზზე. განმარტებას არ საჭიროებს ის ელემენტური ჭეშმარიტება, რომ წარწერის, საზოგადოდ, ისტორიული ტექსტის მართებული წაკითხვა ტერმინოლოგიური ლექსიკის ჯეროვან ცოდნა-გააზრებას ექვემდებარება. ამიტომაც უმჯობესად მივიჩნიეთ სიტყვა ამ საქმის კვალი-

ფიციურ მცოდნებს, კუმურდოს წარწერების ერთ-ერთ გამომცემელს დავუთმოთ, რომელიც განმარტავს, რომ წარწერაში „ორი პირის მოქმედება“ არის ასახული: „იოანე ეპისკოპოსის მიერ ეკლესიის საძირკვლის დადგება და ზპია ერისთავის მიერ ბალავრის დადგება.“ ეს უკანასკნელი კი სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არ აფხაზთა მეფის ერისთავის მიერ „... ამ საბალავრე ქვის - ნაგებობის ერთ-ერთი მთავარი ხუროთმოძღვრული დეტალის, დიდი ზომის ქვის ფილის მოპოვებისა და მისი მხატვრული შემკობისათვის (კუმურდოს ტაძრის სამხერეთი შესასვლელის ტიმპანი მთლიანად დაფარულია ხალიჩისებური, მეტად ორიგინალური გრეხილი ორნამენტით, რომელსაც პარალელი სხვაგან არ ეძებნება) ხარჯების გადებას: ამით ამ ქვაზე ამოკვეთილ, თუ მოთავსებულ საამშენებლო წარწერის ტექსტში მოხსენების უფლების მოპოვებას. ეს უფლება მას, როგორც ადგილობრივ ხელისუფალს, შეიძლება ისედაც ჰქონდა, როგორც იგი ჰქონდა უმაღლეს ხელისუფალს, მეფეს, რომელიც დიდებით იხსენიება კიდეც წარწერის ტექსტში, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი დამსახურება მის მიერ გაწეული სამსახურით, ბალავრის ქვის „დადგებითაც“ არის გადმოცემული“ (სილოგავა, 1994, 15). ასეთია, წარწერის მეცნიერულად გამართული ახსნა, სავსებით გამომრიცხავი საამშენებლო საქმიანობის „ორი, ეპოქალურად დაშორებული“, როგორც ამას ბ. მჭედლიშვილი ფიქრობს, ეტაპის. წარწერაში, ეს ნათლად ჩანს, ზედმიწევნულობით არის აღნუსხული იოანე ეპისკოპოსის მიერ კუმურდოს ეკლესიის

საძირკვლის დადება და ბალაგრის ქვის ხარჯების გამღების, სხვანაირად, მომგებლის ვინაობა –ზუიად აფხაზთა მეფის ერისთავი; ბალაგრის დადების სამუშაო კი „პელითა ცოდვილისა საკოცრისადთა“ შესრულებულა - არა ვიდაც „უჩინო ღვთისმსახურის“, ბ. მჭედლიშვილის თქმით, არამედ „ფრიად დიდ-შენი, შუენიერად ნაშენი“ კუმურდოს დიდებული ხუროთ-მოძღვრის და, შესაძლოა, ჯავახეთის სხვა ეკლესიებისაც მაშენებლის მიერ, ვისი სახელიც წუნდის მახლობლად სოფელ ფის X საუკუნის ეკლესიის კედელსაც შერჩენია.

აწ უკვე ბ. მჭედლიშვილის მეორე არგუმენტს მივუბრუნდეთ - ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადის წარწერას: „ქრისტე, შეიწყალე მოვანე ებისკოპოსი, ამისი მაშტენებე ლი, დღესა მას“, რომელიც, მისი აზრით, ორ ნაწილებია: „პირველი ნაწილი შესრულებულია ასონიშნების ირგვლივ ჩაღრმავების მეთოდით, ისე, რომ სწორკუთხა ქვის ნაპირები მოჩარჩოებულია ოთხივე მხრიდან და ამით დასრულებულ სახეს იძენს. წარწერა გვაუწყებს: „ქრისტე შეიწყალე იოვანე ეპისკოპოსი“. აღნიშნული წარწერა ორი ნიშის, დაახლოებით, შუა მოქცეული. მეორე ნაწილი მიღგმულია მარჯვნიდან ისე, რომ გადაბმის მხრიდან ჩარჩო გახსნილია, ხოლო თვით ქვის ნაწილი მარჯვენა ნიშზე გადადის და ამით სიმეტრიაც მკვეთრად დარღვეულია, წარწერის ამ ნაწილში იკითხება: „ამისი მაშტენებელი, დღესა მას“. ამიტომ „აზრობრივად ორივე წარწერა დაკავშირებულია ურთიერთთან, მაგრამ, ზემოაღნიშნული მიზეზების

გამო მაინც სხვადასხვა დროს უნდა განექუთ-ვნებოდეს. ჩვენი შეხედულებით, წარწერის მიმატება (შეიძლება განმარტებაც ვუწოდოთ) გამოიწვია სურ-ვილმა, აღენიშნათ ვინმე იოანეს დამსახურება ეპ-ლესიის მშენებლობაში, განსხვავებით სხვა იოანე ეპისკოპოსისა, რომელიც სამხრეთის მცირე შესას-ვლელის თავზე, X საუკუნის წარწერაშია მოხსენიე-ბული“ (მჭედლიშვილი, 1987, 28).

სიტყვის სიმოკლისათვის და იმის საილუსტრა-ციოდ, რომ მთელი ეს, მეცნიერულ დამაჯერებლო-ბას მოკლებული და ტექნიკური ხასიათის რამდენიმე არაარსებით დეტალზე დაფუძვნებული მსჯელობა დასკვნისთვის მცდარ წანამდგვარს წარმოადგენს. სქოლიოში მოვიყვანთ ამ წარწერის ორ აღწერილო-ბას მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით სრუ-ლად¹⁰. ხაზს ვუსვამთ, რომ პირველი აღწერილობა პ.

¹⁰ „ძუმურდოს ტაძრის აღმოსავლეთის ფსადზე გამოქანდაკებულია ერთსტრიქონიანი რელიეფური ასომთავ-რული წარწერა იგივე კვეთისა, რაც წინა N 145 წარწერა (იგუ-ლისხმება საამშენებლო წარწერა იოანე ეპისკოპოსისა-გ.კ.), იგივე პალეოგრაფიული ნიშნების და იმავე დროის ორ ფილაზე. I ფილა - 30X10; წარწერის ფართობი - 25X4, II ფილა - 18 X 10; წარწერის ფართობი - 14 X 4; გრაფიმების სიმაღლე 4....წარმოდგენილი დათარიღების საფუძველი; 1) შინაარსი: მო-სახსენებელი ქტიტორისა - იოანე კუმურდოველის; 2) ამოკვე-თილია წინა წარწერის (N 145) ანალოგიური ხელით“; წარწერა 6. შოშიაშვილის მიერ 964 წლითაა დათარიღებული (ლაპიდა-რული... 1980, 264); ვ. სილოგაგას აღწერილობით, წარწერა არის „ასომთავრული; რელიეფური. ერთი სტრიქონი მოთავსებულია ქვის სამ ფილაზე, რომლებიც გვერდიგვერდ ჩასმულია ტაძრის აღმოსავლეთ ფასადში, ნიშებს შორის არსებული მრგვალი სარკმლის ზემოთ. ასოების რელიეფურობა მიღებულია ფილების ზედაპირის დადაბლებით. მარცხენა ფილა, რომელიც

მჭედლიშვილის ნაშრომის გამოქვეყნებამდეა შესრულებული, ხოლო მეორე - მის შემდეგ. არც ერთი ეს აღწერილობანი, როგორც ვრწმუნდებით, არ ტოვებს იოტ ეჭვაც კი საიმისოდ, რომ წარწერა ორ სხვადასხვა ეპოქისად ვიგულოთ, ამიტომ ვთვლით: კუმურდოს წარწერების იოანე ეპისკოპოსის გაიგოვება მირიან მეფის ეპისკოპოს იოანესთან მხოლოდ გაუგებრობის ნაყოფია. ამასთან, ვახუშტი ბატონიშვილის ის ინფორმაცია, სადაც კუმურდოს მშვენიერი ტაძრის „კონსტანტინეს მოგზავნილთა“ მიერ „ჟამსა მირიანისასა“ აღშენებაზეა საუბარი, მის ხელო არსებული ცნობების და ინფორმატორების არაკომპეტენტურობას უნდა მივათვალოთ. საქმე ისაა, რომ ნებისმიერი სიძველის, ციხე-ეკლესიის, მატერიალური კულტურის ნატამალისაც კი თვალუხვავად და დეტალურად აღმნუსხველი ბატონიშვილი არ ასახელებს წუნდის XII საუკუნის ეკლესიას (წუნდას „გარნა ციხე არს“), ცხადია, მხოლოდ იმიტომ, რომ მის შესახებ არაფერი სმენია. ლეონტისეული ცნობა მირიან მეფის თანამედროვე იოანეს საქმიანობაზე მეცნიერმა კუმურდოზე გადაიტანა, რადგანაც წუნდის შემოგარენში სხვა ეკლესია ან რაიმე ნაშთი საკულტო ნაგებობისა არ ეგულება. წუნდის საეპის-

ორ დანარჩენს ადემატება თავისი ზომით, გაბზარულია ორ ადგილას -ასოების ონისა და ა-ნის არეში. ზომების აღება არ ხერხდება; განკვეთილობისა და ქარაგმების ნიშნები არ ახლავს. დათარიდება: წარწერა თავისი რეალიებით და პალეოგრაფიული ნიშნებით I-ის (იგულისხმება კუმურდოს მაშენებელ იოანე ეპისკოპოსის წარწერა, გ.კ) მსგავსი და თანადროულია, ამიტომ შეიძლება 964 წლით დათარიდდეს“ (სილოგავა, 1994, 44).

კოპოსოს დაარსების მთელი ისტორია, ჩვენი აზრით, ამიტომაც პროეცირდა შორიახლო მდებარე ისტორიულად ცნობილ, სიგელ-გუჯრებში მრავალგზის აღბეჭდილ-მოხსენიებულ კუმურდოს კათედრალზე, რაც, ალბათ, არცა გასაკვირი.

ამდენად, ყოველაფერ ზემოთქმულის გათვალისწინებით ვიტყვით, რომ ჩვენ აკად. ნ. ბერძენიშვილის იმ ვარაუდისაკენ ვიხრებით, რომლის მიხედვითაც კუმურდოს საეპისკოპოსოს წარმოშობა-გაძლიერება წუნდის, როგორც პოლიტიკური და, პირველ რიგში, რელიგიური ცენტრის დამცრობას უკავშირდება, რასაც, თავის მხრივ, ვახტანგ გორგასლის გარდაცვალებისთანავე ერთიანი საერისთავოს, „წუნდის ქავენის“ დაყოფის და დანაწილების აქტით ვხსნით. უკვე აღინიშნა, რომ ძმების საწილო ტერიტორიის მზღვრელი ჯავახეთის ზეგნის პირი იყო. ზემო ჯავახეთი (აქაა კუმურდო) დაჩის წილია, ქვემო ჯავახეთი, სადაც წუნდაა, – მისი ძმების. სამეფო დომენში ახალი სამწყემსმთავროს შექმნა დაჩი მეფის ინიციატივა ჩანს „დასავლეთი ქართლისას“ მირდატ ვახტანგის ძისადმი დაქვემდებარების და, შესაბამისად, რეგიონში მეფის რამდენადმე შეკვეცილი გავლენის საკომპენსაციოდ; იმუამინდელი პოლიტიკური (სააზროვნო-იდეოლოგიურისაც) კონიუნქტურის გათვალისწინებით სავსებით ლოგიკური ჩანს ჯერ კიდევ სამეფო კარის დომენ ზემო ჯავახეთში ახალი საეპისკოპოსო კათედრალის, ერთი შეხედვით, მოულოდნელი გაჩენა და დაწინაურება, რასაც წუნდის საეპისკოპოსოს მოშლა მოჰყვა. ამავე ამბებთან, მაინცადამაინც, ვა-

კავშირებთ მიღდატ გორგასლის ძის მიერ წყაროს-თავს „ფრიად დიდ-შუენიერი, გუმბათიანი“ ეკლესიის ადშენებას, სადაც „იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი მტკურის აღმოსავლეთისა არტანითურთ, ვიდრე ყარ-სის მთამდე და ხავეთამდე“ (ყაუხეჩიშვილი, 1973, 669-670). წყაროსთავის საეპისკოპოსო ვახტანგ გორგას-ლის დადგინებულთა შორის არ იხსენიება, ამ ტე-რიტორიას, წყაროს ჩვენებით, „არტანს ერუშეთს“ მჯდომი ეპისკოპოსი მწყემსმთავრობდა (ყაუხეჩიშ-ვილი, 1955, 198). დვინის საეკლესიო კრებას კი, უკვე ვიცით, კუმურდოვლთან ერთად წყაროსთაველი იერარქიც ესწრებოდა. ახალი კათედრალის განწე-სება და ეპისკოპოსის დადგინება, წყარები ამას ნათლად ამოწმებენ, სამეფო კარის და ეკლესიის საჭეთმპყრობელის პრეროგატივა არის, მაგრამ წყა-როსთავის შემთხვევაში საგულვებელია, რომ მიღდა-ტის, ზემო ქართლის ფაქტობრივი ლიდერის ამბი-ციამ თავისი გაიტანა და საეპისკოპოსო კათედრა არტანიდან მის მიერ ნაგებ წყაროსთავის ეკლესიაში განწესდა. ადმინისტრაციულად გვერდითი შტოს ხე-ლში გადასული „დასავლეთი ქართლისა“, დაჩი მეფის ძმათა დომენი, ეკლესიურად მაინც ქართლის კათალიკოსის მორჩილებაში რჩება, მაშასადამე, ფორმალურად, ცენტრალური ხელისუფლების კონ-ტროლქვეშ, მაგრამ ფაქტობრივად საქმე სხვანაირა-დად, რაც ცოტა ხანში (ლეონტი) მიღდატის ძის წულ (არახამია, 1990, 25), „დედით ხოსროიანი და მამით ბაგრატოანი“ გუარამის, „რომელი მთავრობდა

კლარჯეთს და ჯავახეთს“, ქართლის ხელისუფლად გამორჩევით დასრულდა (ყაუხჩიშვილი, 1955, 218).

ეოველივე აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ დვინის კულტურულ-იდეოლოგიური დატვირთვის მქონე მეტად წარმომადგენლობით კრებაზე წუნდის ეპისკოპოსის მოუხსენებლობა ვახტანგ გორგასალის გარდაცვალების შემდეგ, ამ საეპისკოპოსოს მალევე მოშლით და მის ნაცვლად ორი ახალი კათედრალის - კუმურდოს და წყაროსთავის - დადგინებით უნდა აიხსნას.

სერთვისი – ფუნდის ციხე?

„ცხოვრება მეფეთა“ ალექსანდრე მაკედონელის ქვეყანასა ქართლისასა „აღმოსვლის“ ამბების თხრობისას წუნდა ქალაქის გვერდით ხერთვსს იხენიებს, რომელიც ლ. ჭილაშვილის აზრით, წუნდასთან ერთად აღმოცენდა მისი ქვეყნის მცველად, რასაც წყაროში „უფლისციხესთან და ციხე-დიდთან ერთად უფრო ციხეების ჯგუფში“ მისი მოხსენიებაც უქერს მხარს (ჭილაშვილი, 1968, 30). დ. ბერძენიშვილი არ იზიარებს ამ მოსაზრებას იმ არგუმენტით, რომ იგი თავიდანვე „წუნდის ციხედ წარმოშობილი, წუნდასთან ერთად დაეცემოდა“ და დამოუკიდებელ არსებობას შეწყვეტდა (წუნდა ქალაქის ციხედ მკვლევარი ვერაწყალას მიიჩნევს, რომლის ნაშთები წუნდის მიდამოებში, როგორც ვთქვით, ივანე როსტომაშვილის დროს კიდევ ყოფილა). ხოლო ხერთვისს თვლის თავის შესავალზე საბატონოდ წარმოშობილად, „რამაც მისი დამოუკიდებელი არსებობა განაპირობა წუნდის დაცემის შემდეგაც - X ს. თუ გვიან ხანაში“ (ბერძენიშვილი, 1985, 82).

ხერთვისის წუნდის ციხედ, მისი შესავალის მცველად განხილვა, ვფიქრობთ, არ გამორიცხავს იმას, რომ წუნდას საკუთარი ციხე-ციტადელიც გააჩნდა. არც ხერთვისის სიცოცხლისუნარიანობით, წუნდის დაცემის შემდეგ, აიხსნება მისი თავდაპირველი წარმოშობა-დაქვემდებარების გარემოება. წუნდა მტკრის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთზე, ხერთვისიდან ზემოთ, მგელციხემდე, ყველა საჭირო პარამეტრით

გამორჩეული პუნქტია. მგელციხის იქით ლეონტის ჯავახოსის დაარსებული მეორე ცენტრი ეგულება – არტანი, მისი მიმდგომით. წუნდა, საფიქრებელია, გაქალაქების თანადროულად საგანგებოდ უნდა შეეპრათ ზემოთ მგელციხით, ქვემოთ კი ხერთვისით, როგორც სასაზღვრო-სანაპირო სიმაგრეებით. წუნდის დაცემამ, ახალ საციხისთაო ერთულებითა წარმოშობა-გაძლიერების ხანაში, საუცხოო სტრატეგიული მდებარეობის ხერთვისს ვერაფერი დააკლო, პირიქით, იგი საკუთარ შესავალს იქმნის, აყალიბებს ახალ „მიკროქვეყანას“, რაც ციხის, მისი მიმდგომის მამულობით მფლობელობის აღმნიშვნელი გვარწოდებულების ხერთვისარი-ს გაჩენით დასტურდება; დ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, ხერთვისის შესავალი არის: „უშუალოდ ციხეს დაქვემდებარებული ქვეყანა.... ვიწრო ხეობა მტკვრიდან მერმინდელ ახალ-ქალაქამდე უმნიშვნელოვანესი მაგისტრალით, რომელიც ჯავახეთის ზეგანზე განტოტდებოდა.... ამას გარდა... მტკვრის ხეობის ნაწილი ნაქალაქევიდან დაახლოებით ასპინძამდე, საიდანაც უკვე სხვა ერთული იწყებოდა“ (ბერძენიშვილი, 1985, 81).

ხერთვისის უძველესი ისტორია ბურუსითაა მოცული. მისი წარმოშობა ორი ხეობის შესაყარზე სამხედრო-საფორტტიფიკაციო და საგრანზიტო-ეკონომიკური თვალსაზრისით მეტად ხელსაყრელმა მდებარეობამ განაპირობა; მტკვარს (არტანულას) მოდევნებული ცენტრალური სამიმოსვლო არტერია ანატოლია-წინა აზიის ცენტრებთან ქართული ქალაქების მაკავშირებელი, აქ იტოტება: ერთი შტო ჯავახეთ-

თრიალეთისა და ქვემო ქართლისაკენ ჯავახეთის მტკვარს აუყვება, მეორე კი, ოძრებისა და შიდა ქართლისაკენ მიმავალი, მტკვარს გასდევს. ხერთვისის მიმდგომი ხეობები ვიწროა, ქარაფოვანი, დაცვა-კონტროლისათვის მოხერხებული, რაც, ამავე დროს, მომიჯნავე მცირე ხევებზე მის ბატონობასაც აპირობებს.

ციხის სტატუსის, მის მფლობელ-მეპატრონეთა ვინაობის გასათვალისწინებლად დიმიტრი ბაქრაძის ინფორმაცია ხერთვისის ეკლესიის წარწერიანი ქვის თაობაზე, სადაც განირჩეოდა თურმე სიტყვები „მეფეთ-მეფე“ და თარიღი 985 წ. (მეგზური..., 2000, 107) ვერაფერს იძლევა. XIX საუკუნის 30-იან წლებში კოდევ ყოფილა შემორჩენილი კარიბჭის ქვის წარწერა შვეიცარიული მოგზაურისა და მეცნიერის დიუბუა დე მონპერეს ჩანახატის წყალობით (დიუბუა, 1839, 303), საბედნიეროდ, ჩვენამდე მოღწეული და ამოკითხული ჯერ მარი ბროსეს, შემდეგ კი კ. თაყაიშვილის მიერ: „სახელითა დვთისათა, ოხითა და შეწევნითა წმიდისა მშობელისა დვთისათა, მინდობითა წმიდისა იოანე მახარობელისათა, ვიწყე მეფეთ-მეფისა მოლარეთუხუცესმა ზაქარია, ძემან ქამქამისშვილისამან, ოფელმან კოშკი და გალავანი ესე ქრონიკონსა მბ და გავათავეთ მდ. დმერთო... გულხინე, ამინ“. წარწერის ქორონიკონის მიხედვით, ზაქარია ქამქამისშვილს, მეფე დავით IX (1346-1360 წწ.) ძე გიორგი ბრწყინვალის) მოლარეთუხუცესს ხერთვისის აღდგენა-განახლებითი სამუშაოები 1354 წელს წამოუწყია და 1356 წელს გაუსრულებია.

ვ. ცისკარიშვილის აზრით, „ქამქამისშვილის ძის, ზაქარიას მიერ ხერთვისში კოშკისა და გალავნის აშენება იმისი მაჩვენებელია, რომ იგი ადგილობრივი ფეოდალია“ (ცისკარიშვილი, 1959, 112), რასაც ჩვენ არ ვეთანხმებით: წარწერაში ზაქარია თავს ოველს უწოდებს („ვიწყე... ზაქარია... ოველმან“ – ამბობს ხაზგასმით), რაც იმას ნიშნავს, რომ იგი, ბროსეს ცნობით, ტრაპიზონის მიდამოებში შავ ზღვასთან მდებარე თფი პუნქტიდან არის (ცისკარიშვილი, 1959, 112). ოფი ზაქარიას სამკვიდრო ჩანს, საიდანაც, ამიტომაც, გაფორმებულა კიდეც მისი გვარწოდებულება – **ოველი.** ზაქარია, მართალია, ქამქამისშვილთა სახლის წევრია, მაგრამ ოვითონ ოველია, ოფის მამულობით მფლობელი; სხვა შემთხვევაში გაუგებარი რჩება საკუთარი ვინაობა წარმომავლობის გეოგრაფიული პუნქტით ასე გულდაგული გამოკვეთა (ტექსტში კი ასეა). ვთვლით, რომ ოველი ზაქარია ციხეს ამაგრებს არა როგორც „ადგილობრივი ფეოდალი“- ხერთვისის მეპატრონე, არამედ როგორც მეფის მისანდო მოხელე, მოლარეულუციელი და ხერთვისის და მისი მიმდგომის მოსაკარგავე. წყაროებით არ ჩანს როდის, რა პირობებში გაიმეგვიდრეს ზაქარიას მონადევარმა ქამქამისშვილებმა¹¹ ხერთვისი მისი მიმდგომითურთ, თუმცა XVI საუკუნისათვის ეს დოკუმენტურად დასტურდება; ამ მხრივ საყურადღებო ინფორმაცია მოიპოვება ე. წ. მცხეთის საბუთებში დაცულ „არაერთგზის გამოქვეყნებულ“ ორ დოკუ-

¹¹ „ქამქამი“ სახელი სვანეთის ერთი წარწერიდანაც არის ცნობილი (ცისკარიშვილი 1959, 112)

მენტში: ერთი, 1515-1516 წწ. შედგენილი, ასეა დასა-
თაურებული - „ქ. წ~დისა და ცათა მობაძავისა კა-
თოლიკე სამოციქულოსა საპატიარქოსა მცხეთისა
ეკლესიისა ძუელითგან საქონებელნი და სამწყსონი
სამცხეს თავადნი და სოფელნი“ (ხელნაწერი Ad-91)
და მეორე პარალელური ტექსტი (Ad-697), „მცხეთის
საკათალიკოსო მამულების ვრცელი ნუსხის ფრაგ-
მენტი, XVI საუკუნის I ნახევრისა“ (შარაშიძე 1961,
31).¹²

¹² დ. ბაქრაძეს თავის „არქეოლოგიურ მოგზაურობაში“
მოაქვს ეს დოკუმენტი, რომელიც ორ ხელნაწერში უხილავს
მინაწერის სახით - „ა) საჩხერეუში, იმერეთში, თავად ნესტორ
წერეთელთან, საეკლესიო წიგნში, რომლის სათაურის გად-
მოწერა გამომრჩა და რომელიც გადაწერილია 1822 წ. დეკანოზ
ოსე გაბაონის, მოძღვარ ზაქარიას ძის მიერ, და ბ) ტფილისში,
ვახუშტის ხელნაწერ ისტორიაში, რომლის გადაწერა დამთავ-
რებულია 1816 წ. 26 ივნისს ბაქოში ხელითა მდვდლის დავიტ
ინაშვილისათა“. სახელოვანი მეცნიერი აქვე იმასაც აღნიშნავს,
რომ „სიგელის პირველი ნახევარი, სადაც აღნიშნულია ზემო
ქართლის ძველი საგვარეულოები, დაცულია აგრეთვე, „სა-
ქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის გუჯრების კრე-
ბულში“ N 507, ფურცელი 180, რომელიც ტფილისის გუბერნიის
სახელმწიფო ქონების სამმართველოს გადაეცა. ამ სიგელის
სათაური საჩხერისა და ტფილისის ხელნაწერთა ვარიანტებში
ერთნაირია. პირველში ახლავს მინაწერი „ეს ვიხილე ძველთა
მოთხოვობათ და ისტორიათა საქართულოისადასა მეფეთასა და
გადმოვცხერე, ვითარცა წერილ იყო“. „კრებულის“ ვარიანტში
(ე.ი. საჩხერულ ვარიანტში; გ.კ.) სიგელი ასეა დასათაურებული:
„სამცხეური სამწყსოს სიგელი საათაბაგოსი - წ~ისა და ცათა
მობაძავისა კათოლიკე სამოციქულოსა საპატიარქოს ძუელით-
გან საქონებელი და სამწყსონი მცხეს თავადნი და სოფელნი“
(ბაქრაძე, 1987,75). ეს ხელნაწერი სათაურის მიხედვით, როგორც

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე პირველ ხელნაწერში (Ad-91) იკითხება:

„...12. ხერთვისარნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა ქამქამისძისა უულზედა არიან, ამატაკიანთ აქუს...“;

მეორეში (Ad-697):

„...12. ხერთვისარნი სასაფლაოთა და მონასტრითა ამატაკის შვილსა აქუს“;

Ad-91 დოკუმენტით საბუთის შედგენის დროისათვის ხერთვისი შესავლითურთ (ციხე, სასაფლაო, მონასტერი, კარის ეკლესია - მამულის სრული ატრიბუტიკა), რომლის თავდაპირველ მფლობელებად ს. კაკაბაძის ინტერპრეტაციით, ქამქამიძენი გვევლინებიან (კაკაბაძე, 1920; 10-11);, ამატაკიშვილებს პკუთვნებიათ; Ad-697 ხელნაწერი, როგორც ვხედავთ, არაფერს ამბობს ქამქამისძეებზე და ხერთვისარის ადგილზე იმთავითვე ამატაკიანებს ასახელებს.

ვხედავთ, წარმოადგენს ქ. შარაშიძის გამოცემის Ad : 91 ხელნაწერ საბუთს.

1920 წელს ეგვევ საბუთი, „საეკლესიო მუზეუმის სიგელ-გუჯრებში“ მოპოვებული, გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ და აღნიშნა, რომ საბუთი დ. ბაქრაძემ პირველად დაბეჭდა „პირის მიხედვით“, და სავსებით საფუძვლიანად მიუთითა, რომ დ. ბაქრაძის მიერ „ტექსტის დალაგებაში ფრიად თვალსაჩინო შეცდომები შეპარულა. მის მიერ გამოქვეყნებული „საეკლესიო მუზეუმში დაცული საბუთი (№ 91) კი წარმოადგენს დედანს, დაწერილს კარგ ქაღალდზე მე-XVI საუკუნის პირველი ნახევრის ლამაზი ხელით“ (კაკაბაძე 1920, 7). ს. კაკაბაძის გამოქვეყნებული ეს საბუთი არის ქ. შარაშიძის Ad : 91 ხელნაწერი.

ს. კაკაბაძე მიიჩნევდა, რომ Ad-91 საბუთს საფულად „უფრო ძველი ცნობები“ სდებია, რაც „სჩანს იმ გარემოებიდან, რომ თითქმის ყოველს თავადის გვარეულობასთან ერთად დასახელებულია მისი წინამორბედი გვარეულობის ვინაობა და ისიც წინადაღების იმგვარი კონსტრუქციით, რომელიც ცხად ყოფს, რომ შემდგენელს ხელთ პქონია უფრო ძველი სია და ცდილობდა მის განმარტებას თავისი დროინდელ ცნობებით. მაგ., ბუმბულისძენი სიით ავალიშვილთა და სლექსართა აქუს, ლონგოსძენი ლასურიძესა აქუს,.... ოთარი – შალიკაშვილთა აქუს, ხერთვისარი – ქამქამისა ეულზედა არიან, ამატაკიანთა აქუს და სხ. უკანასკნელი ცნობა ფრიად საყურადღებოა, ის ცხად ჰყოფს, რომ შემდგენელს მართლაც პქონდა ხელთ სხვა უფრო ძველი სია, სადაც ეს ადგილი მოხსენებული უნდა ყოფილიყო ამ გვარად: „ხერთვისარი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა ქამქამისძისა ეულზედ არიან“, ხოლო შემდეგ თვით ავტორს ჩვენი საბუთისას მიუმატებია: „ამატაკიანთ აქუს“ (კაკაბაძე, 1920, 9-10). ისტორიოგრაფიაში გაზიარებულ ამ დასკვნაზე დაყრდნობით ქრ. შარაშიძე აღნიშნული საბუთების პარალელური ტექსტების 12 მუხლთან დაკავშირებით საგანგებოდ მიუთითებდა Ad-91 ხელნაწერის უპირატესობას, როგორც უფრო სრულისა და სწორის (შარაშიძე, 1961, 34 სქოლიო 3-4).

საბუთზე დაკვირვება ცხადყოფს იმას, რომ ხელნაწერის ავტორის მიერ ჯერ „წინამორბედ გვარეულობის“ დასახელების, შემდეგ „თავისი დროინდელი

ცნობებით“ განმარტების პრინციპი მხოლოდ ერთგან, სწორედ ამ, მეთორმეტე მუხლის შემთხვევაში არის დარღვეული დამატებითი, დამაზუსტებელი ინფორმაციით. ს. კაკაბაძის გამოქვეყნებულ ხელნაწერ და-დანში, სადაც სიტყვათა განკვეთილობის ნიშნად ორწერტილი იხმარება, ჩვენი მუხლი ასე იკითხება: „ხეროვისარნი: სასაფლაოთა: მონასტრითა: და: კა-რის: ეკლესითა: ქამქამისა: ეულზედა: არიან: ამატა-კიანთა: აქუს:“ (კაკაბაძე, 1920, 8). ვფიქრობთ, ეს ადგილიც სხვანაირად უნდა წავიკითხოთ:

საბუთში ხეროვისის მფლობელის გვარწოდებუ-ლება გაფორმებულია -არ ვინაობის აღმნიშვნელი სუფიქსით, „რომელიც ქართულ-მეგრული ფონეტი-კური კანონების მიხედვით, წმინდა შესატყვისია, ნამ-დვილი შესაფერისია ქართული -ელ სუფიქსისა“ (შანიძე, 1981, 35); -არ სუფიქსიანი (რეგიონში ჭან-მეგრული მოსახლეობის ოდინდელ განსახლების კვალი) გვარწოდებულობანი, რასაკვირველია, „ძე“ და „შვილი“ სუფიქსებიანი გვარების გვერდით და პარალელურად თანაარსებობს, მაგრამ, ჩვენი აზრით, უფრო ძველი, არქაული ელფერის ჩანს. საბუთზე დაკვირვებითაც თვალსახილველია, „არ“ ბოლოსარ-თით გაფორმებული გვარულობანი ხშირად მათი მონაცემების სახლების, გავიმეორებთ ს. კაკაბაძის თქმას, „წინამორბედია“. მაგალითად: ამავე საბუთში მოხსენიებული ღობიარი, რომლის მამული „დიასა-მიძესა აქუს“ თორელთა განაყოფი სახლია XIII-XIV სს.; ასევე ძველია სამძივართა (მის მამულს საბუთით გოგიბაშვილი მიპატრონებია), და ოთართა (ჩვენის

აზრით, შალიკაშვილთა წინაპარი წარმომდგარი სამცხის ოთა პუნქტიდან (კუტალაძე, 2009, 354-355), გვარი. ამიტომ გვაონია, რომ „ქამქამიძისა უულზედა არიან“ Ad-91 ხელნაწერის აწმყო ვითარების ამსახველი ფრაზა, ამატაკიანთ მიემართება - „სხვა უფრო ძველი სიით“ მოსარგებლე მემატიანე ახალი მფლობელის ვინაობასთან ერთად მისი მფლობელობის წინაპირობას, ქამქამის უულზედ ყოფნას აზუსტებს.

ხერთვისის ციხის და მისი მიმდგომის თავდაპირველი მეპატრონე, ჩვენის აზრით, არის ხერთვისარი; შემდეგ ემემქვიდრებიან მას, როგორც ჩანს, ზაქარია ოფელის მონადევარი ქამქამისშვილები, მათ უულზედ კი ამატაკისშვილები სხდებიან. ამ აზრის საწინააღმდეგოდ არც Ad-697 საბუთის ტექსტი გამოდგება, სადაც საერთოდაც არ იხსენიება ქამქამიშვილი; მართალია, Ad-91 ხელნაწერი უფრო სრულია, როგორც ქრ. შარაშიძე ამბობს, მაგრამ ასევე „სწორია“ Ad-697 საბუთიც, რომელიც თავდაპირველი მფლობელის დასახელებით, ფაქტიურად, შემოხაზავს რა მცხეთის საყდრის ამ მამულის საზღვრებს, იძლევა მისდროინდელი ახალი მეპატრონის შესახებ ინფორმაციას ისე, რომ მფლობელობის ზემონახსენებ წინაპირობას (უულზედ დგომა) არ მიუთითებს, უეჭველია, ერთი ცხადი მიზეზის გამო - ხელნაწერის ავტორის მიზანს, აღეწერა საკათალიკოსოს სამწყსონი და საქონებელნი სამცხეს, ასეთი ინფორმაცია, ისტორიის-თვის თუმცა ძვირფასი, არაფერს მატებდა.

მივუბრუნდეთ ხერთვისს. ამატაკიშვილების, როგორც მცხეთის საყდრის თავადის მეპატრონება

ხერთვისში 1578 წლის აგვისტოს თვეში დასრულდა. მუსტაფა ლალა ფაშას სარდალ აბდუ-რახმან ბეგს „არფაქსად (ამატაკისშვილი, გ.კ.) პბირებოდა ექვსით ციხითა მას წინათ და ხერთვისი და ხუთი ციხე მას შეეძლუნა და პატრონს მანუჩარს თან მიჰყეა, იმწამს გამოოპგუარეს, ციხენი გამოართულს და ხახული სასანჯახოდ მისცემ“ (შარაშიძე, 1961, 49). მანუჩარი მალე განუდგა ოსმალებს, 1582 წელს ათაბაგობა აღადგინა და ანტიოქიალურ კოალიციას მიუერთდა. იგი ერთხანს შაჟ აბას I-თან ვასალური ურთიერთობის გაბმით ცდილობდა საათაბაგოს შენარჩუნებას, რაც შაჟს იმ ეტაპზე ჭკვაში დაუჯდა, რადგან დიდებულთა მიმხრობით ფიქრობდა „ოსმალები სამცხის დასავლეთი ნაწილიდან განედევნა. შაჟის ამ პოლიტიკის გატარებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ყიზილბაშებს იმთავითვე სუსტად პქონდათ ფეხი მოკიდებული სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილში და აქ ანტიორანული განწყობილება ძლიერი არ იყო“ (სინ, 1973, 211). ირანის „ლომი“ ლამობდა სულთნის კარს აღმოსავლეთ მესხეთზე მისი „უფლებები“ ეცნო, მაგრამ 1619 წლის ზავით მან აღიარა ოსმალთა უპირატესობა, თუმცა „დრო იხელთა თუ არა, სამცხის ციხეებში საკუთარი გარნიზონები ჩააყენა (1623 წ.). ახალ პოლიტიკურ ვითარებაში შაჟის პოლიტიკით გაღიზიანებული მანუჩარ III ათაბაგი ოსმალებს მიუვიდა; ამავე დროს გიორგი სააკაძე, მარაბდის ომის შემდეგ, საათაბაგოში გადასული ანტიყიზილბაშური კოალიციის ორგანიზებას შეუდგა: „მაშინ ხერთვისის ციხე და სხუანი რაოდენ-

ნიმე სამცხის ციხენი ყიზილბაშთ ეჭირა, მივიდა მოურავი და აღიღო ციხე ხერთვისისა და სხუანი ციხეები და შინამყოფნი ყოველნივე ამოსწყვიტა, გვიამბობს ბერი ეგნატაშვილი, და მაშინ გაგზავნა ქავთარის შვილი გიორგი ხვანთქართანა და შეუთვალა, ვითარმედ: „ესე ციხეები ყიზილბაშს ეჭირაო და აწ მე წამირთმევიაო, გამოგზავნეთ ჯარი თქვენი და დააყენეთ ციხეებსა ამას შინაო. ხოლო ხონთქარმან დიდად დაუმადლა და მრავალი წყალობა გამოუგზავნა და გამოგზავნა ენგიჩრები და დააყენა ციხეებსა მას შინა“ (ყაუხეჩიშვილი, 1959, 410).

საქართველოს მოწყვეტილი მესხეთი გმირი მეფე ერეკლეს პოლიტიკაში განსაკუთრებულ ადგილს იქნერს. ასპინძის ომის შემდეგ „წელსა 1771, ქორონიკოსნ 459 მეფეს ირაკლისთან იყო ლვოვი ივან ლავრენტიჩი მინისტრად წარმოვლენილი. მან უთხრა მეფეს ირაკლის: „ვინათგან თქუენსა და ღრაფ ტოტლებენს შორის შფოთი რაიმე არს შთამოვარდნილ, თუ რომ ოსმალთ არ აეშლები და ერთ რასმე სამსახურს არ დაანახვებ იმპერატრიცა ეპატერინა ხელმწიფას, შენ უთუოდ ღრაფი შეგასმენს და ეს ასე არ ვარგაო“. მისი რჩევით, განიგულა მეფემან ირაკლი აშლა ოსმალთა და მოიბირნა ერთი ბეგი ხერთვისისა¹³, შეჰყარა ჯარები, მივიდა საწინააღმდეგოდ

¹³ ალბათ, ოსმალოს შეორგულებული ხერთვისის სანჯაყ ბეგი იბრაჟიმი, სავარაუდოდ ვაჩნაძე, რომელიც გუჯარეთელი ციციშვილების მეოხებით ციხის ერეკლესათვის გადაცემას გეგმავდა (გიულდენშტედტი, 1962, 229).

ხონთქრისა და ო(ომე)ლიცა არის პირველი ციხე ათაბაგისა ხერთვისი, დიდად გამაგრებული, იგი აღიღო და თვისხი მეციხოვნენი შეაყენა გარნა ლვოვმან ივან ლავრენტიჩმა არა ინება ციხის შენახვა სიტყვითა ამით, რომელ „ესე საქმე ერთგულებად რუსეთის ხელმწიფისად კმა არისო და ციხეში მცველო კი ვედარ შეაყენებო, ამისთვის რომელ არამც ხონთქრის ძალა მოვიდეს და ეს ციხე, რომ ძალით აგვართვან სირცევილი არისო. მაშინ მევემან ირაკლი გამოიყვანნა მცველი ხერთვისის ციხეს შეკენებული და მრავალი ტყვე და საქონელი გამოიტანეს და ძვირფასი ნივთები იშოვეს“ (ხერხეულიძე, 1989, 63; ციტატა აბზაცების დაუცველადაა მოტანილი; ამჯერად ჩვენ მხოლოდ წყაროს ინფორმაცია გვაინტერესებს და არა მისი ისტორიულ-პოლიტიკური ანალიზი, გ. კ.).

ხერთვისი ქართული ფორტიფიკაციის „ერთ-ერთ საუკეთესო“ ქმნილებადაა მიჩნეული, რომელიც ქრისტემდე IV საუკუნეში უკვე არსებობს, თუმცა მისი უძველესი ფენები ჯერაც ელის გამომზევებას. ფარავნის წყლის პირიდან ამოსხლეტილი უზარ-მაზარი შვეული კლდის სუბსტრუქციაზე დამყარებული შთამბეჭდავი ციხე ორი ნაწილისაგან შემდგარ კომპლექსად წარმოგვიდგება – კლდის თხემზე მდებარე ციტადელით და აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხრიდან შემოვლებული მასზე „გაცილებით ვრცელი“ ფართობის მომცველი დღესაც შთამბეჭდავი გალავნით.

ჩრდილოეთის კიკაბო ყველგან, „სადაც ფეხის
მოკიდება შეიძლება“, დაუძლეველი კედლებითაა გა-
მაგრებული, შედარებით დაუცველია აღმოსავლეთი,
ჯავახეთის ზეგნის პირის და სამხრეთი მხარე,
რომელსაც, როგორც ჩანს, რამდენიმე წელი აღმარ-
თული მძლავრი გალავანი მეთვალყურობდა. თვითონ
ციტადელი მაღალი, ქონგურებით დასრულებული
კედლებით ამოყვანილი რამდენიმე მონაკვეთად დაუ-
ნაწევრებიათ და მძლავრი ბურჯებითა და კოშკებით
გაუმაგრებიათ (ზაქარაია, 1988, 62), სხვათა შორის,
„დასავლეთით მდგარი გვიანი წარმოშობის პრი-
ზმული კოშკი“ დრამატული სიუჟეტის ლეგენდა-
რული გადმოცემით შებურვილა¹⁴; ციხის ნაშენობას
მრავალგზისი აღდგენა-შეკეთება უნდა განეცადა,
ზაქარია ქამქამის ძე ოფელის წარწერაც ხომ ერთი
ასეთი სარესტავრაციო-განახლებითი სამუშაოების
შესახებ გვიყვება.

ასეთს რთულსა და მიუვალ ციხეს წყალმომა-
რაგებაც შესაბამისი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ადრეუ-
ლი ისტორიიდან არაფერი მოგვეპოვება მის გასათვა-
ლისწინებლად. მოგვიანებით მეპატრონებს ეს საქმე
ციტადელის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთს მიბმული

¹⁴ „როდესაც,- გვიყვება ლეგენდა,- თამარ მეფე აშენებდა
სეროვისს ანუ ქაჯეთის ციხეს, მას ჰყავდა ერთი ოსტატი და
შეგირდი. შეგირდმა აჯობა ოსტატს. შემდეგ ოსტატი მივიდა,
ციხის კოშკიდან ჩამოიღო კიბე. დარჩენილმა შეგირდმა ხისგან
გამოთალა ფრთხი, გაიკეთა იდლიის ძირას და გადმოფრინდა.
მარა მას საუბედუროდ ნაჯახი ჰქონდა თან. ზედ დაეგო და
მოკვდა. ამ ხელვნას თამარ მეფე დიდხანს ატარებდა“ („...მე
ჯავახეთს... 2003, 104).

თავფარავნისწყლამდე ჩათხრილი გვირაბით გადაუწყვეტიათ (ზაქარაია, 1988, 62). დიუბუაც თავის ჩანაწერებში მიუთითებს, რომ „წყალი ამოაქვთ ფარავნიდან ორი, მიწისქვეშა გზით და ისინი ჩემ მიერ ზემოთ აღწერილი ქუთაისის ციხის მსგავსნი არიან“-ო (მიქიაშვილი, 2016, 127). სავარაუდოდ, ხერთვისის წყლის რეზერვუარები ჯავახეთის ზეგნიდან და ცურალას მთის ფერდებიდან მომდინარე ნაკადებითაც უნდა შევსებულიყო, რომელთა დაცვის ფუნქცია, შესაძლოა, სამხრეთით, ცურალას გვერდობზე შიდა ციხიდან, დაახლოებით, 300 მეტრზე (150 საჟნი) წამომდგარ კოშკს ეკისრებოდა, რომელზეც უშაკოვი მიუთითებს (Ушаков, 1836, 266).

გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში გ. ბოჭორიძეს ხერთვისის ციხეში სანახევროდ დაქცეული ეკლესია უხილავს, ერთნავიანი, $6 \times 2,9\text{მ}$. ზომის: „მხოლოდ საკურთხევლის ნაწილი თავისი თაღით, სარკმლის ადგილი გაგლეჯილია. შიგნით გალესილი ყოფილა კირით. გარეთა პირი სულ მოცილებული აქვს“. ეკლესია ყოფილა „ხერთვისის ბოლოს“, ციხესთანაც „ერთნავიანი შენობაა $6,2 \times 3,6$ მ. შენახულია მარტო აღმოსავლეთი ნახევარი უთადოდ. ნაგებია ქვითკირისაგან“, – ჩაუწერია მეცნიერს (ბოჭორიძე, 1992, 227).

დიუბუა დე მონპერეს ექსპრესიული თქმით: „ხერთვისთან მიახლოებისას მტკვრის ხეობა კვლავ ვიწროვდება. ორი შვეული, მოშავო ფერის ფერდობები ერთმანეთისაგან გამოყოფილია მტკვრის დინებითა და ხეხილის ბაღებით დაფარული მიწის

ნაკვეთის ვიწრო ზოლით. სულ უფრო მზარდი ინტერესით შევყურებდი ჩემ პირდაპირ ბნელი და ღრმა ნაპრალით გადაკვეთილ ფერდობს, რომლის შესასვლელსაც ნახევრად ფარავდა შავი, განცალკევებულად აღმართული კლდე. სწორედ ამ ადგილას მდებარეობს ხერთვისი, ეს ნაპრალი წარმოადგენს ვიწრო ხეობას, რომელსაც გაივლის ფარავანი, ვიდრე მტკვარს შეუერთდება. ამ ციცაბო კლდეზე კი, რომელიც ორი მდინარის შეერთებისას კუთხეს ქმნის, დგას ხერთვისის ციხე: იშვიათად თუ იპოვის მხატვარი თავისი ფუნჯისათვის უკეთეს პერსონაჟს!“ (მიქიაშვილი, 2016, 125). აღფრთოვანებული მოგზაური მეცნიერი აღწერს ციტადელს; მის, როგორც თვითონ ამბობს, „შედარებით ახალ ნაწილს, გადაჭიმულს „აღმოსავლეთით და სამხრეთით, კლდეზე“ ოთხი მძლავრი, ერთმანეთთან „ოთხი ფუტის სისქის“ კედლით შეერთებული კოშკით: დასავლეთისა „ქუფრუ-კალა, მის სიახლოვეს ჯაბახანა, სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხის კოშკი უზუნი და ბოლოს, სამხრეთისაკენ მიმართული თოვებანა. ეს ორი უკანასკნელი კოშკი იცავს ორ კარს: სამხრეთის კარს ჰქვია „სოვეკაპი“ (წყლის კარი), აღმოსავლეთისას კი ჩარჩიკაპი (ბაზრის კარი)“ (მიქიაშვილი, 2016, 126).

ხერთვისის დაწინაურებას, მისი შესავალი ქვეყნის ჩამოყალიბებას, ცხადია, ეკონომიკური დონივრება განაპირობებდა, რასაც საფუძველს უქმნიდა სატრანზიტო-ეკონომიკურ მაგისტრალზე მისი საკვანძო მდებარეობა და მიმდგომის სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი – მთელს მხარეში საუკეთესო

შავმიწა, მაღალმოსავლიანი ნიადაგი, ზომიერად შეზავებული ჯანმრთელი კლიმატი, საუკეთესო წყლები. აღსანიშნავია, რომ დიუბუა ხაზგასმით მიუთითებს აქაური ჰავის სიჯანსაღეს (მიქიაშვილი, 2016, 127).

„სოფ. ხერთვისის ციხის რაბათი“ ოსმალური აღწერის დროსათვის (1595 წ.) შეძლებული ასოციაციებრა კომლიანი დასახლებაა (ჯიქია, 1958, 243; დავთარში, როგორც წესი, ხერთვისის კომლეულთა მეთაურების გვარწოდებულებანიც არის დაცული).

ერეკლე II ექსპედიციის დროსაც ხერთვისში „მდიდარნი ხალხნი“ სახლებულან რადგან „არს იგი ხერთვისი ქალაქი და ამის გამო აქუნდათ მრავალი სიმდიდრე“ - ამბობს ჩვენი მემატიანე (ხერხეულიძე, 1983, 63). დიუბუას აღწერილობით ციხის ტერიტორიაზე მხოლოდ ათი სახლი მდგარა, „რომელთაგან საუკეთესოც ჯარის კაპიტანს ეკუთვნის. ადრე აქ ფაშა ცხოვრობდა, რომელმაც ეს სახლი დიდი რუდუნებით ააშენა და ერთგვარი ფუფუნებითაც მოაწყო. ამ ქვეყნის პირობაზე განსაკუთრებით კარგად იყო მოწყობილი ჰარამხანა“; ხერთვისის რაბათი ორივე ხეობაში უბნებად ყოფილა გაშლილი: „ბაზრის კარი, მეიდანი, ეშმაკო უბანი შვიდრევანტა (შადრევანი)... რაბათშიც იდგა დიდი ქართული საყდარი, რომელიც მაპმადიანებს მაღაზიად ეკეთებინათ. ქალაქი ჩაფლული იყო ბაღებში, სადაც განსაკუთრებით ბევრი იყო თუთის ხე... ცხოვრობდნენ უმთავრესად ქართველი მაპმადიანები, მართლმადიდებელი და კათოლიკე ქართველები, ებრაელები და სხვ. დიუბუას დროს „ხერთვისის პატარა დაბა“ 800

სულს ითვლიდა, თურმე (მიქიაშვილი, 2016, 127). ერთი მონაცემის მიხედვით, „1828 წლის ივლისში (ესე იგი რუსების შემოსვლამდე, გ.კ.) ციტადელის შიგნით იყო 6 სასურსათო ხის მაღაზია, 1 მეჩეთი, ერთი ეკლესია, 20-მდე სხვა შენობა, აგრეთვე ფაშას სასახლე და ქარვასლა (ლომსაძე, 1975, 281-282). აგვისტოს ოცდაექვსში 1828 წლისა ხერთვისის ციხეში უკვე რუსული გარნიზონი ჩადგა, ახალი ეპოქის დასაწყისის მაუწყებელად მხარის ისტორიაში. ამ დროისათვის ხერთვისის მოსახლეობა 1500 სულს მოითვლიდა რომელთა საქმიანობის წამყვანი სფროები ყოფილა მებაღეობა, მეფუტკრეობა, მცირედ მემინდვრეობა და, ძირითადად, ვაჭრობა. 1830 წელს ხერთვისში არზრუმელ სომეხთა 425 სული ჩაუსახლებიათ, რომელნიც ხელოსნობასა და წერილ მანუფაქტურულ წარმოებაში ჩაბმულან. როგორც საუკაშოს სტატისტიკური აღწერილობის მასალებშია მოცემული, 1830 წელს ქალაქს სულ 13 წისქვილი ჰქონია, მათგან 1 სახაზინო საკუთრებაში ჩათვლილი. საინტერესოა ისიც, რომ ხე-ხილის 75 ბაზიდან სახაზინოდ მხოლოდ ორი ბაზი არის ნაგულისხმევი; ასევე, აღრიცხულია 150 სული მსხვილუება და 250 სული წვრილუება პირუტყვი, 56 ცხენი, 200 სახედარი; როგორც ჩანს, ადგილობრივ ვაჭართა წრეში, რომელთა საქმიანი კავშირები ჯერ კიდევ სწვდებოდა ყარსს, ერზრუმს, არტანს და სხვ., ამ გამძლე, ამტან და დონიერ პირუტყვზე განსაკუთრებული მოთხოვნილება ყოფილა. ეგევე მასალებით ქალაქში ორ ხიდი ყოფილა, ერთი მტკვარზე 1830

წელს აგებული და მეორე, „ძალიან ძველი“ ჩრდილოეთის მხარეს „სწრაფ და ხმაურიან“ ჯავახეთის მტკვარზე (Статическо..., 1832, 126).

ხერთვისი, როგორც ითქვა, საკმაოდ დაწინაურებულ საქალაქო ცენტრად ითვლებოდა ახალციხის საფაშოში, მაგრამ XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან აქ ნელ-ნელა ეცემა აღვარიცემობა და ხელოსნური საქმიანობა, საქალაქო ცხოვრება კრიზისს განიცდის (ლომსაძე, 1975, 483), რაც, უპირველესად, რუსეთთან მიერთების აქტით გამოწვეულ სავაჭრო-სატრანზიტო გზების გადანაცვლებამ, ოსმალეთის ქალაქებთან გაწყვეტილმა კომერციულ-ეკონომიკურმა კავშირმა გამოიწვია. დიუბუას ერთი პასაჟი ხატოვნად ახასიათებს ქვეყნის ამ მრავალმხრივ „პირის ცვალებას“: „ხერთვისის კომენდატმა კაპიტანმა ისე მიმიღო, როგორც რობინზონი მიიღებდა თავის უკაცრიელ კუნძულზე ჩასულ ევროპელს: იშვიათად თუ ვინმე გზააბნეული შეივლის რუსეთის ესოდენ შორეულ საზღვარზე და ამ კეთილი ოფიცრისათვის ბედნიერებაა ისეთი ადამიანის ხილვა, რომელიც მათ მსოფლიოს ახალ ამბებს შეატყობინებს. კაპიტანი დიდებულად გამიმასპინძლდა საუცხო კახური დვინით და ფარაგნის უგემრიელესი პატარა კალმახებით“ (მიქიაშვილი, 2016, 127).

ზაგურსკი ხერთვისს „თურქული ტიპის“ ქალაქად მოიხსენიებს, სადაც „მართალია, სუსტად, მაგრამ მაინც“ შემონახულა მართლმადიდებლური ელემენტი, მაინც გვხვდება მართლმადიდებელი მოსახლეობა-ო; მაგალითად, სოფელ ტოლოშის მრავალ-

რიცხოვან მუსლიმ ქართველთა შორის 100 სული
მართლმადიდებელი ქრისტიანიც სახლებულა. მეც-
ნიერის ცნობით, ხერთვისში უცხოვრია ახალციხის
ოლქში მუსლიმთა უმაღლეს სასულიერო პირს ყა-
ზის (казი): „შევნიშნავთ ამასთან ერთად, რომ ახალ-
ციხის ოლქში მუსლიმთა სამი უმაღლესი პირი იმ-
ყოფება. ისინი ატარებენ ეფენდის ტიტულს და
ცხოვრობენ ოლქის განაპირა მხარეებში. ერთი
ეფენდი ცხოვრობს ოლქის აღმოსავლეთ კუთხეში
(აწყურში), მეორე დასავლეთში (ჭეჭლაში), მესამე
ეფენდი კი (ის არის ამავე დროს ყაზი) ოლქის
თითქმის სამხრეთში (ხერთვისში), წერს მოგზაური
(Загурский, 1873, 57).

წუნდის შემობარენი ოსმალური „დიდი დაგთრის“ მიხედვით

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ წუნდას თმოგვის ნაპირეს მექქვე პუნქტად აღწერს „დავხანტა სათესველითურთ“; ამ დროისათვის სოფელში ვარძელ ჯოროსძე, ამირინდო (გვარწოდებულება უცნობია), მეორე სახელი ბექას ძე, ივანე მმა ამისი, ივანე აღდგომელასძე, ლაშქარა (გვარწოდებულება უცნობია), რევაზა ძე მისი, ხოსიკ ყუბადისძე, ბატატა სელმანის ძე, ქოჩიზ მმა მისი, ვეფხია დარისპანისძე, ზანდარას შვილიშვილი, პეტრე ვეფხიას მმა ცხოვრებულან თავიანთი სახლეულით. ამის შემდეგ, კარგა ხნის განმავლობაში წუნდის მოსახლეობის შესახებ ინფორმაცია არ მოგვეპოვება. ზაგურსკის მიმოსვლის დროსთვის კი წუნდა ქურთ მესაქონლეთა საზამთრო საღომად ქცეულიყო (Загурский, 1873, 57); მართალია, დ. ბაქრაძე წუნდას სოფლად მოიხსენიებს, სადაც მეცნიერს თორმეტი კომლი გამუსულმანებული ქურთი დახვედრია (Бакрадзе, 1875, 132), ალბათ, გამოსაზამთრებლად ჩამოსული ის მომთაბარე თჯახები, რომელთა თაობაზედაც ზაგურსკი საუბრობს. სულ რაღაც ორი ათეული წლის შემდეგ წუნდაში მისულ ივ. როსტომაშვილს ბაღჩა-ხილეულით სავსე ვრცელი მინდორი დახვედრია მხოლოდ, რომელიც ახალქალაქელი ბეგის – ფალავანდიშვილის საკუთრებაში ყოფილა (Ростомов, 1998, 125). ცოტა მოგვიანებით კი ალ. ფრონელის-თვის უცნობებიათ, რომ „ამჟამად წუნდას ნაქა-

ლაქევს „ეძახიან“, რომელსაც, დასძენს გულისტკი-
ვილით, „წარსულის დიდებისა აღარა ეტყობა რა.
ნაქალაქევი პატარა უხეირო სოფელია“-ო (ფრონელი,
1991, 152).

ნაქალაქევი სოფელი ოსმალურ დავთარში არ
გვხვდება, შესაძლოა, როგორც ფრონელი წერს,
სწორედ ესაა „დავთრის“ წუნდა პუნქტი. რუსებს
ნაქალაქევში საფოსტო სადგური გაუმართავთ,
უხეირო სასტუმრო ოთახით. ოდესადაც მდიდარი ქა-
ლაქი მუსლიმი ქურთი მეჯოგების საზამთრო სად-
გურად ქცეულა, ძველი დიდების ნაშთად და
„მშვენებად“ დიდრონი კაკლის ხეებით შემოჯარული,
თურმე, მოზამთრე-მომთაბარე ქურთებისათვის განსა-
კუთრებით მიმზიდველი (Загурский, 1873, 58).

წუნდის მახლობლად ზაგურსკი სოფელ მარგას-
ტანს ასახელებს, რომელიც ასევე არ გვხვდება
ოსმალურ ფისკალურ დავთარში. მ. ბერიძის აზრით,
ფალაური წარმოშობის-სტან, გეოგრაფიული პუნქტე-
ბის მაწარმოებელი სუფიქსით გაფორმებული ეს
„სახელი გაჩნდა XVI საუკუნის შემდეგ და დაკავში-
რებული უნდა იყოს თურქულენოვან მოსახლეობას-
თან“. იგი არ გამორიცხავს, რომ მარგასტანში გამო-
იყოს ირანული სატომო სახელი მარგი, რომელიც
მოხსენიებულია „მარტვილობა ნერსე მთავარეპისკო-
პოსისაში“ (ბერიძე, 1992, 85). ტოპონიმის განსხვავე-
ბულ ახსნას გვთავაზობს გ. ბედოშვილი, რომლის
მიხედვითაც „სიტყვა ტან-ი ქართლურ დიალექტში,
სხვა მნიშვნელობებთან ერთად, ეწოდება მიწის
კრცელ ნაკვეთს. ეს სიტყვა ამ გაგებით დასტურდება

კასპის რაიონის მიკროტოპონიმიაშიც. აქ კერძოდ გვხვდება ადგილის სახელები: კოშკი(ს) ტანები და კოშკიტანების მიწები. ვფიქრობთ, სიტყვა ტან-ი გვაქს კახურ კუჭატან-შიც... კუჭატან-ი ნიშნავს: ამობურვცული მამული, „ზურგამიწები“, მამული, რომელშიც ამოშვერილი, ამოზიდეული ადგილებია“. საფიქრებელია, ეგევა ტან-ი იძებნებოდეს სამცხე-ჯავახეთის ისეთ ცნობილ ტოპონიმებში, როგორებიცაა: ალასტანი, მარგასტანიმარგისტანი და სხვ.“ (ბერშვილი, 2002, 63-64; ხაზგასმები ციტატის ავტორისაა, გ. კ.). ძველქართულ ონომასტიკონში, ჩანს, ოდესდაც არსებული მარგ-ი/ა პირსახელის (აქედან გვარწოდებულება – მარგიშვილი) გათვალისწინებით მკვლევარის ეს ვარაუდი, ჩვენი აზრით, მეტ დამაჯერებლობას ავლენს.

მარგასტანში ზაგურსკის დროს გამუსულმანებული ქართველები ცხოვრებულან, რომელთა ნაფუძმარზე, მათი გასახლების შემდეგ ისტორიული ზემო თმოგვის ბინადარ ქრისტიანებს მოუდგამთ ფეხი და თან თავიანთი სოფლის სახელიც გადმოუტანიათ, სადღეისოდ მარგასტანს თმოგვი ეწოდება. ზაგურსკის აქ ეკლესიის და კოშკის ნანგრევები უხილავს (Загурский, 1873, 59). სოფლის მიდამოებში მატერიალური კულტურის სხვა საყურადღებო ძეგლებიც გვხვდება, როგორც უწოდებენ, მარგასტან-ბერთაყანის ქვაბების კომპლექსი. ქვაბები შიდა ეზოთი არის გაერთიანებული, ცენტრში აღმართული დარბაზული ეკლესიით. ეზოს სიახლოებეს შემორჩენილია კლდეში „ორ-სამ იარუსად განლაგებული,

ოვალური ფორმის გამოქვაბულები“ ერთმანეთთან გვირაბებით შეკავშირებული, სადაც ზოსიმე კუმურდოელი იერარქის XI საუკუნის წარწერა აღმოჩნდა (მეგზური..., 2000, 115-116). ქრისტემდე XVII-XVI საუკუნეების ბერთაყანის ყორდანები მტკვრის კანიონის ამ მონაკვეთის უძველესი მოსახლეობის საგრძნობ კულტურულ-ეკონომიკურ დაწინაურებას მიუთითებს, რამაც, ზემოთ უპვე ვისუბრეთ, განაპირობა კიდეც წუნდის ჰეგემონია (მეგზური..., 2000, 116). ამასვე მიგვანიშნებს ის ლეგენდა-გადმოცემები, რომლებიც, ერთის მხრივ, მეცნიერთა მიერ წყლის კულტოან არის ასოცირებული, ხოლო, მეორეს მხრივ, მესაქონლეობის საგრძნობ როლსაც გახაზავს უძველეს ხანაშივე: „ამწვანებულ მობიბინე ტაფობში, ლერწმის ტეგრით შემოზღუდული“ (ც. გაბაშვილი) წუნდის ტბა, ფოლკლორული გადმოცემით, შინაურ ცხოველეთა საბინადრო ყოფილა; ამავე რიგისაა ს. მაკალათიას მიერ დადასტურებული ტრადიცია ძველი მესაქონლე ჯავახებისა – „როდესაც ძროხა პირველ ხბოს მოიგებდა, მის ბუდეს წყალში გადააგდებდნენ, რომ ძროხამ ბევრი მოიწველოს“ (მაკალათია, 1938, 76) და სხვ.

ბოლოს. ივ. როსტომაშვილს ჯავახეთის ზეგანის სოფელ ქილდაში მოსახლეთაგან ჩაუწერია ლეგენდა წუნდის ეკლესიაზე, რომელიც ძალიან ჰგავს ხერთვისის ციხის ცნობილ გადმოცემას: „კუმურდოს ტაძარი უკვე დასრულებულიყო და ჯავახეთის ზეგნის მაცხოვრებელთა სიამაყედ ითვლებოდა. წუნდის მოქალაქეებმა თხოვნით მიმართეს კუმურდოს მაშე-

ნებელ ოსტატს მათთვისაც აეგო მსგავსი ტაძარი. მაგრამ, ოსტატმა არ ისურვა ისეთივე ნაგებობის გამეორება. ამიტომ თვითონ არ წავიდა და დაავალა თავის საუკეთესო შეგირდს, რომელმაც მშენებლობაში მთელი სული და გული ჩადო და ააგო საკვირველი ტაძარი, რომელიც ყველას აოცებდა. მალე მის სანახავად მოვიდა ოსტატიც, როცა ნახა, რომ შეგირდის ნახელავს დაეჩრდილა მისი შემონაქმედი, აღივსო შურით და ამ საშინელი გრძნობით ატანილმა ოსტატმა, „შეგირდს თვალები დათხარა“ (Ростомов, 1998, 129-130). ეკლესიის სახელთან დაკავშირებული სხვა თქმულებაც შემორჩენია ჯავახურ ფოლკლორს: „მთავარი ოსტატი აშენებდა კუმურდოს მონასტერს და მისი შეგირდი აშენებდა წუნდის ეკლესიას. მერე, ეს ეკლესიები რო დამთავრდა, რომ ჩამოვიდა ის მთავარი ოსტატი, ეკლესია დაუწუნა შეგირდს. დაუწუნა იმიტომ, რომ ეს ეკლესია არ დგას აღმოსავლეთის მხარეს. ამიტომაც დაერქვა წუნდა“ („მეჯავახეთს რა მიშავდა...“ 2003, 104).

ოსმალურ „დავთარში“ ხერთვისის ლიგის ხერთვისის ნაპიოეს 25-ე პუნქტად დასახელებულია გელსუნდა, იმ დროისათვის ორ კომლიანი სოფელი. ტოპონიმი ეტიმოლოგიურადაა საინტერესო იმით, რომ „ტბა-წუნდის“ (წუნდის ტბა) თურქიზებული ვარიანტი უნდა იყოს: **გელ** (gel) „ტბა“, **სუნდა** – „წუნდა“ (ბედოშვილი 2000, 95).

* * *

წუნდის XII საუკუნის ეკლესია ქართული არქიტექტურული კულტურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. მისი მაშენებელი წარმოგვიდგება არა მხოლოდ დიდებულ მცოდნედ საკუთარი საქმისა, არამედ ფორმათა თამამი ხუროთმოძღვრული გადაწყვეტით – ჩინებულ ნოვატორადაც. შემოქმედებითი ინდივიდუალობის ასეთი გამოვლენა მას ქართული კლასიკური ძეგლების დიდოსტატთა გვერდით უმკვიდრებს ადგილს.

წუნდის ისტორიულ-კულტურულ დირებულებას განსაკუთრებულად ზრდის ის ფაქტი, რომ იგი, საგარაუდოდ, დაშენებულია, უძველეს, ქრისტიანობამდელ კერპ-ბომონის საზორავს. მასზე, მის ნაშთზე, მაინც, საგანგებოდ, აღუმართავთ თავდაპირველი ეკლესია მირიან მეფის დროისა, ვახტანგ გორგასალის მიერ საკათედროდ დადგინდებული. გვიან მასზევე ახალ ეკლესიას აგებს მხარის მეპატრონე იჩქით გურგენიძე, შესაძლებელია, კლარჯეთის ბაგრატიონთა მონადევარი წარჩინებული სახლის შვილი, რომელიც მამულობით ფლობდა წუნდას და მის მიდამოებს.

Tsunda

On the valley of Javakheti region, near the sulfur waters in the canyon of the Mtkvari River where the village Nakalakevi is situated, a small cliff has broken through the earth as if welcoming people to finish the work created by nature. The cliff and the church on it is one the whole which represents the relation and corporation of the nature and culture of mankind which gives you the sense and feeling of the complicated and ceremonial composition between them. Contrasting landscape-mountain, with sharp, tensed lines, rusty colored cliffs and the wavy archaic colored field is overlooked by the “Kindly wonderful” church- Tsunda which is done in “a pleasant mixture of yellow and rosy stones, in a bit extremely tall proportions which makes your impression even stronger.

According to the inscription on the building, the church was built in the XIII century by Ichkit Gurgenisdze (Son of Gurgeni) who had turned neighboring Vahani cave monastery into the honorable ancestor family cemetery of Gurgenidzes. One can find the name of Ichkit Gurgenidze in the Jerusalem Jvari Monastery Agapes of the XIII century. One of the family members –Michael also worked in Jvari Monastery. According to one opinion heirless Ichkit Gurgenidze (Gurgen’s son) became a monk in Jvari Monastery under the name of Michael and started to rewrite the ecclesiastic books.

Tsunda is a beautiful hall church, which is not very big (13,6 meters X 6,8),built with pleasant coloured, nicely cut and tastefully built stones. It was specially erected on the top of the hill, which was very effective for the building activities. One part of the hill is occupied by the church and there is a fenced

yard with different closet buildings on the second part of the hill and a toilet which was situated on the very edge of the hill.

Tsunda Church is built according to the ecclesiastic architectural traditions. It is a bit different from the churches of the same shape. Its trapezoidal planning makes it unique. From this point of view it is a sample of the innovative church. It has the longest wall from the south, the difference between the lengths is revealed at the very west end of the South wall. Due to the length difference it makes the west wall to be leaned against the long walls. This made the construction of the main dome a bit complicated. After studying the architecture of the church, it was learned that the church was built on the old shapeless rectangular “storeroom”, which is the oldest architectural part of the church.

It seems that the main purpose of the trapezoidal architectural shape was to maintain this oldest building. According to the Church building expert Karumadze, the former building might have been the object of worshipping. Ichkit Gurgenidze, a builder of the present Tsunda church built the new church on the old one to maintain the old, honorable, memorable and respectful building.

We consider that this building was originally a part of pagan settlers' worshipping place. While Christianity was becoming the main religion in Georgia, Bishop Iowan, who had been sent by Emperor Konstantine, built the first, original church on this place. Later, in the V century Georgian king Vakhtang Gorgasali posted Tsunda Episcopal Cathedral in this building. In the XII century architect of the new cathedral, with his innovative skills maintained the surviving part of the traditional cult building.

Tsunda church is glorious and solemn, which causes great emotional feelings into the visitors of the church. Simple, but fine decorations give even more celebrative traits to the church. Carved decorations are the samples of refined and sophisticated art. Decors are distinguished with a great variety of conceptions and artistic processing technique.

Simplicity is especially vivid on the Easter façade. The wall on it with the fence from the South, is erected on the stone pedestal, where in the yellow-moldy mixture of the stones, under the church, one can notice two openings of unknown purposes.

On the central axis of the west façade there is an arched door, surrounded with decorative pilaster. The door does not function today. On the stony door there is a pray embedded by Ichkit son of Gurgeni. The upper side of the wall ends with a pair of framed windows. On the both edges of the corners, under the small domes there are carved crosses. The central door of the church was very soon abolished and closed because of the gateway building purpose and the ladder for the pedestal was made which leads to the door of the platform.

The whole wealth of the Southern wall is carnis' décor and a small window circle shafts. The façade is divided by two simple doors. One of which was closed while building the gateway. The simplest wall is the northern wall of the church "erected on the pedestal" ended with "Decorative carnis"

As it was said toilet was built in one unusual place of Tsunda Castle there, from which the researcher of the church T. Karumidze draws the conclusion of turning Tsunda into a shelter.

Generally, the building and reconstructing activities are visibly reflected on the church. The inscriptions of Ichkit Gurgenidze (son of Gurgeni) on Vani Monastery shows the

exact building date of the church and all the buildings connected with it which go back to the XII century. It must be scientifically concluded: I. The church of Ichkit Gurgenisdze was built on the place of the former church. II. The original church which was built during the first orthodox king Miriam (IV century), turned into the Cathedral during the King Vakhtang Gorgasali, it was connected or built on the mythical purpose.

The builder, Ichkit Gurgenidze and his parents must have been famous and noble persons of that period. The name Mastin Gurgeni was famous and spread into the Klarj-Artanuji dynasty of Bagrations family name. It is the fact that Javakheti was in the possession of this dynasty together with other territories of Georgia till about 941. After it Abkhazian or other kings of the west Georgia occupied Javakheti.

We think that Ichkit Gurgenisdze was the heir of Klarj Bagrationi dynasty. He was the owner of the part of Javakheti where Tsunda was situated. His ancestors became victims of king Bagrati's politics who struggled for integration of Georgia and overcame themselves the political degradation. Maybe they decided to excel to the West Georgia, where they are thought as the builders of Ilory XI church.

Ichkiti as it was said becomes the owner of Tsunda Church, (Vahani Caves) but the castle is not mentioned anywhere, without which one can imagine neither the castle, nor the homeland. "The church, cemetery and castle are the main attributes of the homeland" According to the first doubtful sources, Ichkit had nothing to do with the nearby Tmogvi castle. He owned only a small unimportant church on the bank of the Mtkvari River, which is mentioned by Vakhushti as well.

The Toilet built in the castle explains the hypothetical fact that Gurgenidzes come from the dynasty of Klarji Bagrationi. Pardoned, partially heritage reestablished Ichkit Gurgenidze, who was left without castle, decided to build castle church, because the controlling Tmogvi of the main castle was forbidden for him.

By the beginning of the XIII century the Ichkiti motherland was totally ruined and it did not exist anymore. There is no trace of Gurgenidzes' activities and their existence. It seems that Monk Ichkit died without leaving his offspring. His estate and motherland having no owner to look after became the possession of the kingdom.

Gurgenidzes (sons of Gurgeni) can be found in the west Georgia too. They are mentioned in the inscription of the Ilori church, which belongs to the XI century. According to the historical Beshkenasheni inscription of the XII century, we think that they lived in the villages of Trialeti as well.

The mentioned historical facts, unfortunately do not give us enough material and background to come to conclusion. Every detail is only from our own imagination and thoughts. But still we can say that Gurgenidzes', whose ancestors were the noble Bagrations of Klarji, exciting and tragic life, was finally seized after Death of Ichkit Gurgenidze, but epigraphic materials and annals give the poorest information about it.

Toponym Tsunda first appeared in the sources of IX-XI century. Tsunda is called to a big, uninhabitant “hill with terraces” with a church erected on it and situated among the villages Nakalakevi, Tmogvi, Fia surrounding it. Old manuscripts of “Chronicler of Kartli” mention this name too. We met the name Tsunda in the commission of “Science men”,

in the old XII century Armenian translation of “Chronicler of Kartli”, which survived and reached us as the manuscripts of XIII-XIV century, where it is given in different forms like Tsanda/Tsonda. The name Tsunda is given in ”Gurjistan Vilayet Great Book”. This name is also mentioned by Mari Brocce and many others.

We discuss the etymology as the toponymy of Tsuna. There are many formed words from the stem Tsun that are associated with water. The meaning of some of them bare negative content. For our hypothesis the words –Tsuntsunba, tsumtsuma (Dialect of Ingilos) meaning sulfur in Georgian language are most considerable and valuable.

We think that etymologically of Tsunda is connected to both meanings above mentioned, which refer watery places, but waters which are distinguished with specific features. It should be a considerable fact that sulfur water runs in Tsunda. Sulfur waters are everywhere in the ravine from Khertvisi to Vardzia. This kind of water has specific smell and covers the stony hills with rust. Maybe the name Tsunda referred to sulfur water outcomes which once in “mythical period” was considered as unusual, somehow deferent, and therefore important waters. Such kind of tsuna places should have been as many on the river Mtkvari ravine as sulfur waters are near village Nakalakevi, Fia, Vardzia and others. It is supposed that this places for their distinctive nature turned into saint places and became worshipping objects. Ethnical-Linguo group would locate the place for their worshipping ceremonies near Tsuna-waters to worship, adore and respect them. As it is known in the mythical world and thinking, the world centre from the very beginning of its existence is divided into different

microcenters. On the base of the Dwelling the center of the house is the main column so called “keria” in Georgian. But outside the house the whole settlement had common, detached place for praying. For this hilly settlement the world is defined with idol worship place, which has its own characteristic traits. According to the Logistic of time such kind of hill settlements are united under one ideological, political and economical unit. Like this Tsunda hill sociology, due to supportive objective factors, strengthens and turns the whole ravine into one agricultural, political and what can be lined out religion regal. In our opinion, from Khertvisi to Mgeltsikhe (“Castle of Wolf”, which is now on the territory of Turkey) one, concrete social body is created, which is one whole unit from the view of ethno-linguistic and Religion point, which is mentioned in “Chronicles of Kartli” with exact social-political term – “Tsundelni” (Tsundelians)

According to “Chronicles of kartli” Pagan gods of Pagan Tsunda people (Tsundians) reigned. The main holy God of Tsuna-center united other Tsuna idol names, which made background for formation of the plural form for main idol and its place. In the word tsun-da, “da” which is the part of the stem, to our mind is the same as “ta” which is the prefix of plural form, which is the altered form due to language structure. To sum up the above mentioned the toponym formation of Tsunda can be shown as: Tsuna > Tsuna-ta> Tsunda

As we have mentioned above, according to the “chronicles of Kartli” Iowan (John) a bishop, who was sent by Emperor of Byzantine, built a church in Tsunda. It is a reliable fact that this church was built on the place of the traditional place for praying. What’s more, maybe the idol building or part of it was

consciously used for Christian church on purpose at the very beginning. Such kind of cases is not rare not only in Georgian but also in the World Architecture. For example the church of Nikozi built by Vakhtang VI on the place of “Fire Idol place.” The samples of building Christian church on the Fire idol places are basilicas of Uflistsikhe and Nekresi as well. Libani Mountain of idol basilicas is considered as Christian Basilicas by many scientists. What’s more it can be supposed that inside many early churches there are other cases of cult worshipping service .namely Mitra cult service. We consider that the same, maybe idol worshippers and Christian Tsunda people for some period of time prayed in the one and the same building, which was functionally and technically divided into two parts. From this we can think that the status of the first religion center and the shrain could be widened and strengthened, that could arise loyal attitude of pagans towards new religion, they could strengthen in new belief and their number could grow. Maybe Bishop Iowan (John) built new church or erected it on the portion of the old praying place on purpose. Later after centuries, a great master, an architect preserved traditional holiness, ancient sacristy materials for his newly built building.

The motherland of Gurgenat noble house occupied only a small part of the ancient Tsunda dynasty territory. Tsunda was the residence of the official of Parnavazi. Tsunda together with Mtskheta and Gaciani was Royalty residence.

It seems that Tsunda became the town center at the very beginning of town life in old Kartli (Iberia) (V-VI century BC) according to common scientific opinion the first Georgian town “genetically“ is the heir of ancient hill-dwelling, it is the product of its development and expansion. The town was a

strategic point, which was naturally a bit unavailable and artificially restricted with fortification. It was divided into agricultural regions.

Nakalakari Gora is at the very edge of Javakheti mountain which stretches towards the river Mtkvari. It seems that the natural relief integrity of the mountain was artificially split. Gora was cut away from it. As we have already mentioned, fads with its sights, are situated from the bottom of the mountain to the slope of the mountain where two so called “Tsiskvili (Mill)”waters flow. One from which according to the scientists might have been a spring which was made for watering purpose. Though it must not be excluded that originally it was a main component used for filling the hole for city protection. (it must be mentioned that irrigating culture could be connected with viticulture development and its intensification. Tsunda and its nearby territories together with Mukhrani, Nastagisi and Urbnisi must be considered as an important and visible example of irrigation and intensive agricultural development. The buried vine jugs found on this territory in 1964 makes this statement more believable.

Agriculture occupies an important part into the infrastructure of the ancient cities. As archeological study of Tsunda and its nearby territories show, traces of intensive, highly effective agriculture are vivible from the early bronze period. Here one can also see samples of crafts development . Tsunda was the settlement of many districts. According to L.Chilashvili modern Tsunda Gora could be one of the districts of town. Nakalakevi, Bertakhana and jut-Malta territories could be the center and citadel of town.

Tsunda city reached its high development. Great attention from the side of the central government was due to its geostrategic location. It was located on the important political, military strategic and economical road. Roman road map made by famous geographer kastorius-Tabula Peutingeriana, which as the scientists consider is based on the materials of the I-II century and shows the road from the capital of Armenia-Artashati to Sebastopol (Sokhumi) which crossed Tsunda.

The importance of Tsunda city castle and accordingly the role of the country is more vivid from the very beginning and spreading Christianity in the country. This is the first place where Bishop John underwish of Byzantium built the church. Later Vakhtang Gorgasali considering the importance of Tsunda, appointed Bishop in Javakheti, Tsunda (the center of javakheti) and the residence turned into religious and ideological center of the region.

It may be said that complication and diversity of the social and economical life stimulated the political, inner confrontation which at the end supported the establishment of the new political or economical centers. This tendency was noticeable very soon after the death of Vakhtang Gorgasali. His sons shared Tsunda among each other. Perhaps the origination of the new religious centre Kumurdo in Javakheti is connected to it. Ex-political and experienced religious center Tsunda gives its positions up. Presumably, this process ended by VIII century. By IX century in the period of new castles and new cities Tsunda, as the religious center of Javakheti does not exist. It is humiliated and decayed. It gives up its positions for growing castle- town Tmogvi.

In the historical sources Khertvisii is mentioned together with Tsunda. That's why a few scientists don't exclude that it existed at the same time together with Tsunda and had a protective function from the very beginning of its existence as a town. It must be supposed that Tsunda had to be purposely covered with Mgeltsikhe (castl of wolves) on the top and with Khertvisi at the bottom. So Khertvisi and Mgektshiikhe were like fortresses to Tsunda. The fall of Tsunda, in the period of castle unit formation does not have much influence on Khertvisi for its strategic location. On the contrary it forms its own castle country, which can be proved by appearance of the surname Khertvisari, which means the owner of the castle and its nearby territories.

The ancient history of Khertvisi is somehow unknown. The desirable location from its military-fortificative and transit-economical point defined its strengthening and advancement. It is on the border of the two gorges. Accordingly, it was used to be the main strategic and transit-economical road. River valleys are narrow, cliffy and absolutely valuable for control and protection, which supports Khertvisi to have its dominant position over other small valleys.

In our opinion the surname of the first owners of Khertvisi castle was Khertvisari. This is connected to the castle ownership. The surname consists the suffix "ar" which bears a decorative function meaning identity. The suffix is the possession of zanut-Megrelian Georgian language world and equals to the Georgian language suffix "el". The suffix "ar" is the sign of the settlement of Chan-Megrelian settlers in this region. This opinion seems archaic and according to it Khertvisari is the first owner of the castle. Later

Kamkamishvilebi change them, and their place is occupied by Amatakishvilebi until Ottomans conquer the castle in 1578.

Based on the foreign travelers' descriptions of the XIX century, we can speak about the architecture of the citadel in details. The castle is erected on the narrow subtraction of the Tavpharavani water (The Mtkvari of Javakheti) and the KherTvisi Mtkvari (Mtkvari of Artani, Artanula). It was surrounded with the tall fence which was inaccessible by a man and was fortified with four towers. Each of these four towers had its own functions. The vast inner yard was protected with big gates from the East and the South. North-Easter walls are based and built on the inaccessible cliffs. Tall protective walls are built on every place which can be reached on foot and they are also fortified with strong towers and piers for safety among which western prismatic tower is worth to be paid attention to.

Dibuje de Mopere's impression while describing Khertvisi is worth to be considered. This is what he wrote: "River Mtkvari ravine becomes narrower and narrower the more you approach it. Two long black coloured slopes are separated by the flow of the Mtkvari river and narrow land with fruit gardens. I was looking at this slope with dark and deep cleft crossing it. Entrance to the slope was half covered with black separately erected cliff. This is the place where khertvisi is situated. This cleft is a narrow ravine, where the Paravani flows until it joins the Mtkvari. On this slope where two rivers make a corner while joining each other, Khertvisi castle is erected: A painter can rarely see a landscape like this for his brush to paint."

Exited traveler describes Cihu Freudateland its relatively newest part which is stretched "from the East to the South, on the cliff", which are joined together with walls of "four feet"

Dibuje mentions these towers with names. according to dates “In July 1828 there were 6 grocery shops, one mosque, one church and 20 other buildings, Pasha palace and caravansary inside the citadel. Dibuje lines out that “there are ten houses on the territory of the castle, the best of which belongs to the navy captain. Pasha lived in it in the past, who carefully built this house and furnished it with luxury things. Considering the economical situation of the country he arranged luxurious harem. It must be said that Dibuje also speaks about the healthy climate of this place. During Dibuje period about 800 settlers lived in the small Khertvisi settlement

The builders solved Castle water supply problem by digging the tunnel from the North-western side of the Citadel to the Tavpharavnistskali. Dibuje writes about this fact in his notes. The scientist writes: “Water is fetched from the Pharavani by two underground ways and they are like Kutaisi castle which I described above”

On the 26th of August Russian garrisons were located in Khertvisi castle. This fact is considered as the beginning of the new age in the history of the region. The population of khertvisi reached about 1500 at that time. Their main activities were gardening, bee industry, field crop cultivation, and trading.60 Armenian families from Arzumi were immigrated and settled here, they moved to Akhaltsikhe very soon. Donkey and horse breeding were also the settlers’ main business in Khertvisi. There was a raising demand on this animals among local, Georgian, Jewish, Catholics and Muslim Georgian traders’ circle, whose trading links reached Karss, Artaan, Erzerum, Akhaltsikhe and many other towns.

Little by little town life was destroyed here after Empire annexed this region. It caused degradation of trade and crafts industry. Khertvisi lost its city function which can be explained by changing trading and transit roads due to Russian annexation. One passage of Debuje describes these various changes in the country: "Governor of Khertvisi received me like Robinson would receive any European who arrived on his deserted island: Men are very rare on this remote border of Russia and the man is always eager to see the person who will provide him with fresh news of the world. The captain served me with Kakhetian wine and the most delicious fish from Pharavani Lake".

The scientists have recently reached the opinion that the Tsunda and the Kumurdo churches that stand nearby are one and the same. We disagree with them. The foundation of Kumurdo bishop church and its flourishing is connected with political and religious degradation of the Tsunda church which can be explained by separating and dividing unity of "Tsunda Country "and founding Zemo and Kvemo Javakheti(upper and lower Javakheti) near Tsunda after the death of King Vakhtang Gorgasali.This was made under the initiative of King Dachi for the compensation of his brother's work who took control over the south-west of Georgia and accordingly limited the power of the King in this region. The Royal courthad to think about Kvemo Kartli who now was obedient and responsible to the central government.

In such kind of situation it is logical that new Episcopal cathedral appeared and advanced (from one side unexpectedly) in Zemo Javakheti. (Upper javakheti). Mirdat Gorgasali's name is also connected with the cases establishing bishop cathedral

in the east part of the Mtkvari river and its surroundings “including Artaani till Karsi mauntain and Khaveti” We consider that the absence of Tsunda bishop’s name at the representative meeting of Dvini (held in 506) which had the cultural-ideological character can be explained by the position of central government, moreover this fact can be as well explained by already disappeared principalityat that time.

Nowadays Tsunda church is located on the territory of the village Tmogvi. In earlier times the name Margastani was used for the village (migrated people from different villages changed the name Margastani into the new name Tmogvi as soon as they settled on this territory) The stem “stan” of the word Margastani is considered as the suffix for the production of Geographical names. As this name does not appear in the b “Gurjistan Vilayet Great Book”. it is supposed that “the name appeared in XVI century and it must be connected with Turkish settlers”. In short today Tsunda is not a village, only the church and the lake maintaine this name. On the territory of Margastan-Bertakana there is one story complex with its remains, which makes us think that in the centre of the yard there had been a church. In the nearby cliff oval shaped caves of two-three levels are connected with one another with tunnelsThere one can find the remained inscription of Zosime Kumurdoeli (Zosime from Kumurdo). The burial places of XVII-XVI centuries are also found here, which is the real example of showing that the ancient population of the Mtkvari canyon were politically and culturally developed. He supported the domination and advancement of political-economical and religious spheres and established one concrete social body which can be found under the name “Tsundelians” in the historical sources.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. არახამია 1990: სუმბატ დავითის ძე, ცხოვრებად და უწყებად ბაგრატონიანთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები დაურთობ. არახამიამ, თბ., 1990
2. ... აღწერილობა, 1985; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. IV, რედ. ელ. მეტრეველი, თბ., 1985
3. ახალაძე 2005; ლ. ახალაძე, აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც საისტორიო წყარო I, თბ., 2005
4. ბაქრაძე 1959; ა. ბაქრაძე, თრიალეთის და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე XX-B, თბ., 1959
5. ბაქრაძე 1987; დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოზაურობა გურიასა და აჭარაში, თბ., 1987
6. ბახტაძე 2003; მ. ბახტაძე ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2003
7. ბედოშვილი 2002; გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2002
8. ბერიძე 1992; მ. ბერიძე, ჯავახეთი, ტოპონიმიკური ანალიზი, თბ., 1992
9. ბერძენიშვილი 1964; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, თბ., 1964
10. ბერძენიშვილი 1966; ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966

- 11.** ბერძენიშვილი 1979; 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები IX, თბ., 1979
- 12.** ბერძენიშვილი 1990; 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.
- 13.** ბერძენიშვილი 1985; დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიდან, თბ., 1985
- 14.** ბერძენიშვილი 2005; დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები, თბ., 2005
- 15.** ბერძენიშვილი 2014; დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 2014
- 16.** ბოჭორიძე 1992; გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992
- 17.** გაფრინდაშვილი 1971; გ. გაფრინდაშვილი, არქიტექტორულ-არქეოლოგიური ძიებანი ვანის ქვაბებში 1967 და 1968 წლ., საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, II, თბ., 1971
- 18.** გაფრინდაშვილი 1959; გ. გაფრინდაშვილი, ახალი ნავარძიების წარწერა, ქურ. „მეცნიერება და ტექნიკა“, თბ., 1959, № 9
- 19.** გიულდენშტედტი, 1962; გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962
- 20.** გუგუშვილი 2000; გუგუშვილი ნ., ფარნავაზიანი წარმართი მეცნიერები, ქრ. საქართველოს მეცნიერები, 2000
- 21.** დუნდუა... 2010; თ. დუნდუა, ნ. სილაგაძე, MIΩΡΑΣ საქართველოში, თბ., 2010

22. ელიზბარაშვილი... 2011; 6. ელიზბარაშვილი, ბ. კუპატაძე, საქართველოს 100 დირსშესანიშნაობა, თბ., 2011

23. ზაქარაია 1988; პ. ზაქარაია, საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები, თბ., 1988

24. თორთლაძე 2006: 6. თორთლაძე, უცნობი მონასტრის ერთი ტერმინის წაკითხვისათვის, ამირანი, 2006

25. კაგაბაძე 1920; ს. კაგაბაძე, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, თბ., 1920

26. კიკვიძე 1963; ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, თბ., 1963

27. კუტალაძე 2013-14; გ. კუტალაძე, ქვემო ჯავახეთის მფლობელ-მქონებელთა ვინაობის შესახებ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები VIII, თბ., 2013-2014

28. კუტალაძე 2011; გ. კუტალაძე, წუნდა (ეტიმოლოგიური ცდა), გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული № 1, თბ., 2011

29. კუტალაძე 2009; გ. კუტალაძე, შალიკაშვილთა ვინაობა-წარმომავლობისათვის, კრ. ისტორიანი, თბ., 2009

30. კუტალაძე 2016; გ. კუტალაძე, პიპოთეზა გურგენისძეთა გვარის წარმომავლობის თაობაზე,

გურამ თავართქილაძის სახწავლო უნივერსიტეტის
სამეცნიერო შრომების კრებული № 6, თბ., 2016

31. ლაპიდარული... 1980; ლაპიდარული წარწერები I,
შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა 6. შო-
შიაშვილმა, თბ. 1980

32. ლომსაძე 1975; შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი,
თბ., 1975

33. ლორთქიფანიძე 1979; გ. ლორთქიფანიძე, სა-
ქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითა-
რება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე,
საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ III, თბ., 1979

34. მაკალათია 1938; ს. მაკალათია, მესხეთ
ჯავახეთი, თბ., 1938

35. მასალები... 1964; მასალები საქართველოს ის-
ტორიული გეოგრაფიისათვის 1964

36. „მე ჯავახეთს რა მიშავდა...“ ჯავახეთი (ისტო-
რიულ-ფილოლოგიური ნარკვევები), თბ., 2003

37. მეგზური... 2000; საქართველოს მეგზური I,
ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლე-
ვი, თბ., 2000

38. მელიქიშვილი 1970; გ. მელიქიშვილი, საქართ-
ველო ახ.წ. I-III საუკუნეებში, საქართველოს ისტო-
რიის ნარკვევები ტ. I, თბ., 1970

39. მეტრეველი 1962; ე. მეტრეველი, მასალები
იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის,
თბ., 1962

40. მიქიაშვილი 2016; ლ. მიქიაშვილი, რამდენიმე
ეპიზოდი ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს მოგზაუ-

რობიდან ახალციხეში (საფარა, ხერთვისი), კრ. ანალები, თბ., 2016

41. მუსხელიშვილი 1980; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1980

42. მჭედლიშვილი 1987; ბ. მჭედლიშვილი, წუნდა, ძეგლის მეგობარი, 3, 1987

43. ნარკვევები 1970; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970

44. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. IV, თბ. 1973

45. ორბელიანი 1993; სულხან საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, წ. II, თბ. 1993

46. სილაგაძე 2010; ნ. სილაგაძე, ქართულ - ირანული ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები I, თბ., 2010

47. სილოგავა 1980; ლაპიდარული წარწერები II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX – XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980

48. სილოგავა 1994; ვ. სილოგავა, კუმურდო ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ., 1994

49. ტალახაძე 1995; ი. ტალახაძე, ვაჟანის ქვაბთა მონასტრის პერსონოლოგიისათვის, კრ. ონომასტიკური ძიებანი I, ახალციხე, 1995

50. ტალახაძე 2009; ი. ტალახაძე, ვაჟანის ქვაბთა განგება, თბ., 2009

- 51.** ფეხუნი 1940; იბრაჟიმ ფეხუნი საქართველოს შესახებ, ენძენს მოამბე ტ. 5-6, თბ., 1940
- 52.** ფრონელი 1991; ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, თბ., 1991
- 53.** შანიძე 1981; ა. შანიძე, ვინაობის სუფიქსი არ ქართულ ენაში, თხზულებანი II, თბ., 1981
- 54.** ქართული... 1964; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 8, თბ., 1964
- 55.** ქართული... 1986; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986
- 56.** ქარუმიძე 2000; თ. ქარუმიძე, წუნდის ეკლესია, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, ნარკვევები VI, თბ., 2000
- 57.** ქუთათელაძე 2014; ქ. ქუთათელაძე, წუნდის (ჯავახეთის) საერისთავო „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, პრ. ისტორიული რეპრეზენტაცია: თეორიული მიმართულებანი და კონკრეტული კვლევები, თბ., 2014
- 58.** ღლონტი 1974; ალ. ღლონტი, ქართულ კილოტქმათა სიტყვის კონა, თბ. 1974
- 59.** ყაუხეჩიშვილი 1955; ს. ყაუხეჩიშვილი, ქართლის ცხოვრება I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხეჩისგილის მიერ, თბ., 1955
- 60.** ყაუხეჩიშვილი 1959; ს. ყაუხეჩიშვილი, ქართლის ცხოვრება II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხეჩიშვილის მიერ, თბ., 1959

61. ყაუხებიშვილი 1973; ს. ყაუხებიშვილი, ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხებისვილის მიერ, ობ., 1973

62. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIIსს.), ობ., 1961

63. ცისკარიშვილი 1954; ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, ობ., 1954

64. ჭილაშვილი 1968; ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში I, ობ. 1968

65. ჯავახეთის... 2012; ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, ობ., 2012

66. ჯიქია 1941; გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას გამოცემა, II, ობ., 1941

67. ჯიქია 1958; გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას გამოცემა, III, ობ., 1958

68. ხერხეულიძე 1989; ო. ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, ობ., 1989

69. ბროსე 1850; Rapports sur le voyage arc heologique dans la Geogie et dans l' Armenie execute en 1847-1848 par M. Brosset, st. Petersbourg, 1850

70. დოუბეუ 1833; Frederic Dubois de montpereix, Voyage autour du Caucase chez les Therkesses et les Abkases, in Colchide, en Georgie, en Armenie et en Crimée, t. II, Paris, 1833

- 71.**Бакрадзе 1878; Бакрадзе Д., Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПб., 1878
- 72.**Бакрадзе 1875; Бакрадзе Д.Кавказ в древних памятниках христианства, Тиф., 1875
- 73.**Загурский 1873; Загурский Л.П., Поездка в Ахалцихский уезд 1872 г, Тиф., 1873
- 74.**Ушаков 1836; Ушаков, История военных действий, Спб ., 1836
- 75.**Ростомов 1998; РостомовИ. В. Ахалкалакский уезд вархеологическом отиошении, Тиф. 1898
- 76.**Статическое..., 1832;
Статическое описание Ахалцихского пашалыка, Тифлисские ведомости, 1832, №5-6

ს ა რ ჩ ე ვ

შესავალი	5
ეკლესიის არქიტექტურისათვის	8
წენდა ტოპონიმის ეთიკოლოგიისათვის	24
წენდის სამრისთავო ძველანა	34
წენდის და კუმურდოს იგივეობისათვის	53
ხერთვისი – წენდის ციხე?	67
წენდის გემობარენი ოსმალური „დიდი დავირის“	
მიეღვით	86
* * *	91
Tsunda	92
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა	107